



# საგჭოთა სელოვნება



GOBET'KROE  
YGRYGG'TBO

SOVIET  
ART

SOWJETKUNST

ART  
SOVIETIQUE



1971

საქართველოში წიგნების

# საგჭოთა სალოვნება



შურნალი გამოდის 1921 წლიდან

თვატნდი  
ფუსიკა  
მხატვრობა  
კინო  
პრეჟიტეჟტუნა  
ქონეოგნაფი



*Handwritten signature in blue ink, possibly reading 'მედიკალიზაცია'.*

საპარტეზლოს სსრ კულტურის სამინისტროს საზოგადოებრივ-კოლიტიკური,  
ლიბერატორულ-მხატვრული, მაცნეარულ-თეორიული ყოველთვიური შურნალი

1971



# მოქმე სომხეთის

სომხეთის სსრ და  
სომხეთის კომპარტიის

50 წლისთავი

*Handwritten signature: ანტონიანი*

29 ნოემბერს ერევანში გაიმართა სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა მიძღვნილი სომხეთის სსრ და მისი კომპარტიის 50 წლისთავისადმი, რომელშიც მონაწილეობდნენ პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და საბჭოთა არმიის მეთაურები. საზეიმო სხდომის პრეზიდენტობა არიან ამხანაგები: ლ. ი. ბრეჟნევი, პ. მ. შულსტი, პ. მ. გრძინი, ლ. ა. პუნაევი, პ. მ. მამაროვი, პ. ა. მჟაკანაძე, მ. რ. რაშიდოვი, სომხეთის კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, ზეიმზე ჩამოსული მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების, გმირი ქალაქების — მოსკოვისა და ლენინგრადის დელეგაციათა მეთაურები, სრულიად საკავშირო ალკე ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი მ. მ. ტიშკუნინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის წევრი პ. ი. მიქოიანი, საბჭოთა მხედართურობის, რომელთა შორის იყო სსრ კავშირის მარშალი ი. ა. ბაქრაძე.

საქართველოს სსრ დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ახმ. მ. პ. მჟაკანაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მ. მელიქიშვილი, სოციალისტური შრომის გმირი, მეფოლადე ა. შანცუკია, გორის რაიონის სოფელ მეღვრევის კოლმურენოების თავმჯდომარე დ. მინდიაშვილი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი მ. ტატიშვილი.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა და მოხსენება „სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და სომხეთის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავი“ გააკეთა სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანმა ახმ. პ. მ. მელიქიანმა.

ახმ. ა. ქოჩინიანმა აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ სომეხი ხალხი კვლავ მტკიცედ ივლის ლენინური გზით ჩვენს ქვეყანაში კომუნისტის გასამარჯვებლად. საზეიმო სხდომაზე ღრამონიარსიანი სიტყვით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, რომლის გამოსვლას დამსწრენი მქუშარე ოვაკით შეხვდნენ. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევიმა სხდომის პრეზიდენტს გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი

საბჭოს პრეზიდენტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმების ტექსტი, მანვე წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის 27 ნოემბრის დადგენილება სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ. შემდეგ ახმ. ლ. ი. ბრეჟნევიმა სომხეთის სსრ დროაზე მიანბნა ოქტომბრის რევოლუციის ორდენი. ამიერიდან სომხეთის სსრ გახდა სამგზის ორდენოსანი.

მომძე სომეხ ხალხს მიესალმნენ ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციათა ხელმძღვანელები.

საქართველოს სსრ სახელით მისალმებელი სიტყვა წარმოსთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ახმ. ვ. პ. მუხამაძემ.

სალამო ა. სპენდიაროვის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ჩატარდა დიდი სადღესასწაულო კონცერტი.

30 ნოემბერს ერევანში გაიმართა ზეიმისადმი მიძღვნილი სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია, რომელშიც მკათო დასტური იყო სომხეთის მშრომელთა მონოლითური შეკავშირების კომუნისტური პარტიის გარეშე.

საბჭოთა კავშირის ძმურ ოჯახში შემაჯავლი რესპუბლიკების წინსვლა და გამარჯვება ჩვენი დიდი სამშობლოს იმპტიციისა და უძღველობის საფუძველია. სულ ცოტა ხნის წინ საქართველოს მშრომელთა იზიგმის მოძმე ყაზახეთისა და აზერბაიჯანის სსრ და მათი კომპარტიების შექმნის 50 წლისთავი. ეს იყო ძმობისა და მეგობრობის ჭეშმარიტი დღესასწაული.

ახლა კი სომხეთი ზეიმობს რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და სომხეთის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს. ეს ზეიმი სომეხი ხალხის დღესასწაულია.

ქართველმა ხალხმა გულთბილად მიიღო და გაიზიარა მოძმე სომეხი სახლის დიდი ეროვნული ზეიმი. სომეხი



სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს სახეიშო სხდომის პრეზიდიუმი ერევანში.

*საბჭოთა სომხეთი ჩვენი დიადი სამშობლოს ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკაა განვითარებული მრეწველობითა და სოფლის მეურნეობით, განათლებითა და კულტურის მაღალი დონით. რესპუბლიკა სამართლიანად ამყარებს თავისი დაუღალავი, შრომისმოყვარე ადამიანებით. სომეხი ხალხი, ქართველთა მსგავსად, საუკუნეების მანძილზე შეუპოვრად ებრძოდა უცხოელ დამპყრობლებს, რათა საკუთარი არსებობა შეენარჩუნებინა.*

*დროუხვია და უკვდავი ქართველი და სომეხი ხალხების მშობა-მეგობრობა. დასაბამიდან მოდის მათი ურთიერთგატანა, ჭირში ხელის გაწვდენა და ლხინში დალოცვა, ძნელბედობისა და ბედნიერების ჟამს მუდამ მხარდამხარ ყოფნა.*

# დიადი დღესასწაული

საბჭოთა სომხეთი ჩვენი დიადი სამშობლოს ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკაა განვითარებული მრეწველობითა და სოფლის მეურნეობით, განათლებითა და კულტურის მაღალი დონით. რესპუბლიკა სამართლიანად ამყარებს თავისი დაუღალავი, შრომისმოყვარე ადამიანებით. სომეხი ხალხი, ქართველთა მსგავსად, საუკუნეების მანძილზე შეუპოვრად ებრძოდა უცხოელ დამპყრობლებს, რათა საკუთარი არსებობა შეენარჩუნებინა.

დროუხვია და უკვდავი ქართველი და სომეხი ხალხების მშობა-მეგობრობა. დასაბამიდან მოდის მათი ურთიერთგატანა, ჭირში ხელის გაწვდენა და ლხინში დალოცვა, ძნელბედობისა და ბედნიერების ჟამს მუდამ მხარდამხარ ყოფნა.

ნახევარი საუკუნის წინ, 1920 წლის 29 ნოემბერს, სომხეთის მუშათა კლასმა დარიბი გლეხების მხარდაჭერითა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ბოლო მოუღო დაშინაკთა ბატონობას და სომხეთის უძველეს მიწა-წყალზე საბჭოთა ხელისუფლების ძლევამოსილი დროა ააფრიალა. ეს წელი სომეხი ხალხის სოციალური და ეროვნული აღორძინების დასაბამი გახდა, შეიქმნა სომხეთის

კომუნისტური პარტია, სვებენიერი ცხოვრება დაიწყო ჩაგრულმა სომეხმა ხალხმა სსრ კავშირის ძმურ ოჯახში.

სომეხი ხალხი სიამაყით გადახედავს განვლილ ნახევარ საუკუნეს. წლითწლივით ყვავის და იზრდება, ძლიერდება და მშვენიერდება სომხეთის რესპუბლიკა.

საბჭოთა ეპოქაში ძირეული ცვლილებები მოხდა სახალხო მეურნეობის, განათლების, კულტურის ყველა დარგში. დიდ განვითარებას მიაღწია მიწვევლობამ, გარდაიქმნა ძველი საწარმოები, აიგო ახალი ფაბრიკა-ქარხნები, შეიქმნა მიწვევლობის ახალი დარგები. ფართო გასაქანი მიეცა ნოვატორობის განსაკუთრებით აღსანიშნავია კალიფიციური კადრების სიმრავლე და აი, სასიხარულო შედეგებიც: 1970 წლის საერთო პროდუქცია 75-ჯერ აღემატება 1913 წლის დონეს, ხოლო უახლოეს 10 წელიწადში თითქმის 90-ჯერ მეტი იქნება.

ამავლობის გზაზე სოფლის მეურნეობაც აღორძინდა მეზინდერობა და მეცხოველეობა, მევენახეობა და მეძაღვობა. შექანიებულია შრომატევადი პროცესების დიდი ნაწილი. რევოლუციამდე დონეს 3-ჯერ გადააჭარბა სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობამ. ამალდა მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობა. მაღალ დონეზე დაყენებული მშრომელთა სამედიცინო მომსახურება.

სოფლის მრავალ ქვეყანაში ცნობილი სომხური ხელოვნებისა და ლიტერატურის წარმატებები. ისინი გამოხატავენ შობილიური ქვეყნის სიმდიდრესა და სილამაზეს, ახალი ცხოვრების ძალუმ სუთქავსა და შაჯისცემას. სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, სოციალისტური შრომის გმირის, მარტიროს სარაიანს ფერტილოები მსოფლიო ხელოვნების საგანძურის კუთვნილება გახდა. არამ ჩაჩატურაიანის, არნო ბაბაჯანიანის და სხვ. მუსიკა, ოჯანის თუმანიანის, ავიქტო ისაკიანის, ელიშე ჩაქინცის პოეზია, აკაედემიკოს ალ. თამანიანის ხუროთმოძღვრული შედეგები გასცდნენ რესპუბლიკის საზღვრებს და საერთო აღიარება მოიპოვეს.

სომხეთის სსრ მეცნიერება საბჭოთა ხელისუფლების პირშია, რესპუბლიკაში თხუთმეტამდე უმაღლესი სასწავლებელია. დიდ მუშაობას ეწევა სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც სათავეში უდგას საქვეყნოდ განთქმული მეცნიერი აკადემიკოსი გ. ამბარცუმიანი. აკადემია მრავალ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს აერთიანებს. სომხეთის მეცნიერებათა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის, გეოლოგიის, ასტრონომიის და სხვა დარგებში.

ამ წარმატებებს სომეხმა ხალხმა მიაღწია სსრ კავშირის ხალხთა ძმური დახმარებით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და სომეხი ხალხის ერთგული, უანგარო შრომით.

სომხეთისა და საქართველოს ერთბაშადანობა, ქართველი ხალხი, საქართველოს წარმატები ბუნება შრომად გამძაფრა სომეხი პოეტების ლექსის სათავე. თბილისში მიიღეს სამწერლო ნათობა გამოჩენილმა სიტყვის დიდოსტატებმა: შორაგანაძემ, რაფომ, თუმანიანმა, სუნდუკიანმა, აღიანანმა, ნარდინისა და სხვებმა. მათ გულწრფელად უყვარდათ ქართველი ხალხი. ეს ტრადიციული მუშაველია ამ ორ ერს შორის. ქართველ და სომეხ მგისებებს მუდამ აკავშირებდათ უანგარო მშობა და უხადო მეგობრობა, რომელმაც ლაღად გაშალა ფრთები საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ქართველი და სომეხი ხელოვნების მუშაკების ურთიერთკავშირს წარსულში აქვს ფესვები გადგული. საქართველოს და სომხეთის თვარტალურ საზოგადოებას ხშირად მოუწევიათ ერთობლივი დონისძიებები. ჯერ კიდევ 1937 წელს ლენინაკანის სცენაზე დ. ანათამე დადგა გ. ბა-



ერევანი. 29 ნოემბერი.

აშოვის „იცვა რიქანაშვილი“. ეს დასტურდა ორი ერის კეთილმეზობლობისა და ურთიერთშაბტისცემისა.

სომეხმა კომპოზიტორებმა განავითარეს სახელოვანი კლასიკოსების: კომიტასის, სპენდიაროვის, ტიგრანიანის და სხვათა ტრადიციები და საუკეთესო ნიმუშები შექმნეს. რესპუბლიკის საოპერო თეატრს დიდი ხნის ისტორია არა აქვს, იგი სამამული ომის წინა წლებში შეიქმნა, მაგრამ სწრაფად გაიზარდა და მაღალმხატვრულ კოლექტივად იქცა. გამოჩენილ მომღერლებს: გ. გასარიანს — „სომეხ ბულბულს“ —, თ. საზანდარიანს, პ. დანელიანს, ნ. ოჯანესიანს დიდი დეაწლი მიუძღვით ეროვნული ვოკალური ხელოვნების აყვავებაში. სომეხ ხალხს ჰყავს შესანიშნავი ინსტრუმენტალისტები, მათ შორის ბევრია საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი. დიდი წარმატებით მუშაობს ერევნის სახელმწიფო ფილარმონია, რომლის ანსამბლებიც და სოლისტები ხშირად ამშვენებენ უცხოეთის ესტრადებსაც.

4 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მეორე დარბაზში ჩატარდა სიმებიანი კვარტეტის კონცერტი ლ. მამიკონიანის, მ. ერეკლიანის, ი. მანუკიანის, ფ. სიმონიანის შემადგენლობით. კვარტეტმა ვირტუოზოდურად შესრულა ალ. აჯიმიანის, ედ. მირზოიანის, გ. ტიგრანიანისა და სხვათა ნაწარმოებები. ოსტატურად იმღერეს ოპერის სოლისტებმა თ. გაბაიანმა და ა. აირიანმა. 5 ნოემბერს კი კონსერვატორიის დიდი დარბაზში ჩატარდა სომხური მუსიკის კონცერტი. თბილისელ მკურებელს ჭეშმარიტად სიამოვნება მიანიჭეს ა. ციციკიანმა (ვიოლინო), ოპერის სოლისტმა თ. გაბარიანმა და ა. აირიანმა. მათ თბილისის სიმფონიური ორკესტრის მინარელებით შესრულეს სპენდიარანიანის, ტიგრანიანის, არუთიანიანის, სარაიანის და სხვათა ნაწარმოებები. (დირიჟორი დ. ხანჯიანი).



მეტალურგიულ ქარხანას, იყენენ სომეხი ძმებიც“ — თქვა მან.

საზეიმოდ ჟღერს სსრ კავშირის, საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფო ჰიმნები. სტუმრებს მიესალმენენ სოციალისტური შრომის გმირი ვ. კობერძე, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. კობაიძე, კულტურის სახლის დირექტორი ა. რევაზიშვილი და სხვ.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა პარტიის ლენინკაინის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა მ. მურადიანმა. მან ილაპარაკა იმ წარმატებებზე, რითაც სომეხი ხალხი ეგებება დიდ ეროვნულ დღესასწაულს. „სწორედ ისტორიამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენ, როგორც არავის, გვჭირდება მეგობრობა და ურთიერთგაგება“ — თქვა მან.

საზეიმო სნდომის შემდეგ სომხეთის ხელოვნების ოსტატებმა დიდი კონცერტი გამართეს. გულში ჩამწვდომმა სომხურმა სიმღერებმა, ტემპერამენტანამ ცეკვებმა, რომლებმაც სიყვარულსა და მეგობრობას ჰიმნი შეასრულეს, დიდი მოწონება დაიმსახურეს. იმავე დღეს რუსთაველი გაიხსნა სომხური ფილმების ფესტივალი.

საქართველოს მშრომელები დიდი ინტერესით დაესწრნენ სომხურ ფილმებს: „ძმები საროიანები“, „ჩვენ ვართ ჩვენი მთები“, „აფეთქება ნაშუალამებს“, „პირადად ცნობილია“ და სხვა. მოეწყო გულთბილი შეხვედრები სომხური კინემატოგრაფიის მოღვაწეებთან.

ოქრისფერი შემოდგომა იდგა ქართლის გულში. ახლა გორი შეეგება ძვირფას სტუმრებს. სომხეთის დელეგაცია ეწვია სოფელ ტყვიავს. სოფლის კულტურის სახლში გაიმართა მიტინგი, რომელიც გახსნა პარტიის გორის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. ბზიშვილმა. მიტინგის შემდეგ სომეხმა მსახიობებმა კონცერტი გამართეს. სტუმრები ისევ გორს გაემგზავრნენ, დაათვლიდნენ ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმში, დიდების საქალაქო მუზეუმში.

სალამოს კი გორის გ. ერისთავის სახელობის თეატრში გაიმართა საზეიმო სხდომა. სომხეთის დელეგაციის სახელით გამოვიდა სოციალისტური შრომის გმირი ს. პეტროსიანი. მან დიდი მადლობა უძღვნა გორელებს გულითადი მიღებისათვის. დასასრულ გაიმართა კონცერტი სომხეთის ხელოვნება მონაწილეობით, რომელსაც დიდი მოწონებით შეხვდა გორელი მაყურებელი.

სომეხი სტუმრები კვლავ თბილისს დაბრუნდნენ. 14 ნოემბერს ეწვივნენ მეგობრობის პარკსა და გვირგვინით შეამკეს აქ დაკრძალული გამოჩენილი სომეხი პოეტის ოვანეს თუმანიანის საფლავი. შობამკვდილებით დაიტვირთა დღე. სტუმრებმა დაათვლიდნენ ქალაქის ახალშენებლობები, თბილისის ერთ-ერთი მოწინავე საწარმო — შამპანური ღვინოების ქარხანა, სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის კულბში თბილი შეხვედრა მოუწყეს სომხეთიდან ჩამოსულ სტუმრებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჭავანაძემ მიიღო სომხეთის სსრ დელეგაცია. იგი გულთბილად მიესალმა სომხეთის მშრომელთა წარმომადგენლებს, ესაუბრა რესპუბლიკის მიღწევებზე.

„ქართველ ხალხს, — თქვა ვ. პ. მჭავანაძემ, — გულწრფელად უხარია სოციალისტური სომხეთის ისტორიული გამარჯვებით. ჩვენი სურვილია, რომ სომხეთის მშრომელებმა ღირსეულად აღნიშონ თავიანთი დიდი ეროვნული დღესასწაული და კიდევ ერთხელ ცხადყონ სოციალისტური საშემოღობს ძალა და ძლიერება, საბჭოთა ხალხების ურდველი შეგობრობა“.

სომხეთის დელეგაციის მეთაურმა ს. მოვსესიანმა მხურვალე მადლობა გადაიხადა გულითადი მიღებისა და კეთილი სურვილებისათვის. მიღების დაესწრნენ მ. გოგიჩაძე

მშრომელთა დემონსტრაცია ერევანში



მშრომელთა დემონსტრაცია ერევანში



ტრიბუნაზე სამხედრო პარადისა და შშრომელთა დემონსტრაციის დროს. ერევანი, 30 ნოემბერი.

*საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის*

იშვილი, ნ. ცხაკაია, შ. ტანუყაძე, შ. კიკნაძე, მ. ლელა-შვილი, დ. გოგოხია და თ. ჩერქეზია.

შომძე სომეხი ხალხის ზეიმის აპოთოზი იყო დიდი საღამო, რომელიც 14 ნოემბერს გაიმართა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. სადღესასწაულოდ მორთულ დარბაზში შეიკრიბნენ პარტიის ვეტერანები, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწენი, საბჭოთა არმიის მეთრეფი, დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში ადგილები დაიკავეს ს. ნოესესიანმა, მ. მურადიანმა, ა. ბაბიანმა, ნ. კრიუუნკომ, გ. ბორიანმა, ვ. მჭავანაძემ, გ. ჯავახიშვილმა, მ. გოჩიაშვილმა, ს. კურკოტიკმა და სხვ. საზეიმო კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის მდივანმა ი. შევარდნაძემ. გულთბილი სიტყვები წარმოთქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, პოეტმა-აკადემიკოსმა ი. აბაშიძემ, ფელმა ბოლშევიკმა ა. გიორგაძემ, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა ქ. გურგენიძემ, გენერალ-მაიორმა ვ. კარპოვმა და სხვ. დელეგაციის ხელმძღვანელმა ს. მოვსესიანმა მხურვალე მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და კეთილი სურვილები უძღვნა ქართველ ხალხს.

„ყველგან, სადაც კი ყვოფილვართ ამ დღეებში — რუსთავის მეტალურგებთან თუ გორის რაიონის მშრომელებთან, მეცნიერებთან თუ სტუდენტებთან — ყველგან ვხედავდით და ვგრძნობდით ქართველი ხალხის გულწრფელ პატივისცემასა და სიყვარულს სომეხი ხალხისადმი, საბჭოთა სომხეთისადმი“, — აღნიშნა მან.

საზეიმო საღამო საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის

ბის დემონსტრაცია იყო. წარმატებით ჩატარდა სომხეთის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. ეს იყო სომხეთისა და საქართველოს ნიჭიერ მსახიობთა ბრწყინვალე გამოსვლა, რომელმაც აღფრთოვანებამო მოიყვანა ხალხსავე დარბაზი.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ორკესტრმა სომხეთის სსრ სახალხო არტისტის ს. ჩარქიანის დირიჟორობით დიდებულად ააქვრდა ე. მირზოიანის „საზეიმო უვერტიურა“. სომხეთის სახელმწიფო აკადემიურმა კაპელამ დიდი ოსტატობით შეასრულა ევმალიანის „ო, სომეხეთო“, რ. ლაღისის „სიმღერა თბილისზე“, ნაწყვეტები ვერდის ოპერა „ლომბარდიელებიდან“ და ტიგრანოანის ოპერიდან „ანუში“. სრულიად საკავშირო კონკურსების ლაურეატმა ი. აირაპეტაიანმა ვირტუოზულად შეასრულა სომხეთის მელოდოები სალამურზე. ჩვეული ოსტატობით დაუკრა სომხეთის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ქ. ტერმერქერიანმა ვიოლინოზე კომიტასის „ჭერმის ხე“ და სარასატეს „ხოტა ნავარა“. სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ნარ ოვანესიანმა წარმატებით იმღერა ცანგულას კუმულეტები ფალიაშვილის უკვდავი „დაისიდან“ და ღონ ბაზილის არია როსინის „სველიცილი დალაქიდან“. მალხაზის არია „დაისიდან“ შესანიშნავად შეასრულა სომხეთის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ე. მარაქიანმა.

საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ა. დვავლა და ვ. გუნაშვილმა კიდევ ერთხელ მოხიბლეს მაყურებელი მშვენიერი „ქართულით“ ფალიაშვილის „დაისიდან“. მედლეუკთა ანსამბლის თანხლებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა გ. საღარაძემ დიდი გრძობით წაიკითხა საათნოვას „მე განა მშვიერი ვიყავე?“



ფ.ი.წ.ი ვინჩიკიძე -  
 რედაქციის ბეჭდვით -

შეხვედრა თბილისის  
 აეროდრომზე



სომეხი სტუმრები რუსთაველი

*[Handwritten signature]*



კონცერტის მშვენიერად იყო სსრ კავშირის სახალხო არტისტი გოპარ გასპარიანი, რომელმაც უნაზუსად ააწკრიალა შტრაუსის „გაზაფხულის ხმები“ და ტერ-გევონდიანის „ქალიშვილის სიმღერა“.

სომხეთის საესტრადო ორკესტრი იყო კონცერტის ბოლო საზეიმო აკორდი. ხაჩატურიანის, ბაბაჯანიანის, აივაზიანის სიმღერების ლამაზი პანგები დაეფრქვია დარბაზს.

დამთავრდა მოძმე სომეხი ხალხის ეროვნული ზეიმის დღეები საქართველოში.

კიდევ ერთი დიდებული ფურცლით გამდიდრდა ქართველი და სომეხი ხალხების ძმობის მატთანე. საქართველოს მშრომელები მეზობელი ხალხის დიდ დღესასწაულს თავისად მიიჩნევენ, ახარებთ და ეამაყებათ სომეხი ხალხის წარმატებები და უსურვებენ უფრო ლამაზ მომავალს.



*Handwritten text in Georgian script, likely a signature or a note.*

შეხვედრა თბილისის უნივერსიტეტში



სომხეთის სსრ და სომხეთის კომპარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში

სომხია სტუმრები გორში

ფოტოგრაფიის  
სტუმრები

გორის მუზეუმში



ფოტო  
გორში



Յուրա շոնեմսիզոն - ~~առ~~  
Հայաստանի Հանրապետության  
Սահմանադրության հիմունքները



# საჭრითა და უნჯით

ერევან-1  
ყ. თ. ანდრონიკი 26 კვ 37.  
საქართველოს ცენტრი

ბენრიხ იგიტიანი -  
ი. ჯიბიძე

სომხური სახვით ხელოვნებას ბოლო წლებში ახასიათებს თამამი, თანმიმდევრული ინდივიდუალობა და მხატვრული დამოუკიდებლობისაკენ მიდრეკილება. უფროსი თაობის ღიდი ოსტატების შენობებზედას ააფიანთი ტენდენციები შესძინეს ახალი თაობის მხატვრებმა.

ძიებებისა და აღმოჩენების საუკუნეში, რომელიც გამოირჩევა კულტურათა ენერგიული, „აგრესიული“ ურთიერთშერწყმით, ძალზე ძნელია რაფინირებული სახით შეიქმნოს და წარმოადგინოს ეროვნული ხელოვნებაში. პიროვნების პრობლემა იქცა ამა თუ იმ ხელოვნების განსაზღვრულ ფაქტორად. ახლა უკვე ეროვნული კულტურა ხასიათდება არა ჩამოყალიბებული ნორმებითა და პროტოტიპებით, არამედ იმ პიროვნებათა მიერ შექმნილი ნორმებით, რომელთაც თავისი სუბიექტური კრედო შეაქვთ ხელოვნებაში.

აქ ჩვენ გავცნობით მხოლოდ იმ მხატვართა შემოქმედებას, რომელთაც განსაზღვრული ადგილი დაიმკვიდრეს თანამედროვე სომხურ ხელოვნებაში. ჩვენი არჩევანი შემთხვევითი არ არის. ყოველი ეროვნული კულტურის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი თავისებურებაა შემოქმედე-

ბით ინდივიდუალობათა მრავალფეროვნება. სახელდობრ, ეს თვისება უსვამს ხაზს ცოცხალი ორგანიზმის შემოქმედებით ხასიათს. იმ ცოცხალი ორგანიზმისას, რომელიც მუდმივ მოძრაობაშია და სტანდარტის, ჩანორჩინილობის წინააღმდეგია.

როდესაც ჩემს მშობლიურ სოფელში ჩავდივარ და ვუყურებ ალიზის ქოხების წინ მჯდარ ქალებს — თავი ხელზეზე რომ დაუყრდნიათ, ჩემს წინაშე მთელი სამყარო იშლება. მაიწყდება ყოველგვარი „იზმი“ და ვფიქრობ სიცოცხლეზე, ცხოვრებაზე. ცხოვრება კი გვთავაზობს გამოსახვის საკუთარ საშუალებებს, რომლებიც თვითიული მხატვრისათვის სხვადასხვაგვარია. ამაშია ხელოვნების მრავალფეროვნება და სასიცოცხლო ძალები.

ეს სიტყვები ეკუთვნის ნიჭიერ სომეხ ფერმწერს მინას ავეტისიანს. როდესაც ათვალეობთ მინასის პეიზაჟურ ფერტილობებს, შეუძლებელია დირსეულად არ შეაფასოთ მათი ავტორის შემოქმედებითი მსოფლმხედობა, თავის ქვეყანაში უსაზღვროდ შეყვარებულ მხატვარს სურს კიდევ და კიდევ გაუხვას ხაზი, თავის პატარა სოფელ ჯაჯურას



მიღებაზე საქართველოს  
კომუნისტური პარტიის  
ცენტრალურ კომიტეტში

*ფოტო ვიკეპის - მისი  
ჩუქმა საქართველოს  
პირველი პარტიული*

სილამაზეს. მ. ავეტისიანის პეიზაჟების მოტივი თავისთავად ჩვეულებრივია — ერთფეროვანი, დაფერდებული სახლები, რამდენიმე ხე, ადამიანებისა და მთების ცალკეული სილუეტი. მაგონდება ფლობერის სიტყვები: „არ არსებობს სამყაროს ნაწილაკი, პოეზიას რომ არ შეიცავდეს“.

პოეზია ცოცხლობს მხატვრის გულში. ყველაზე ჩვეულებრივ მოტივსაც კი შეუძლია მისი აღლევება, თუ მასში შემოქმედის სული ღვივის.

ავეტისიანის ჯაჯურულ პეიზაჟებში ყველაფერი გლუხურად მოუხემავია — ნახატიც და პასტოზური მონასმებიც, როგორც სომხური ქვიანი ნიადაგი. მ. ავეტისიანის პეიზაჟები კიდევ ერთხელ ამტკიცებენ ჭეშმარიტებას: ფერწერის სიმაღლედ თვით ფერწერაშია. ყველაფერი იცვლება, მიდის, თემები კარგავს აქტუალობას და კვდება, ძველდება სიუჟეტები, ორთქლდება კონიუნქტურა, მაგრამ ჭეშმარიტი ფერწერის პატარა ჩარჩო ათბობს ადამიანს, ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მას.

მინასის ფერწერაში ფერი პრინციპულ როლს ასრულებს. მის ზოგიერთ ნაწარმოებს ინტენსიური ელერადობის თვალსაზრისით ბადალი არა ჰყავს თანამედროვე სომხურ ფერწერაში. რასაკვირველია, ეს თვითმისანი არ არის. თანისთავად ფერის ინტენსივობა ჯერ კიდევ არ არის ელერადობა, ის ყვირილიც შეიძლება იყოს, იმის მსგავსად, როგორც სპილენძის მყვირალა ფერს არაფერი საერთო არა აქვს ოქროს კეთილშობილ ელერადობასთან.

XX საუკუნის გამორჩენილი ხელოვანი ჟან ლიურსა აღ-

ფროთვანდა მ. ავეტისიანის შემოქმედებით და წამოიძიხა: „მომხიბლავია! ამ ფერწერის შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს საფრანგეთის საუკეთესო თანამედროვე მხატვრებს“.

XX საუკუნე ასიმილირების თვალსაზრისით ეროვნული კულტურისთვის, ხალხებისათვის, განსაკუთრებით მცირერიცხოვან ხალხთა კულტურისათვის, ძალზე სახიფათოა. უმდიდრესი ინფორმაცია განადგურებით ეშუქრება მათ. მაშ რაშია ჭეშმარიტება? იქნებ დიდი სეზანის, ვან-გოგის, პიკასოს მიერ შექმნილის იმიტირებაში? არა. ჭეშმარიტება ყოველთვის იყო და რჩება ცხოვრებაში, მხატვრის გარემომცველ ცხოვრებაში, მშობლიურ მიწაში, სამყაროს პირველქმნილ აღქმაში, საკუთარ პირობებში გარდატეხის გზით.

ეროვი გალსტიანის შემოქმედების ძალა ფერის საშუალებით ეროვნული ხასიათის ნათელ გამოვლინებაში მდგომარეობს. სომხეთის დიდებული მუნების ხასიათი გადასცემა მხატვრის სულს, მისი ფერტილოების ფაქტურას. მათი ღირებულების სათანადოდ შეუფასებლობა შეუძლებელია.

ერუირის ნატურმორტიები, ისევე, როგორც მთელი მისი შემოქმედება, არ წარმოადგენს აღმოსავლეთის მშენებლათა ევზოტიკურ შერჩევას. იგი არასოდეს ზრუნავს საგნების შერჩევასა და განლაგებაზე, არამედ პირველ რიგში აღლევებს ფერწერის სიმაღლედ. ძნელია ერუირის მიკუთვნება რომელიმე ჟანრის ფერწერებისადმი. იგი ფერწერია მთლიანად.

მხატვარი ერთობ პრინციპულად ეკიდება თავის საქმეს.

ის, რაც ახარებს, აკმაყოფილებს მნახველს, დამაკმაყოფილებლად არ მიიჩნია მშვიდ, საკუთარი თავისა და კოლეგებისადმი ძალზე მომთხოვნ შემოქმედს.

წმინდა ფერწერული ხარისხის, ფერთა შერჩევის სპეციფიკის გარდა მნახველს უნდა აღუგებდეს არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი, აზროვნება, მსოფთმხედველობა, თანამედროვე ხელოვნების ტენდენციები. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, აღწევს თუ არა მხატვარი სრულყოფილებას, რა გრძნობას უღვიძებენ იგი ადამიანებს, რა შეუცნობლობა სამყაროს გახსნიან მისთვის ისინი.

რუბენ ადალიანის „ხიროსიმა“ და სხვა ნაწარმოებები თანახმადია იმ თანამედროვე ხელოვნებისა, რომელმაც ჩვენს საუკუნეში ახალი ფორმები დაამკვიდრა. ტექნიკის უახლესი მიღწევები თავის გავლენას აჩენენ სახვით ხელოვნების განვითარებას ჩვეულებრივ მოვლენებად, ფერად-მა ტელევიზიამ, კინოხელოვნებამ, ფოტომ, ნაწილობრივ, თავის თავზე აიღეს ეს ფუნქციები, რაც ძველად სახვით ხელოვნებას ეკისრებოდა და გაკლენა იჭირებს მის შემდგომ განვითარებაზე. ახლა მოაზროვნე მხატვრები და მოქანდაკეები ეძებენ ახალ გზებს, ახალ საშუალებებს სახვითი ხელოვნების სპეციფიკურ, დამოუკიდებელ დონეზე ასაყვანად.

ადელიანს თავისი „ხიროსიმა“ ნატურაში რომ წარმოესახა, ვერ მივიღებდით საერთო-საკაცობრიო უბედურების შერჩენების, არამედ შევივლიდით მხოლოდ კონკრეტულ ეპიზოდს, თუნდაც სასვებით გადაწყვეტილს. განზოგადებული თემა განზოგადებულ გადაწყვეტას მოითხოვს. ადელიანის ფერტილოში შესაფერისი სახვითი ასახვა ჰქონდა სიმბოლიკამ და განზოგადებამ.

... უბედურება, განწირული ადამიანები პანიკას შეუპყრია. ფერტილის გარს აკრავს მკვდარი ატმოსფერო, ღრჭალით, ყრუ აფეთქების ხმა, მკვდარი მულოდია, რომელიც ლითონის ფლარები აღწევს. ტილოში მინიმუმბაც კი არ არის ტექნიკაზე, არ ჩანს დროის ატრიბუტ... მიუხედავად ამისა, მნახველი ღრძნობს ჩვენი დაძაბული საუკუნის სუნთქვას.

ექსპრესია, რომელსაც მიმართავს მხატვარი, ვრცელდება არა მარტო ფიგურებზე, არამედ ფონზე — ქვებზე ფიგურების ქვევით და ყველაფერი ერთად ქმნის შთამბეჭდავ სურათს.

თანამედროვე სომხურ ფერწერაში მნიშვნელოვანი იყო ნიჭიერი მხატვრის აკოვ აკოფიანის გამოჩენა. ეს მხატვარი ჩვეულებრივშიც კი ხედავს სილამაზეს. რამდენიმე წლის მანძილზე აღნიშნავს ცხოვრებისას მან შექმნა პერსაჟები ის სერია. აკოფიანის ინდივიდუალობა უდავოა. მან სომხეთის პერსაჟში დაინახა და გადმოსცა ის, რაც მანამდე არავის შეუნიშნავს და გადმოუცია.

წყარბი, მყუდრო ქუჩები, სახლები პერსპექტივაში და მოლოდინი... სატელევიზიო ბოძი. იგი ხატავს ახალი გიუმრის სურათს, სრულიად ახალი ინტერპრეტაციით. ამასთან, ძალზე ზუსტად გადმოსცემს ქალაქის ხასიათს — თითქოს აკოფიანამდე არავის შეუნიშნავს, რომ ამ ქალაქში ამდენი მშენიერი რამ იყო. მაგრამ აქ საქმე არა ქალაქის

მშვენიერებაშია, არამედ იმაში, რომ მოვიდა მხატვარი, რომელმაც ჩვეულებრივი შეუმჩნეველი სახლების, გამხმარი ხეებისა და სატელეფონო ბოძებისაგან შექმნა მშვენიერება, ხის ტრექების დეტალიზაციისა თუ სატელეფონო მაკოულეების გადმოცემისას აკოფიანის სიტყვააქუნება. იგი ამტკიცებს, რომ ბუნების წაკითხვა ნატურული აზროვნების დროსაც კი უსაზღვროა. სომხური ბუნების მოჩვენებითი ზუსტი ინტერპრეტაცია, გადმოცემის სკრუპულოზობა ამავე დროს პირობითია და იმიტაციად არ აღიქმება. პარადოქსალურია, იგი აახლებს ბუნების აბსტრაგირებას და ამასთან არ არღვევს ფორმებს, პირიქით, ანთავისუფლებს მას ზღმეტი საგნებისაგან და სურათში შეაქვს ანალიტიკური აზროვნების ელემენტები.

ქენრის ელიბეკიანი თავიდან ფერწერაში არ მოსულა. ხელოვნება ბავშვობიდანვე დაისახა მის ბედად, მაგრამ, კერძოდ რომელი სახეობა, რეჟისურა, თეატრი, კინო, მსახიობის ოსტატობა, გადაწყვეტილი არ ჰქონდა. ბევრი ფიქრისა და მერყობის შემდეგ ფერწერის გაკლენას დამორჩილდა და მისმა სტიქიამ საბოლოოდ დაიპყრო. „მოუთმუნლად ველი გათენებას, რომ ფუნჯი ავიღო ხელში“ — მხატვრის ეს გულწრფელი სიტყვები ფერწერისადმი დიდ სიყვარულს გამოხატავს. ფერწერას შეუპყრია მთელი მისი არსება.

ელიბეკიანის შემოქმედების საფუძველი განუსაზღვრელი ტემპერამენტია. მის სურათებში, თითქოს გამოთქმულად დარჩენის ემინიათ, ერთმანეთს ასწრებენ ემოციები, მას არასოდეს შემოაკლდება თემა, ლოტივი. მის სურათებში სასამარის აქვით გამოწვეული დაურსულელები შერგნებები და ემოციები.

ელიბეკიანი კომიტასის სახის შექმნისასაც კი არ მისდევს ზუსტი გარეგნული ნაკვიების გადმოცემას. მას უფრო იზიდავს გამოჩენილი კომპოზიტორის მუხბარე, ნაღლიანი სული. კომიტასის დრამატიზმი მიიპყრება და ხელების მტვრევაში კი არ აისახება, არამედ ამას გვაძლევს ფერტილის ჩაშუქებულ, დაძაბული ატმოსფერო. ენერგიული მონასხებით მიღწეული ფაქტურის ექსპრესია ასწრებს ფორმების გარეგნულ ექსპრესიას. დინამიურობა ნახატის გარეგნულ ხაზებში არ არის მოქცეული, ის საიდანაც შიგნინად ამოხეთქავს.

3. ელიბეკიანის ფერწერა მშენიერი სიზმარს ჰკავს. მხატვარი მათ გადმოგვცემს ერთი ამოსუნთქვით, თითქოს ემინია შერგნებებმა არ გაუაროს და რაც შეიძლება ჩქარა გადაიტანოს ტილოზე ის, რაც ღამე არ აძლევდა მოსვენებას. როდესაც მხატვარმა გარის წმინდა სტვენანეს ტაბა-რი იხილა, ექსპრესიული შერგნებებით აღსავსე, აღწერა ცის გამჭვირვალე სილურჯეში ანთებული სომხური ოქროსფერი შემოღობა, რომელიც მირავს უფრო ჰკავდა, ვიდრე ნანახის ფიქსირებას. ელიბეკიანის სახელოსნო ფერთა თავისებური ფეიერვერგია, ფანჯარის ჩანქერი, რომელიც გაიძულვს იფიქრო და სრულყოფილად შეივრძნოს სიცოცხლე.

ამიტო ოვანესიანის შემოქმედებაში ასახული სამყარო ვიწრო და უპრეტენზიო: დღად ჩვილით, მშობლიური სოფ-

ლის პეიზაჟი, გოგონა ხატავს, მწველავი ქალი, ნატურმორტი ჩაიდანით. მისი ფერწერის ხარისხი კი მყარი და სანდოა. მოტივების პროზაულობა და ყოველდღიურობა არ ამცირებს ა. ოვანესიანის ტილოების ღირსებას, არამედ კიდევ ერთხელ ადასტურებს ტექნიკურებას: ნაწარმოების მხატვრული ღირებულება მის არსში, სელოვნების სპეციფიკურობაშია.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ „ქალი ცოცხით“, რომელზეც მხატვარი კარგახანი მუშაობდა. ხანდახან შემოქმედი ერთ ნამუშევარში ეძებს და პოულობს იმას, რაც განსაზღვრავს მისი შემოქმედების საწყისებს, ა. ოვანესიანი რამდენჯერმე დაუბრუნდა ამ ნამუშევარს და ყოველთვის რაღაც არ მოსწონდა, რაღაცას ასწორებდა, ცვლიდა. ამ გზით მიიღწია იმ ღონეს, რასაც თანამედროვე ფერწერაში იშვიათად შევხვდებით.

ა. ოვანესიანის ნამუშევრებში არ არის გამოწვევა, პრეტენზიები. აქ არის მხოლოდ საკუთარი თავის გამოსახვის უდიდესი სურვილი. მისი ნიჭი პროექტორის მძლავრი სხივივით არ ანათებს, იგი ისეთ კეთილშობილ ნათელს გამოსცემს, რაც შუა საუკუნეების ტაძარში სანთლის შუქზე დინანება.

რამდენიმე წლის წინ რობერტ ელიბეკიანს სულ ცოტანი თუ იცნობდნენ. დღეს მის გვარს უკვე კინოფილმების ტიტრებზე, ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის აფიშებზე ვხვდებით. მისი ნაწარმოებები იფინება რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებზე. მის მთელ შემოქმედებას ერთი თემა გასდევს ზოლად — ქალის სილამაზე. ხშირად მთელი პრობლემა ერთი ან ორი ფიგურის გამოსახვაში მდგომარეობს. არის თუ არა ეს პრობლემა? არის და თანაც მეტად რთულიც. თავისი ინტერესების ამ „ვიწრო“ წრეში რ. ელიბეკიანი ხსნის ძირითად ამოცანას — მიიღწიოს, ფერთა თვალსაზრისით, მაქსიმალურად დატვირთულ სივრცეს, ფაქტურის სიმდიდრეს, ფერთა მელოდიას. რაც არ უნდა გამოხატოს მხატვარმა, მისი პალიტრა მუდამ პოეტურია. რ. ელიბეკიანის ფერტილოები, თითქოს ახლებურად ასახავენ, ავსებენ შორეული საუკუნეებიდან მოსულ „ინფანტებს“. სურათების ფაქტურას ნიჭიერი მხატვარი ამდიდრებს ფერთა სრულიად მოულოდნელი შეხამებით. მისი ტილოები ჰგავს მარგალიტებით უხვად მოფენილ თანავარსკვლავედს. ელიბეკიანისთვის არ არსებობს მეორეხარისხოვანი საგნები. ყველაფერი, რაც მის სურათებში შე-

ოვანეს თუმანიანის საფლავთან



*ოვანეს თუმანიანი*  
*დავით აღმაშენებლის*





ე. გოჯაბანიანი.

ქალიშვილის პორტრეტი

ოთხი აზიზი მკისეკეიანის  
- მამა

(მისამართი - ქუჩა 1  
ახოვიანის ქ. № 36 ბინა 28)

ოთხი ხეყუმი მკისეკეიანის

მ. პეტროსიანი.  
მსხვერპლშეურივა



დის, ერთნაირად არის დამუხტული. ნატურიდან გაკეთებული კონკრეტული პორტრეტებიც კი პოეტური იდუმალუბობითა მოცული.

მარტინ პეტროსიანი, შეიძლება ითქვას, მხატვრად დაიბადა. ბუნებამ იგი უხვად დააჯილდოვა მხატვრისათვის აუცილებელი ფერთა შეგრძნების უნარით. ბევრი რამის შესწავლა შეიძლება, მაგრამ კოლორისტად უნდა დაიბადო ადამიანი.

მ. პეტროსიანის ფერტილოები გამოირჩევა ღრმა სახეუნებითა და არაჩვეულებრივი ფანტაზიით. ამასთან, ეს ფანტაზია დამყარებულია მეტად რეალურ შეგრძნებებზე, რაც მხატვარს პიკერბოლამდე და ფორმების თავისუფალ ასახვამდე მიჰყავს.

აი, ერთ-ერთი მისი ტილო: პირქუში მთების წვეტებიან მწვერვალებზე დაძაბულობისაგან ჩაშავებული მზე დაკიდებულია. პეიზაჟის ცენტრი მოწითალო-მოყვითალო, უკიდურესობამდე დაძაბული და ცველწაყიდებულია, მასში თავმოყრილია ცეცხლის და სინათლის ძალა. ამ, აზროვნების ფორმების თვალსაზრისით, მეტად თანამედროვე, ნაწარმოებში საოცარი მონოლითურობით არის შერწყმული სიძველე და თანამედროვეობა.

მარტინის ფანტაზია უსაზღვროა. ლამაზი, ტაქტიანად სტილიზებული ხეები, მონუმენტური მთები, ზღაპრული ოქროს თევზებით სავსე მჩქეფარე მდინარეები, ქმნიან ლამაზი, ჯადოსნური სამყაროს შთაბეჭდილებას.

მხატვრის ფერწერის დაძაბული, მკაცრი თავშეკავებულობა სურათს განსაკუთრებულ, ფეერიულსაგან და ადვილად აფეთქებადსაგან განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებს. მისი ფერტილოები „ჩვენი ოჯახი“, „ნიღბები“, „ავტოპორტრეტი ქალიშვილებით“, „ჩემი სიზმარი“ გადაწყვეტილია მკაცრ ტონებში. აქ ჭარბობს შავი, მწვანე, ოპრა, ყავისფერი, ლურჯი და თეთრი ტონები. ფერთა ამ თითქოს ძუნწი შეხამებით მხატვარი აღწევს გასაოცარ ჟღერადობას.

მარტინის ნახატი გამომსახველია, მუსიკალური ხაზები ხან ნაზად იხრება ტირიფის მსგავსად და ნაღვლიან მელოდიას გამოსცემს, ხან კი ენერგიული კონტურებით გვიხატავს სომხეთის ძლიერ, უძლეველ მთებს.

ყოველ დროს ეპოქის რიტმის თანახმიერი აზროვნების ფორმები და მსოფლმხედველობა ახასიათებს. არტო ჩაკმაქჩიანი თანამედროვე ფორმებთან ძველი სომხური ქანდაკების საფუძვლიანი შესწავლით მოვიდა. მან ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს გამოამყვანა სურვილი სტანდარტის, ვიწრო აზროვნების დარღვევისა, რაც დიდხანს ბატონობდა თანამედროვე ქანდაკებაში, არტო ჩაკმაქჩიანი მხატვართა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც თავის შემოქმედებაში აფართოებენ და აღრმავებენ წარმოდგენას საგნებზე, მოვლენებსა და ფორმათა ურთიერთობაზე.

ახლისადმი სწრაფვა, თავისუფლებისადმი სწრაფვაა. თავისუფლება კი თვით ადამიანშია და ეს ანიჭებს მას ბუ-



რ. ელიბეკიანი.

ლობილები

ა. ჩაკმაქჩიანი.  
დუღის პორტრეტი



ნების ახალ-ახალი მხარეების, შრეების დაპყრობის ძალას, მისი შეგწეობით ამდღერებს ბუნებას, ქმნის ახალ სამყაროს. საუკუნეობრივი ბოროტებისაგან განთავისუფლებული ადამიანი ახალი პლანეტებისკენ მიისწრაფვის, რომ უფრო ძლიერი და თავისუფალი გახდეს, დაიმორჩილოს ბუნების ძალები.

ჩაკმაქიანი აღწევს გამომსახველობას, იდეას კი გამოხატავს პლასტიკით, ფორმებით, პროპორციით.

XX საუკუნის ქანდაკებამ, პლასტიკური აზროვნების თვალსაზრისით, დიდი ცვლილება განიცადა. თანამედროვე ქანდაკების მიზანია, არა ფორმების იმიტირება, არამედ ახალი ფორმების შექმნა. არტო ჩაკმაქიანი უბრალოდ როდი მიმართავს ზოგიერთ დეფორმაციას, ბუნებრივი ფორმების მცირე ცვლილებას. იგი ცვლის ფორმებს და ქმნის ახალს, ამით კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ხელოვნება ადამიანის ფანტატიკის სამყაროს მიეკუთვნება, მისი პირ-მშობა, მისი აზროვნების პროდუქტია.

გამოსახვის საშუალებათა სიძუნწის მიუხედავად, მისი ომბი დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ძველი ძალზე გამომსახველია. ძლიერ შთამბეჭდავია ზეცას შერწყმული სამი თითის მრისხანე სილუეტო.

ძლიერი მოცულობების, კონტურების, მკვეთრი შუქჩრდილების, უცნაურ ფორმებიანი მთის მასივების ქვათა ქვეყანას შეუძლებელია არ ემუა ადამიანები, რომლებიც ამავე ქვეებს ახალ ფორმებს მიანიჭებდნენ, ახალ სიცოცხლეს შთაბერავდნენ. ერვანდ გოჯაბანიანის ხელში ქვა

ცოცხლდება, თავისებურ ფორმას იძენს. ამასთან კი არ გარგავს შინაგან ძალასა და სიმძლავრეს, არამედ ამტკიცებს დაფარულ შესაძლებლობებს. შავი ტუფი გოჯაბანიანმდე არავის გამოუყენებია ქანდაკებაში. ახლანან დაამთავრა მხატვარმა ქ. დემუნბეში ხელოვნების სასახლის ფსადის უსარმაზარი ბარელიეფი, რომელიც ოქტომბერიანის წითელი ტუფისგან არის გამოკვეთილი. რთული დეკორაციული კომპოზიციის სახით ჩაფიქრებულ ნამუშევარში შერწყმულია მრავალფეროვანი ერთგული მცენარეული და ფიგურული ორნამენტი, შესრულებული რიტმის, მიცულობის, ფორმის ღრმა ცოდნით. ეს ნამუშევარი თავისი განაღლით-შულობით, მასშტაბებითა და მხატვრული ღირსებებით ჩვენი მოქანდაკეების მიერ ბოლო ათწლებლებში შექმნილ ნამუშევრებზე გაცილებით მაღლა დგას. ამგვამდე ე. გოჯაბანიანი მუშაობს ბარელიეფზე ახალ მრავალსართულიან სასტუმრო „ანისისათვის“.

არამაზდ შირაზის ჯანალი, მიწის სურნელებითა და ძალით გაქეფილი დინამიკური ქანდაკებები სიცოცხლეს ამკვიდრებენ. ქალის შიშველი ტანის შირაზისხელი სერია განსაზღვრავს მის შემოქმედებას. მის ამ ასკეტური მოქმედებით განსაზღვრულ თემატურ ერთფეროვნებაში ჩანს ღრმა ლოგიკა. თავისი შესაძლებლობების კონკრეტულში გამოხატვა, კონკრეტულში კი განზოგადებების მიღწევა, ამისთვის საჭირო ფორმების მონახვა და ამ გზით პლასტიკური მსოფლშეგრძნების გადმოცემა — აი, შირაზის ძიების მიზელი არის. არა დიაპაზონის სიფართოვე, არამედ აზრების თავმოყრა განსაზღვრავს პიროვნებას ჩვენს ინფორმაციებით უხვ ეპოქაში.

მშვიდი დიდებულება, ყოველგვარი გარეგნული პათოსის გარეშე, ქანალი, დედის სიყვარულით გამოწვეული სიამაყე, ადამიანის ძალების რწმუნა ასახა შირაზმა თავის „მჯდომარე ქალის“ ქანდაკებაში. ბუნებრივია, ნაწარმოების სიმარტივე „მჯდომარე ქალის“ ანიჭებს განსაკუთრებულ მომზივლელობას და უტყუარობას, რაც უარყოფს ყოველგვარ ზერელე ექპეტურობას.

რ. ადლიანი.  
ზიროსიმა



18 ფოთი პავისიკაიანის - *[Signature]*  
იუსუმი ზეკრენკოს - *[Signature]*

შირაზის ქანდაკებები  
შირაზის ქანდაკებები

ა. შირაზი.  
მწვანე ქალი



შირაზის ქანდაკებებს ახასიათებს ის აუცილებელი, ურომლისოდაც ეს უძველესი ხელოვნება მიუღებელი იქნებოდა. რა მასალაშიც არ უნდა მუშაობდეს ახალგაზრდა მოქანდაკე, მისი ნამუშევარი ყოველთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, ვინაიდან გარეგნული პლასტიკა ისხმება ძლიერ კარკასზე, იგრძნობა არქიტექტონიკა, ძლიერი ჩონჩხი.

ყოველი დროის მოქანდაკის შემოქმედება ეყრდნობოდა პლასტიკურ კანონებს. მათ გარეშე შეუძლებელია ლაპარაკი ქანდაკების ფუნქციასა და მის შემდგომ განვითარებაზე. ყველაფერს, რაც პლასტიკური ნორმებისა და მოცულობების გარეშე შეიქმნება, ტრივიალობამდე მიყვავართ, შირაზის შემოქმედების ძირითადი პლასტიკური ამოცანები ემყარება ადამიანის შიშველი ტანის ფორმების თავისებურ ინტერპრეტაციას.

ჩვენს მიერ აქ განხილული მხატვრების შემოქმედება, მხოლოდ ნაწილია იმ ვეებერთელა სამჭედლოსი, რომელშიც თანამედროვე სომხური ხელოვნება იქედება.

ისინი იმით არიან საინტერესონი, რომ არ გვანან ერთმანეთს. ამასთან, მათ აერთიანებთ შექმნილი მხატვრული ფასეულობა და ის, რაც მათთვის წარმოადგენს საგზურს ხელოვნების რთულ და მომხიბლავ სამყაროში.

ბ. ელიშვიანი.

მოგონება



ვოიკი სემიონოვი - ~~ვოიკი~~  
იეკუმი შვხინკის - ~~იეკუმი~~

ფოტო პანორამა - მონტაჟი  
მონტაჟი დეპარტამენტის

საქართველოს  
საბჭოთა კავშირი



მეურვებელთა დარბაზში

ერევნის ოპერის თეატრის სოლისტი ვ. გაბაიანი



# სოფხ ხელოვანთა კონსერტაჟი თბილისის კონსერვატორიაში

დირიჟორი ლ. ხანჭიანი.



20 ფოტო პანორამა - მონტაჟი  
ჩეხოვი ვიზუალის - მონტაჟი

ნოქი პანორამა - მონტაჟი  
ჩეხოვი ვიზუალის - მონტაჟი



სომხეთის სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი. მარცხნიდან — ლ. შამიკონიანი, მ. ერიტიანი, ფ. სიმონიანი, ი. მანუკიანი.

ფილი ძაბოს-~~საქონისეგი~~  
ხეყუბი ჳონნიას-~~საქონისეგი~~

საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. დირიჟორი დ. ხანჯიანი, მევიოლინე ა. ციციკიანი.



ფილი ძაბოს-~~საქონისეგი~~  
ხეყუბი ჳონნიას-~~საქონისეგი~~



VIII სკიფლადის ღიალი ზედაჯგუფი

# ახალი წელი, ახალი ამოცანები

გივი ბოჯგუა —

ბრძოლის, მრავალსახოვანი და მალაღვანეთარებელი მეოცე საუკუნის სამოციანი წლები ისტორიის კუთვნილება გახდა, დაიწყო დიდი იმედების მომცემი სამოცდაათიანი წლები. საბჭოთა ადამიანები კეთილად გამოეთხოვნენ სამოციანი და სამოცდაათიანი წლების შემეცემიარებულ ათას ცხრას სამოცდაათს, რომელიც ნამდვილად ბედნიერი და ღირსშესანიშნავი იყო ჩვენი დიდი სამშობლოს მშრომელებისათვის. და ეს ღიბონი სიტყვები როდია. მარტო ნაწეიმები თარიღებისა და მოვლენების ჩამოთვლაც იკმარებს საბუთად და დასტურად.

1970 ეს იყო ახალი ტიპის კომუნისტური პარტიის შემქმნელისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამარსებლის, მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების ასი წლისთავის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 53-ე, ქვეყნის შინაგანი განვითარებისა და სახლგარგარეთის ქვეყნებთან (მათ შორის კაპიტალისტურ ქვეყნებთან) სამშვიდობო პოლიტიკის განმტკიცების წელი. ამ წელს მთელმა მსოფლიომ აღნიშნა კარლ მარქსის დიდი თანამებრძოლისა და მეგობრის, ყოვლისმძლე მარქსისტული მოძღვრების ერთ-ერთი შემქმნელისა და დამფუძნებლის — ფრიდრიხ ენგელსის დაბადების 150 წლისთავი;

კეთილი ნების ადამიანებმა ამავე წელს იზეიმეს მამაცი საბჭოთა ჯარების ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების მეთოხნელსაუკუნოვანი იუბილე. ეს იყო მსოფლიო მასშტაბის მოვლენა, რადგან 1945 წლის 9 მაისმა მოუპოვა მთელ სამყაროს, განსაკუთრებით კი ევროპას, სიმშვიდე, ხოლო მის მრავალ ქვეყანას — სოციალიზმის აშენების შესაძლებლობა;

სწორედ 1970 გახდა საბჭოთა კოსმონავტიკის ტრიუმფალური წინვლის წელი — როცა ჩვენი სახელოვანი მცენიერების, ტექნიკოსებისა და მუშების ერთობლივმა შემოქმედებითმა შრომამ შექმნა უნიკალური აპარატურა, რომელსაც ადამიანის სიცოცხლის საფრთხეში ჩაუგდებლად შეუძლია მთვარის გრუნტის ნიმუშების ჩამოტანა დედამიწაზე, თვით ადამიანივით სიარული და უაღრესად საჭირო მეცნიერული კვლევის ჩატარება ამ პლანეტაზე. დიას, ზიპარი სინამდვილედ იქცა — საბჭოთა ადამიანების ნებით მთვარეზე დადეს და მუშაობს „ლუნინოზ-1“, ფართო გზა გაეხსნა კოსმოსური სივრცის ათვისებას ავტომატური სადგურების გამოყენებით;

გასულ წელს იზეიმეს საბჭოური ცხოვრების ნახევრასაუკუნოვანი იუბილეები მოძმე ყაზახეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკებმა და მათმა სახელოვანმა კომუნისტურმა პარტიებმა;

1970 წელი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ იგი არის დამაგვირგვინებელი წელი სსრ კავშირის სახალხო მურწივების განვითარების მერვე ხუთწლიანი გვემისა, რომლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში კიდევ უფრო განვითარდა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კულტურა, მეცნიერება. გაუმჯობესდა მშრომელთა მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. საბჭოთა ადამიანებმა სიამოვნებით შეიტყვეს, რომ „სკპ XXIII ყრილობის დირექტივებით განსაზღვრული ხუთწლიის მიჯნები მიღწეულია, მთავი როგი ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით კი გადაჭარბებით იქნება შესრულებული. ცხოვრებამ სასუსებით დადასტურა პარტიის მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკის სისწორე და მის განსახორციელებლად ცენტრალური კომიტეტის პრეკტკულ ღონისძიებთა ქმედითობა. მუშათა კლასის,

კომპლექსურ გეგმობის, ინტელიგენციის თავდადებულ შე-  
მოქმედებით შრომის მეოხებით გადაიდგა დიდი ნაბიჯი  
წინ, ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებ-  
ისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მეც-  
ნიერებისა და კულტურის აღმაშენებისათვის, საბჭოთა სა-  
ხელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათ-  
ვის.

მერვე ხუთწლივით გათვალისწინებული დავალებებისა  
და ხაისრ ვადლებულებათა პირნათლად განაღდებისათვის  
ქვეყნის საყოველთაო შრომით ფურხულში აქტიურად იყო  
წამული ჩვენი მშობლიური რესპუბლიკაც. საქართველოს  
შრომელებმა ჩინებულად დაამთავრეს ვ. ი. ლენინის საიუ-  
ბილო წელი და მერვე ხუთწლივით აღსანიშნავია, რომ  
რესპუბლიკის მრეწველობამ ვადადმე და გადაჭარბებულ  
შესაღწევას პროდუქციის რეალიზაციის 1970 წლის გეგმა.  
ამასთან სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა  
1969 წლის შედარებით გაიზარდა 8 პროცენტით და მე-  
ტად. თავდადებით იშრომეს საქართველოს სოფლის მეურ-  
ნეობის მუშაკებმა, რომლებმაც პირნათლად განაღდეს სა-  
რისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, შაქრის, მარცხლის, თეს-  
ილოვანი და კარკინი ხილის, ციტრუსების, გარკვეულეუ-  
ლსა და პარკოსანი კულტურების, კარტოფილის, ხორციისა და  
რძის მარცხივების ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული  
დავალებები წარმატებით წარამართა აგრეთვე სხვა სა-  
სოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვაც.

მერვე ხუთწლივით კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი სა-  
ხელოვანი მურაშის, კომპლექსურ გეგმობისა და ინტელი-  
გენციის პირნათლად-პოლიტიკური ერთობისა, მრავალმეო-  
რავანი საბჭოთა ხალხების ძიბობა-მეგობრობა, კავშირი კომუ-  
ნისტურ პარტიასთან, რომლის დევნათა: ყველაფერი აღა-  
მიახსნათვის, მისი ბედნიერებისათვის!

საქართველოს სახალხო მურწინებამში მოპოვებული წარ-  
მატებები ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ შრომელებმა  
თავიანთ ღვიძლ საქმედ მიიჩნიეს სკკპ XXIII ყრბოლობის  
მიერ გამოთქმული დირექტივების უთუო შესრულება,  
რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციაც და მთავრობამ  
მიზანბრუნებულად წარამართავენ მუშაობას, რომ ხალხი-  
სა და პარტიის საქმე განუყოფლია.

რესპუბლიკის ცხოვრებამში დიდი მოვლენა იყო საქარ-  
თველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე  
სესია, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ სახალხო  
მურწინების განვითარების 1971 წლის გეგმები და ბიუ-  
ჯეტი. სესიაზე კმაყოფილებით აღინიშნა 1970 წლის მო-  
ოპებულ წარმატებები და დაისახა საბჭოთა საქართველოს  
საიუბილო წლის, მეცხრე ხუთწლივლის პირველი წლის  
გეგმები, რისი განხორციელებაც ახალ, მაღალ საფეხურზე  
აიყვანს რესპუბლიკის სახალხო მურწინებას.

ფრიად მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ხელო-  
ვნების ფრონტის მუშაკებმაც. მათ მრავალი შესანიშნავი  
ღონისძიება მიუძღვნეს დიდი გეგმის საიუბილო თა-  
რისად. საქართველოს სსრ მწერლის, კომპოზიტორთა,  
მხატვართა კავშირებმა, რესპუბლიკის კულტურის სამი-  
ნისტრომ, მიიხსიტრთა საბჭოთაან არსებულმა ბჭვედითი  
სიტყვისა და კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტებმა,  
თეატრალურმა სასოფლოებამ გამოაცხადეს კონკურსები  
ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი ლიტერატურისა და ხე-  
ლოვნების საუკეთესო ნაწარმოებზე, რის შედეგადაც შე-  
იქმნა მნიშვნელოვანი ნაწარმოებები და გამოვლინდა მრავ-  
ალი ნიჭიერი შემოქმედი.

1970 წელს ამავე თარისდ მიძღვნილ შემოქმედებით  
ორგანიზაციების საიუბილო პლენუმში. საქართველოს  
კომპოზიტორთა კავშირმა, მაკალითად, გამართა საიუბი-  
ლო კონცერტები, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა და შე-

საკალურ ლენინიანად წარმოგვიდგა. აღნიშნულ კონცერ-  
ტებზე შესრულდა თ. თედორაძის სიმფონია, ა. ჩიჩიაძის  
კოკალურ-სიმფონიური პოემა „კლდემურ ლენინი“, თ. გორ-  
დელის „ოდა ლენინზე“, ს. ციციშვილის ორატორია „უკვდა-  
ვება“, ა. შავერშაშვილის სიმფონიური პოემა „ლენინე-  
ლები“, ნ. გულაშვილის მესამე და შ. მშველიძის მეოთხე  
სიმფონიები.

საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირმა დადგმების  
ბოლოს კიდევ ერთი მუსიკალური პლენუმი გამართა, რომ-  
ელზე მიმდებარა საქართველოს საბჭოთა ხელოვნების  
დამტარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50  
წლისათვის. აღნიშნულ პლენუმზე ძირითადად ატლერდა  
სხვადასხვა ეარნის ასალი მუსიკალური ნაწარმოებები.

ლენინური დღეების ზეიმად გადაიქცა სსრ კავშირის  
ხალხთა ხელოვნების დღესასწაული, რომელშიც მონაწი-  
ლეობდნენ ჩვენი ქვეყნის გამიჩნეული მუსიკოს-შემსრუ-  
ლებები, ესტარდოს, მოცეკვავეთა ხალხური ანსამბლები-  
სა და ბალეტის მახიობები. ეს შესანიშნავი სანახაობა  
ორ კერძს გაგრძელდა თბილისში.

საქვით ხელოვნების დარგში დიდი მოვლენა იყო ვ. ი.  
ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სა-  
ქართველოს მხატვართა საიუბილო გამოფენა თბილისის  
სურათების სახელმწიფო გალერეაში. აქ, მრავალათასიანი  
დამთვალიერებლის წინაშე წარადგინეს უფროსი თაობის  
და ახალგაზრდა მხატვართა წარმომადგენლები თავიანთი  
ფერწერით, ქანდაკებით, ჭედრობით, გრაფიკითა თუ გა-  
მოყვებით ხელოვნების საამი ნიმუშებით.

1970 წელს დღე-ღამეაქვე მოეწყო აგრეთვე თვითნა-  
წავლ და ახალგაზრდა მხატვართა („ახალგაზრდა-70“) გამო-  
ფენები; ამ ნამუშევრებმა მშვენიერი შთაბეჭდილება  
შაძინებინა, ხოლო მათმა ავტორებმა პრემიები და ჯილ-  
დები დამსახურეს.

საზოგადოება ინტერესით მხედდა აფხაზეთისა და აჭარის  
ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკების მხატვარ-  
თა გამოფენების თბილისში. გაზრდა ამისა თბილისშივე მო-  
ეწყო ლადო გუდიშვილის, კობა გურგულის, ნათელა იან-  
ჭიშვილის, ელენე დიგუროვა-ჭიჭიძის, ჯემალ ლოლუსა  
და სხვათა პერსონალური გამოფენები.

სასამიოებო იმის მოგონება, რომ გასულ წელს ლენი-  
ნური პრემია მიენიჭა საბჭოთა თეატრალური მხატვრო-  
ბის ბრწყინვალე წარმომადგენელს — სოლოკო ვინასლა-  
ძეს, ხოლო მხატვარ ზურაბ წერეთელს — სახელმწიფო  
პრემია; სერგო ჭობლაძემ და აპოლონ ქუთათელაძემ სსრ  
კავშირის სახალხო მხატვრის წოდებებით მიიღეს, არჩილ  
ქურდიანის სხვით კი შევეშვათ სსრ კავშირის დამსახურე-  
ბული არქიტექტორი.

შარშან 50 წელი შესრულდა საბჭოთა საბავშვო თე-  
ატრის. ამ თარიღთან დაკავშირებით ღირსეულად დადგას  
რესპუბლიკის მოზარდ მავურებელთა და თოქრების თე-  
ატრების ღვაწლი მოზარდი თაობის კომუნისტური სუ-  
ლისცეფებით აღზრდის საქმეში.

გასული წლის მარტში კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურ-  
ცული ჩაიწერა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის მარტი-  
ანში — ბაქოში დაიწყო, ერევანში გაგრძელდა და თბი-  
ლისში დაარბნა უკანასკნელი აკორდი აზერბაიჯანული,  
სომხური და ქართული პოეზიის დღესასწაულმა. ეს იყო  
სამი მომედ ერის პოეტთა საზეიმო პაქტიონა. გამომარ-  
ბრძნული ლენინური იდეების, სამშობლოს უსაზღვრო სიყ-  
ვარულისა და ხალხთა ურდვევი მეგობრობის სულისცე-  
ფებით.

რესპუბლიკის გამომცემლობებმა შარშან ვ. ი. ლენინი-  
სადმი მიძღვნილი მრავალი პოლიტიკური, მხატვრული,  
სამეცნიერო ლიტერატურა მიავლდეს მკითხველებს, რომ-



ლემშიც ფართოდ აისახა ბელადის ცხოვრება და მოღვაწეობა. მათ შორის იყო ცხრა წიგნისაგან შემდგარი „ლენინის ბიბლიოთეკა“, ე. სტასოვის მოგონება „ასეთი იყო ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“, ვ. მაიაკოვსკის პოემა „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“, კრებულები „მთავლიოს პოეტების ლენინის“, „ქართული პოეტები ლენინის“.

მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ვ. უკანასკნელი, რომელიც დიდებულია გამოსცა „მერხამა“.

ქართულმა წიგნმა სწორედ შარშან მოიპოვა ფართო აღიარება. ეს იყო „ხელოვნების“ მიერ ბრწყინვალედ გაშთქმული „ქართული ხელნაწერები“, რომელმაც წიგნის XI საკავშირო გამოფენაზე უმაღლესი ჯილდო — პირველ-მეტედავ ივანე ფეოლოროვის სახელობის დიპლომი დაიმსახურა.

საქართველოს თეატრებმა შარშან საინტერესო სპექტაკლები უჩვენეს მსაყურეებს. ჩატარდა აგრეთვე ვ. ი. ლენინის იუბილესადმი მიძღვნილი საქართველოს სახალხო თეატრების დათავლიერება-კონკურსი. მაცრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები გერმანიის დემოკრატიულ და პოლითეის სახალხო რესპუბლიკებში, ხოლო ზაქარია ფალაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრისა — ვოლგოგრადში. ორივე შემთხვევაში გამოვლინდა ქართული თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების მაღალი დონე.

გასულ წელს ქართველმა ვოკალისტებმა და მუსიკოს-შეგარუებლებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ისინი საერთაშორისო კლასის ოსტატები არიან. ამის დადასტურება იყო ის, რომ პ. ო. ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკოს-შეგარუებელთა IV საერთაშორისო კონკურსზე მოსკოვში ლაურეატობა მოიპოვეს ჩვენმა სახელმწიფო თანამემამულეებმა — მეგილითენ ლიანა ისაკაძემ (მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი) და ზ. ფალაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტმა ზურაბ სოტიკილაძემ (მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი). შორეულ ისაკაძე (იპაზონა) კი დიდი წარმატება ხვდა წილად ამავე თეატრის სოლისტს, სახელმწიფო მიმწერალ მედალა ამირანაშვილს, რომელმაც ჩიოჩიო-სანის სახელობის II საერთაშორისო კონკურსზე მესამე პრემია და მეორე ზომის ოქროს თასი დასაპყურა.

გასული წელი ტრიუმფალურად დაავიჯრვინეს ლიანა ისაკაძემ და ზურაბ სოტიკილაძემ. ლიანამ პირველი პრემია დაიმსახურა ჰელსინკში გამორჩენილი ფინელი კომპოზიტორის იან სიბელიუსის სახელობის II საერთაშორისო კონკურსზე. მასვე გადაეცა ფინეთის რადიოს საცეკვალო-პრიზი იან სიბელიუსის საიოლიონო კონცერტის საუკეთესო შესრულებისათვის. ხოლო ზურაბმა ისეთ როლს პაექრობაში, როგორც იყო ბარსელონაში გამართული ფრანსისკო ვინიასის სახელობის ვოკალისტთა VIII საერთაშორისო კონკურსი, პირველი პრემია და ოქროს მედალი მოიპოვა.

დიდი წარმატება ხვდა წილად აგრეთვე თბილისის ეროვნულ სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტს, პიანისტ მანანა დოჯაშვილს, რომელიც რუმინეთში გამართულ ჯ. ენესკუს სახელობის მუსიკოს-შეგარუებელთა V საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა.

ხელოვნება დღესასწაულად იქცა 18 დეკემბერს თბილისში ჩატარებული საიუბილეო სადღესასწაულო, რომელიც საქარ-

თველოში რუსული თეატრის 125 წლისთავს მიძღვნა. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო წოდებები მიანიჭა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დააჯილდოვა თბილისის ა. ს. გრბიულოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის მუშაკთა ჯგუფი.

კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ 1970 წელს მასურებლს უჩვენა მხატვრული ფილმები: „დიდებულ და შევილიშვილები“, „სიხათლე ჩეგეს ფანჯრებში“, „ფიროსბანი“, „ფილტვლისტის სიკვდილი“ და სხვა. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ორსკანიანი მხატვრული ფილმი „დიდოსტატის მარჯვენა“, რომელმაც საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა.

კვლევა განახლდა საზღვარგარეთის ქვეყნებში ჩვენმა საესტრადო კოლექტივებმა, ვოკალურმა ანსამბლებმა და მოქვეყნებებმა.

5 ოქტომბერს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა ქართული კულტურის კერა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ერთი სიტყვით, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ გასული წელი ქართული ხელოვნების მუშაკებისათვის იყო შემოქმედებითი ძიებათა, მხატვრული სრულყოფისა და გამარჯვებების წელი.

და აი, დადგა ახალი — 1971 წელი, რომელიც აღსავსე იქნება არახალკები ღირსშესანიშნავი მოვლენებით. უპირატესად ყოვლისა, ამ წელიდან აიღებს სათავეს ჩვენი ქვეყნის ძლიერებისა და სიმტკიცის გამომგვინი მორიგი ხუთწლიანი; ამ წელს ჩატარდება სკკპ XXIV ყროლობა; 29 იანვარს მუშაობას შეუდგება საქართველოს კომპარტიის X XIV ყროლობა, ხოლო მაისის თვეში ქართველი ხალხი იზემებინს თავის დიდ ეროვნულ დღესასწაულს — საერთაშორისო სამტოთა ხელოვნების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის ნახევრასუკურვანი იუბილეს. ამ დღესასწაულისთვის მზადდება ჯერ კიდევ შარშან დაიწყო და მიმდინარეობს, როგორც უშუალო გავრცელება სამტოთა სახელმწიფოს 50 და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ზეიმისა.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე ქართული მუსიკალური საზოგადოებრიობა ზეიშით აღნიშნავს დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალაშვილის დაბადების ასე წლისთავს, რისთვისაც უკვე შემუშავდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

ახლა კი რესპუბლიკის შემოქმედებითი ორგანიზაციები და ხელოვნები, სხვა შემოქმედებთან ერთად, ძვირდა საჩუქრებს უნდადგინონ ორგზის ლენინის ორდენისა და სამტოთა საქართველოსა და მისი კომუნისტური პარტიის სახელმწიფო იუბილეს. მათი უპირველესი მიზანია მხატვრული სიბრძოლით აასხონ მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის თავადებული ბძოლის, შრომისა და მოღვაწეობის საკავანძო ეტაპები, წინა პლანზე წამოსწონ დადებითი გმირის პირობებმა, შექმნან რიგითი შრომელი და მანანების მართალი სახეები. ცხადია, ისინი საქმით უნასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მნიშვნელებში წამოყენებულ პარტიის ღონისუგა: „ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეობი, კულტურის მუშაკები! მაღლა ახლოვანებო სახალხო ხელოვნების პარტიულობის დროშა, მთელი ძალით და უნარი მოახმარეთ კომუნისტების შემერბი მალრდა!“ და ის იქნება ყველაზე დიდი საჩუქარი დიდ ეროვნულ დღესასწაულზე.

საქართველოს  
საბჭოთაო  
საზოგადოებრივი  
საინჟინერო-საგანმანათლებლო  
საბჭო



სტუდენტთა ამბოხება

# სიჭაბუკე ბელადისა

ნანა მამაცაშვილი — *მამაცაშვილი*  
ნ. ზოციქულიძე *მამაცაშვილი*

ჰუმბრტიმ ხელოვანი შემოქმედებითი მიზნის გზაზე არ უშინდება სირთულეებს, არ გურბის მას, თამამად მიიწევს წინ და წინააღმდეგობებთან ბრძოლაში იძენს ძალასა და გამოცდილებას, აღწევს შემოქმედებით გამარჯვებებს.

იღური მიზანდასახულობა ახასიათებს მხატვარ რიმა ბოჭორიშვილს. დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში — 1924 წელს იგი მოხალისეთა რიგებში ჩადა და თანამემამულეთა გვერდით იბრძოდა. ომის დამთავრების შემდეგ — 1945 წელს რიმა თბილისის სამხატვრო აკადემიაში გრაფიკის ფაკულტეტზე შევიდა. მისი პედაგოგი იყო პროფესორი ი. ნარსიაშვილი. მთელი თავისი შემდგომი ცხოვრება მან ხელოვნებას დაუკავშირა.

თავისი საქმისადმი უკომპრომისო სიყვარული, სულიერი ძალისა და

ენერჯის დაუზოგავი ხარჯვა დაემხარა მხატვარს ხელოვნების დიდ გზაზე გამოსასვლელად. სიცოცხლით შთაგონებული, მშობლიური ბუნებით აღტაცებული, ხალხის სიყვარულით: გამთბარი ხელოვანი ცდილობს შეაღწიოს ადამიანთა სულიერ სამყაროში, გასწავლოს მათი ცხოვრების საიდუმლოებები. რიმა ბოჭორიშვილი საზოგადოებრიობის წინაშე წარდგარამდინებე პერსონალური გამოფენით, რომლებიც ცხადყოფენ, თუ რამდენად ფართოა ხელოვანის შემოქმედებითი ინტერესი, მისი აღქმისა და განცდათა სფერო. ამ გამოფენებზე ექსპონირებული იყო დიდი ოსტატობითა და გამოსახვის ორიგინალური ხელწერით შესრულებული სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოები.

ბოჭორიშვილის პეიზაჟები აღსავსეა ლირიზმით, დაწერილია განწყობით, მათში ბუნება და მისი მოე-

ლენები პოეტურადაა გააზრებული; მაგალითად: „ღამის გურზუფი“ (1964 წ., აკვარელი), „სამთარი გურზუფი“ (1964 წ., ტემპერა), მხატვრის მიერ ფერად გამაში შესრულებული ნამუშევრები შთამბეჭდავია და დამაჯერებელი.

ხელოვანი არ მიმართავს გარეგან ფუქტებს, იგი ღრმად იჭრება ცხოვრებისეული მოვლენების არსში და სამყაროს თავისებური ორიგინალური ხედვით ასახავს.

მხატვარმა შექმნა მრავალი პორტრეტი, რომლებშიც ოსტატურად ვაშლიძე ადამიანთა ხასიათები. ასეთია კომპოზიტორი ი. ჯაიანის, მოქანდაკეების კინაველიძისა და პ. ნეკერიშვილის პორტრეტები.

სერიაში „არ გეინდა ომი“ ჩვენს წინაშე არა მარტო მხატვარი, არამედ ადამიანი, რომელმაც უშუალოდ განიცადა ომის მთელი საშიშლეება, ამიტომ არის იგი ასე დამაჯერებელი. ომი წევს ყოველგვარ ცოცხალს, ომი არის სიკვდილი და ტანჯვა, ცოცხლად დარჩენილი დედების უსასრულო მწუხარება.

რ. ბოჭორიშვილის ნამუშევრები მაყურებლის წინაშე აცოცხლებენ მხატვრის მიერ აღქმულ სამყაროს.

დიდ ყურადღებას იქცევს მისი ნამუშევრები, ფანტაზიები: „ცისფერი“, „წითელი“, „მწვანე“, „ყვითელი“. მცენარეთა გადახარბრულ ტოტებსა და ნაირფერ ყვავილებში თითქოს მელოდირი სიმღერა ისმის, გამჭვირვალე ჰაერი კი სასვეა მყუდროებით. რეალური ოსტატურად გადახარბრული ფანტაზიასთან და უსასრულო მშვენიერებაზე მოგიხიბობს.

1967 წლიდან მხატვარი მუშაობს ი. ივანესის წიგნის „ი. ი. ლენინის ასალგაზრდობის წლები“ დასურბრბატებაზე.

მხატვარი, როდესაც იწყებს ლენინის თემაზე მუშაობას, ცდილობს გამოკვეთოს ის განუყოფრბელი რამ, რაც გარეშე თვალისთვის დაფარულია.

ილიჩის ბავშვობისა და ყრბობის წლები მასალის სიმცირის გამო სანაღად არ არის ასახული მხატვრთა შემოქმედებაში. ამ საინტერესო



რი შეხედულებების მომწიფება.

სერია ათ ფურცელს შეიცავს, ყოველ მათგანს აქვს თავისი დასახელება: 1. „ოთხი წლის ვალოდია“, 2. „მუსიკას მათ ოჯახში დიდი ადგილი ეთმობოდა“, 3. „გინანზის პირველი მოწაფე“, 4. „ვალოდია ეზმარება ამხანაგებს“, 5. „ძმის სიყვდილის შეტყობა“, 6. „ჩვენ სხვა გზით წავალთ“, 7. „ვალოდია ესაუბრება მტერთავეებს“, 8. „პირველი დააბატირება“, 9. „დავა მემამულესთან“, 10. „ვალოდია საუბრობს მარქსის თეორიაზე“.

ამ ფურცლების ხილვისას ვრწმუნდებით, რომ მხატვარმა ლენინის ტაბუტის ასახსავად სწორად აირჩია ლინოგრაფიურა.

ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობაში დაუკავშირდა უბრალო ხალხს. მათ მწუხარებას, ტკივილებს თავისად მიიჩნევდა და განიცდიდა.

ამაზე გამომსახველად მოგვითხრობს ალბომის ფურცლები. კომპოზიციის ღერძი ახალგაზრდა ლენინის ფოტოაა, აღსავსე შინაგანი ექსპრესიით, დახვეწილი მოძრაობით, ხარებითა და შტრიხებით, კარგად არის განოცკეთილი მებრძოლი ხასიათი. უყურებთ და გჯერათ, რომ ეს ახალგაზრდა უშიშრად წაუძღვება მშრომელ მასებს უსამართლობისა და ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მხატვრის საანგარიშო გამოფენაზე ექსპონირებული იყო ამ სერიის ესკიზები, ჩანახატები, კომპოზიციების ვარიანტები. გამოფენა ნახეს ქუთაისის ავტომწმენებლებმა და მეტარეშუმებმა, რუსთავის მეტალურგებმა, მეცემენტებმა და გორის მშრომელებმა. ექსპოზიცია თბილისის პიონერთა სასახლეშიც მოეწყო. ალბომის ფურცლები გამოფენილი იყო თბილისის ოფიცერთა სახლში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სამხატვრო კომბინატმა გამოსცა ალბომი „ვ. ი. ლენინის ახალგაზრდობის წლები“.

სურათების სერია დაიბეჭდა ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის პოლიგრაფიული სუვენიერების გამომცემლობის ლაბორატორიაში.

თემას ხელი მოკიდა რ. ბოჭორი-შვილმა. თემის არჩევასთან ერთად ჩნდება რთულად გადასაწყვეტი პრობლემები: მასალა და გამოსახვის მანერა.

რ. ბოჭორიშვილმა გადაწყვიტა სერია „ლენინის ახალგაზრდობის

წლები“ შეექმნა ლინოგრაფიურაში, რომელიც, მხატვრის აზრით, უფრო პასუხობდა მის ჩანაფიქრს.

სერიამ შეადგინა მთელი ალბომი, რთომეღვი უადრესად ნათლად და თანმიმდევრულად არის ჩაჩვენები ლენინის დავაკაცება და პოლიტიკუ-



პირველი დააბატირება (ზემოთ)

ლენინი ეკამათება ხალხონებს

26 იხი ვოქს სემონისკ -   
 იხი ხეყყვი ვოზნიას -

# ს ე ლ თ უ ქ მ ნ ე ლ ი კ ე გ ლ ი

დური შენგელია

მოსკოვი განუმეორებელი სიცოცხლის ცოცხლობს... აქ საოცარი ისტატიკითა და გემოვნებით არის შეთანაწავილი ბევრი რამ — ატომის საუკუნის ნიონანდობლივი და ნაწილი ძველი დიდებისა.

მოსკოვი ყოველწამიერ იცვლის იერს. თითქოს ერთი ვინმე დღოსტატი დინჯად და მალაღინიჭიერებით არქუერთმებსო მის ყოველ დეტალს.

იცვლებიან დედაქალაქებისც. არ იცვლება რიგი ლენინის მავზოლეუმთან.

1924 წლის სუსხიანი იანვრის ერთ დამეს წითელ მოედანზე მარტოდმარტო დაბაიჯება აკადემიკოსი-ხუროთმოძღვარი ალექსი ვიქტორის ძე შრუკვი. იგი განსაკუთრებით ყურადღებით აკვირდებოდა ყველაფერს, თუმცა მ საუკუნის ისტორიის მქონე მოედნის თითოეული არქიტექტურული დეტალი მისთვის კარგად იყო ცნობილი. რამდენიმე საათის წინ მან მიიღო მთავრობის სასწრაფო დავალება — დაუყოვნებლივ შესდგომოდა ლენინის ცხედრისათვის მავზოლეუმის დაარსებებსა და მშენებლობას წითელ მოედანზე, ოქტომბერში დაცემულ მებრძოლთა სამშო საფლავებს შორის.

დრო ძალიან ცოტა იყო, დაკრძალვამდე 3 დღე რჩებოდა, დილით მშენებლებს ფუნდამენტი უნდა ჩაეყარათ.

„ლენინის მავზოლეუმი უნდა იყოს სადა და დიდებული, იგი უნდა შეეთანაწავოს კრემლის კედელსა და წითელ მიედანს“ — უთხრეს მთავრობის კომისიის წევრებმა არქიტექტორს.

ამოცანა საკმაოდ რთული იყო: ისტორიული ძეგლების — ჭეის დიდებულ შენობათა შორის ჩადგებული ბუღაღის მავზოლეუმი, საყოველთაოდ ცნობილი არქიტექტურული ანსამბლის მთავარი ელემენტი უნდა გამხდარიყო.

იმვე დამეს შრუკევმა თავისი ჩანაფიქრი მგობარის კოლეგების ჯგუფს გაუხიარა. „მე გამოვიქვი ჩემი შეხედულებები, — იგონებდა მოგვიანებით ხუროთმოძღვარი, — რომ მავზოლეუმის სილუეტი მაღლები კი არ უნდა იყოს, არამედ საფეხურების ფორმიანი.“

მავზოლეუმზე წარწერისათვის შევარჩიე ერთი სიტყვა, სიტყვა, რომელშიც ჩაქსოვილია მთელი მსოფლიოს მშრომელთა მღვღანე აზრი. ეს სიტყვა იყო ლენინი. მავზოლეუმის დაგეგმარებით გათვალისწინებული იყო შეგვექმნა მოძრაობის გრაფიკი“...

განთავადის არქიტექტორმა დაამთავრა ესკიზის მონახაზი, ნაშქარკვად დაუსვა ძირითადი განზომილებები. დროის სიმცირის გამო გადაწყდა დროებით ხის მავზოლეუმის აგება.

ადრე დილით მთავრობის კომისიამ დაამტკიცა მავზოლეუმის პროექტი.

იმ სუსხიან დღეთა შესახებ ლეგენდები დადის. ყინვისაგან გაქავებულ მოსკოვის მიწას ცეცხლით ალღობდნენ და დინამიტით აფუჭებდნენ. განუწყვეტელი, დღე და ღამე, მუშაობდნენ ძალზე ძნელ პირობებში. 25 იანვარს მშენებლობაზე მოვიდნენ უნერგელი კომუნისტები, მათ მოჰყვინებოთონლები, ავსტრიელები, ფინელები — სხვადასხვა ერგონების კეთილი ნების ადამიანები აშენებდნენ თავიან-

თი ბეღაღის, თავიანთი მამისა და ძმის სამუდამო განასვენებლის.

26 იანვარს ღამით ყინვამ იმატა. კიდევ უფრო გაძნელდა მუშაობა. ზემოთ დანთებული ცეცხლი მიწას ვეღარ ალღობდა. უკირდათ მიწის მთხრლებს, უკირდათ დურგლებს. ყინვისგან ლუნსმანიც კი ხელს ეკვროდა. ამას თან დაერთო მიწისქვეშა მალალი ძაბვის ელექტროკაბელები და ძველი კედლების ნარჩენები, რომელთაც მშენებლები მოულოდნელად წააწყდნენ.

მიუხედავად ყოველგვარი სიძნელისა და წინააღმდეგობისა 27 იანვრის დილის 3 საათზე მშენებლებმა უკანასკნელი ლურსმანი დააჭედეს.

დეკორატიული და მომპირაკეთებელი დილის 7-8 საათამდე მუშაობდნენ.

განთავადის კრემლის ძველთაძველი კედლების ფონზე აღიმართა რუხი ფერის მავზოლეუმი, მის ფასადზე მაგი ასობლივი ეწერა — ლენინი.

პირველი მავზოლეუმი დიდად განსხვავდებოდა დღევანდლისაგან. მიწიდან აღმართულიყო რუხი ფერის კუბი — მარადისობის სიმბოლო, რომელსაც ავიერგვირბოდა არც თუ ისე დიდი, სამსაფუხურიანი პირამიდა. მისი სიმაღლე დაახლოებით 3 მეტრს აღეწევდა...

თებრვალში შრუკევმა მიიღო მთავრობის ახალი დავალება: გადაეკეთებინა მავზოლეუმი, მიეცა მისთვის მონუმენტური არქიტექტურულ-მხატვრული ფორმა.

„მე ვეძებდი ახალთვის არქიტექტურის მთელ ისტორიში, — წერს შრუკევი, — პირამიდის ფორმა მავზოლეუმისათვის წითელ მოედანზე შეუფერებლად მიამჩნა.“

„ლენინი გარდაიცვალა, მაგრამ მისი საქმე ცოცხლობს“ — აი, ის იდეა, ვფიქრობდი მე, რომელიც უნდა გამოისახოს მავზოლეუმის არქიტექტურაში. აქედან გამომდინარე, მე შევქმენი კიბისებური ძეგლის კომპოზიცია“.

ხუროთმოძღვარმა შეინარჩუნა პირველი მავზოლეუმის გეგმა და ლაკონიური ფორმები, მაგრამ გაზარდა ზომები, დაუმატა პორტიკი და ტრიბუნები.

21 თებრვალს მთავრობის კომისიამ დაამტკიცა შრუკევის მიერ წარმოდგენილი პროექტი. გაითვალისწინა რა კომისიის მიერ მიცემული შენიშვნები, არქიტექტორი შეუდგა დეტალური ნახაზების დამუშავებას.

1924 წლის მარტოფულზე დაიწყო ახალი ხის მავზოლეუმის შენებლობა.

1 აგვისტოს პირველად ეწვივნენ მშრომლები ახალ მავზოლეუმს.

მიუხედავად არც თუ ისე დიდი ზომისა, ახალი მავზოლეუმი წითელი მოედნის არქიტექტურული ანსამბლის ცენტრი გახდა.

წიგურ მავზოლეუმმა საყოველთაო აღიარება ჰპოვა. მის გამოსახულებას შეხედობდით საფოსტო მარკებსა და ღია ბარათებზე.

1929 წელს საბჭოთა მთავრობამ დაადგინა: „იგოს მუდმივი, ქვის მავზოლეუმი“. მეცნიერებმა, რომელთაც ლენინის სხეულს ბალსამირება გაუკეთეს, მიაღწიეს მნიშვნელოვან შედეგს — შეძაძებელი გახდა ბეღაღის სახის უცვლელად შენახვა დიდი დროის მანძილზე. ხის მავზო-



15 ցոյցն Երկրորդն ըստ Զգեցողացեալեան  
հիշածն շնորհով - ~~Երկրորդն~~

სამი გოცო მანთის - *მეცხე*  
 ექვსი ხეყუბი ვინხნის - *მეცხე*



ვ. ი. ლენინის პირველი მავზოლეუმი

ლეუმი და, განსაკუთრებით, მისი ფუნდამენტი კი დიდხანს ვერ გაძლებდა.

ახალი მავზოლეუმის შესაქმნელად, რომელიც ლენინის ღირსეული ძეგლი უნდა ყოფილიყო, საჭირო გახდა არქიტექტურული აზროვნების უდიდესი დაძაბვა, განსაკუთრებული გამომსახველობის ვარიანტის დაბეჭობით ძიება. შენთხვევით როდი ითვლებოდა პირველი ორი განსასვენებელი დროებითად.

მთავრობის კომისიამ განსაზღვრა მუდმივი განსასვენებლის მხოლოდ ძირითადი იდეური და არქიტექტურული პრინციპები, რაც არავითარ შემთხვევაში არ ბოჭავდა ავტორთა შემოქმედებით ინიციატივას.

გადაწყდა ორი კონკურსის ჩატარება. პირველში ყვე-

ლას ჰქონდა მონაწილეობის მიღების უფლება, რადგანაც მისი მიზანი იყო მავზოლეუმის იდეის შემუშავება. ამის შემდეგ კი უნდა წარმოედგინათ ნახაზები და პატარა მაკეტები. სამი საუკეთესო პროექტი განხორციელდებოდა დიდი მოდელით. თვალნათლივ რომ წარმოედგინათ, თუ როგორ შეეთანაწყობოდა იგი წითელი მოედნის არქიტექტურულ ანსამბლს, საჭირო იყო მათი კინოფირზე გადაღება და კადრების დემონსტრაცია წითელი მოედნის ფოტოსურათების ფონზე.

მუდმივი მავზოლეუმის შესაქმნელად გადაწყდა საბჭოთა და სასწავლარგარეთელი საუკეთესო ინჟინერებისა და ხუროთმოძღვრების მოწვევა.

1925 წლის იანვარში განისაზღვრა პირველი კონკურ-

ვ. ი. ლენინის მეორე მავზოლეუმის მშენებლობა



რ. კეჭეშიძე  
 დემონსტრაცია



სის დებულება, დამტკიცდა 10 პრემია და კომისიას (ა. ლუნახარსკის ხელმძღვანელობით) დაევალა პროექტების განხილვა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, საერთაშორისო კონკურსმა დამაკმაყოფილებელი შედეგი არ გამოიღო.

ამ ხნის მანძილზე შრუსბერგისული საფეხურებიანი მაგზოლუემში დედამიწის ყველა კუთხეში გახდა ცნობილი.

ამიტომ მთავრობამ აკადემიკოს შრუსბერგს დაავალა თავისივე პროექტი ზუსტად გადაეტანა ქვაში.

არქიტექტორი ხის მაგზოლუემის ფორმების ზუსტ კოპირებას როდი შეუდგა. ცდილობდა რა განსასვენებელი უფრო მეტად გამომსახველი ყოფილიყო, ხუროთმოძღვარი დაბეჭდვითი ეჭებდა მარმარილოსა და გრანიტის მაქსიმალური გამოყენების საშუალებებს.

1929 წლის ივლისში მოედანზე მოსულმა მშენებლებმა ააგეს მომავალი, გრანიტის მაგზოლუემის ხის მაკეტე და მიიციეს მას პროექტის შესაბამისი გარესაზე. ეს საჭირო იყო იმისათვის, რომ წინასწარ დაენახათ, როგორ შეეწყობოდა იგი წითელი მოედნის არქიტექტურას.

მაკეტე დაათვალიერეს მთავრობის წევრებმა და დამტკიცეს.

გადაწყდა — მაგზოლუემი აგებულყო სამამულო მსალით.

ტრესტ „ხიდმშენის“ მუშებმა განსასვენებლისათვის სწრაფად მოამზადეს რკინა-ბეტონის კარკასი, კალატოზებმა აღმართეს აგურის კედლები. ამ დროისათვის მთელ საბჭოთა კავშირში ეძებდნენ და არჩევდნენ ძვირფასი მოსაპირკეთებელი ქვების საბადოებს.

მშენებელთა არჩევანი ვოლინაზე შეჩერდა. ბუნებამ უხვად დააყოლიოვა მისი წიაღი. აქ, ჭიტომირის მახლობლად, მოიპოვება მკვეთრი შავი ფერის ლაზარდორი მოლურჯო-მოცისფრო მარლვებით.


ხუტორ გოლოვინსკაია სლობოდას ახლის მოიპოვეს შავი ლაზარდორის მონოლითი, რომელზედაც გათვალისწინებული იყო წარწერა — ლენინი. მაგრამ როგორ გადაეტანათ ნი-ტონიანი ქვის ლიდი 1148 კილომეტრის მანძილზე — მოსკოვში? ამოცანას ისიც ართულებდა, რომ გადატანისას დაუშვებელი იყო ოდნავი დაზიანება, მიკროსკოპულიც კი, რადგან მაგზოლუემი საუკუნეებისათვის შენდებოდა.

რკინიგზის უახლოეს სადგურამდე ორი გზა მიდიოდა: ერთი 16-კილომეტრიანი, მეორე — გაცილებით გრძელი.

ვ. ი. ლენინის მეთრე მაგზოლუემი, აშენებული 1924 წელს 1 მაისისათვის.



ვ. ი. ლენინის მეორე მავზოლეუმის მშენებლობა.



ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის მოპირკეთება.

მონოლითის გადატანის მონაწილე, მაშინ ახალგაზრდა ტექნიკოსი, ამჟამად ხარკოვის ავტოსაგზაო ინსტიტუტის დოცენტი ლ. ბარაკი იგონებს:

„რეკონსტრუქციების შემდეგ გადაწყვიტეს ქვა მოკლე გზით წაეღოთ, თუმცა მისი პირველი ნახევარი დაჭაობებული დაბლობზე გადაიდა. წვიმის შემთხვევაში იგი შეიძლება გაუვალ ლიამპალად გადაქცეულიყო. მაგრამ რისკს მართლებდნენ მარშრუტის სიმოკლეთ, მოძველებული ხიდების შედარებით ნაკლები რაოდენობით და სამუშაოთა მინიმალური მოცულობით. გზის მუშებმა იცოდნენ, რომ მონოლითის დროულ გადატანაზე დამოკიდებული იყო ლენინის მავზოლეუმის მშენებლობის დამთავრება ოქტომბრის რევოლუციის XIII წლისთავისთვის.“

ჟიტომირის საგზაო განყოფილების სამანქანო-საგზაო ბრიგადამ და ნაროდინის მიწის მუშათა არტელმა უმოკლეს დროში მოამზადეს ტრასა. ქვა რომ მიძებნის გარეშე

გადეტანათ, ამისთვის ხიდებთან გააკეთეს მისასვლელი ხეიმორები, გაამაგრეს ნაგებები, მოამზადეს „ზედადგარები“ — 10-12 სანტიმეტრის სისქის მუხის ფიცრები.

მუშაობდნენ დღე და ღამე.

... ამ დროისათვის მოსკოვიდან ჩამოსულმა მეტაკელაჟეებმა, ადგილობრივმა ქვის მთელელებმა მონოლითი მუხის მარხილზე დადეს. ჯალამბრისა და ხის სატექნიკურების საშუალებით იგი ფრთხილად გადაიტანეს სპეციალურ რვათელთან საზიდარზე. „კომუნარის“ მარკის ორმა ტრაქტორმა ნელა გასწია ლაბრადორი სადგურ გორბაშისაკენ...

ძვირფასი ადამიანის სსოვნის უკვდავყოფასთან დაკავშირებული დავალება მუშებს ძალასა და რწმენას მატებდა. ახლო თუ შორეული სოფლების მცხოვრებნი მიდიოდნენ ქვის სანახავად და მოსახმარებლად.

ჭაობიანი დაბლობი რვა დღეში დასძლიეს, გზის თით-

ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი.





ქმის იმავე სიგრძის მეორე ნახევარი კი 2 საათში გან-  
ვლეს.

სადგურ გორბაშიდან მონოლითი სპეციალური მატა-  
რებლით წაიღეს. გზათა სახალხო კომისრის ი. რუჭუტაკის  
ბრძანებით შეამდგენლობას „მწვანე ქუჩა“ გაუხსნეს.

ამავე დროს სხვადასხვა კარიერიდან მოსკოვისაკენ მო-  
დიოდა მავზოლუმების მოსაპირკეთებელი მასალა:

სოფელ ლეზნიკიდან მოვიდა ძირითადი მასალა — წი-  
თელი გრანიტი.

სოფელ სლიპიციდან მიიღეს შავი გრანიტი — გაბრო-  
ნორიტი — კიბეების კედლებისა და სამგლოვიარო დარბა-  
ზის პანელებისათვის.

სოფელ ტურნიკიდან — რუხი ლაბრადორი ფსადის,  
ვესტიბიულისა და იატაკის ნაწილებისათვის...

მთელი ქვეყანა ესწრაფებოდა მონაწილეობა მიეღო მავ-  
ზოლუმების მშენებლობაში.

კარელიიდან, ონგის ნაპირებიდან, სადაც ერთადერთი  
საბადოა მსოფლიოში, მიიღეს წითელი კვარციტი წარწერი-  
სათვის — ლენინი.

გამოიყენეს აგრეთვე ამიერკავკასიიდან, ბელორუსიი-  
დან, უკრაინიდან, უზბეკეთიდან, თურქმენეთიდან და ტაჯი-  
კეთიდან გამოგზავნილი გრანიტი.

განსასვენებელი მზად იყო დათქმული დროსათვის.

ბევრი რამ იცვლებდა მოსკოვში, გარდა ერთისა — მუ-  
დამ არის რიგი ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მავზოლუმ-  
თან.

მ. ხოლუაშვილი

1924 წლის იანვარი.


მ. აბოძე

თბილისი. 1924 წელი.



თბი  
32

საქართველოს  
საბჭოთაო  
საზოგადოებრივი  
საინფორმაციო  
ცენტრი



თვის ბრძოლას ჩათვლის თავისი პირადი ცხოვრების სა-  
ფუძველთა საფუძვლად და ძირითად წყაროდ. ამის შესახებ  
მართებულად შენიშნავდა სერგეი მირონის ძე კიროვი, რო-  
დესაც ამობოდა: „ჩვენ გაცილებით უფრო მეტად უნდა ვი-  
ყოთ მესაკუთრეები, ვიდრე რომელიმე კაპიტალისტი. ყო-  
ველი ქაწი, ჩვენი საქმის ყოველი პაწია რგოლი უნდა და-  
ვიცვათ, ნამდვილად ველოლიავით მას, იმიტომ რომ ეს ჩვე-  
ნია, მუშური, შრომითი, ეს ჩვენს მიერ ბრძოლით მო-  
პოვებულია“<sup>4</sup>.

# შრომა, ადამიანი და ხელოვნება

ვახტანგ გურგენიძე — 

შრომსა ყველაზე დიდი ადგილი უკავია ადამიანის ცხოვრებაში. თავისი შინაარსით იგი იმდენად მნიშვნე-  
ლოვანია, რომ თვით არის ღირსების, მისი სიკვარის მთავარ სასომად არის მიჩნეული. შრომას უღლებს  
ზნეობრივი ღირებულება აქვს როგორც პირთვის, ასე-  
ვე საზოგადოებისათვის.

შრომა ყოველთვის იყო და არის, ერთი მხრივ, ყო-  
ველგვარი მატერიალური და სულიერი სიკეთის, ბედნი-  
სობის წყარო, მეორე მხრივ, იგი წარმოადგენდა და წარ-  
მოადგენს ადამიანთა ჩამოყალიბების გადამწყვეტ საშუა-  
ლებს. კ. მარქსის მითითება, რომ კაცობრიობის მთელი  
ისტორია სხვა არაფერია თუ არა ადამიანის ჩამოყალი-  
ბება, ადამიანური შრომით, — ამის ბრწყინვალე დადას-  
ტურებაა.<sup>1</sup> საზოგადოებრივი განვითარების ყოველ ეტაპზე  
შრომას ადამიანის სიკეთისათვის განმსაზღვრელი მნიშე-  
ნლობა ჰქონდა და ექნება. რომ ცხოვრობდე, — გვასწავ-  
ლის მარქსიზმ-ლენინიზმი, — უნდა გქონდეს სასრლო,  
ტანსაცემელი, ბინა და სხვა. მატერიალური დეკლარატი რომ  
შექმნა, უნდა გქონდეს სათანადო იარაღები, უნდა იცოდეს  
ამ იარაღების გაკეთება და ხმარება, ე. ი. უნდა შრომობ-  
დე. ვინც ამ შრომობს, ის არც უნდა სჭამდეს. — ასეთია  
ჩვენი სოციალისტური საზოგადოების მოთხოვნა.

ჩვენს ქვეყანაში, კაცობრიობის ისტორიაში პირველად,  
შრომისადმი ადამიანთა დამოკიდებულება გადაქცეულია  
პირობების მორალური სახის სახომად. „არა ქონებრივი  
მდგომარეობა, არა ეროვნული წარმოშობა, არა სქესი, არა  
სამსახურებრივი მდგომარეობა, არამედ თითოეული მო-  
ქალაქის პირადი ნიჭი და პირადი შრომა განსაზღვრავს  
მის მდგომარეობას საზოგადოებაში“<sup>2</sup>.

როდესაც ვხვებით ადამიანის აღზრდას საზოგადოებ-  
რივ-შრომითი საქმიანობის დარგში, ვითავისწონებთ იმ  
მოთხოვნებს, რომლებიც მიმართულია მოქალაქის შრო-  
მისადმი, მატერიალური და სულიერი ღირებულებისადმი  
ისეთ უპირობოებაზე, როცა მის შეხედულებებში შრომა  
საბაილო და მძიმე ტვირთი კი არ იქნება, არამედ —  
იგი მიჩნეული იქნება მისთვის ღირსების საქმედ, რადღობის  
საქმედ, მამაცობისა და გმირობის საქმედ; როდესაც შრო-  
მის ნაყოფიერებისა და ეროვნული შემოსავლის ზრდისა-

ადამიანის შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრები  
სადმი კომუნისტური დამოკიდებულების მორალური აღზ-  
რდა, რა თქმა უნდა, არ მიმდინარეობს დაუბრუნებლად,  
ძველსა და ახალ მორალურ ნორმებს შორის ბრძოლის  
გარეშე. ჩვენში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ადამიან-  
ები, რომლებიც გაურბიან პატიოსან შრომას და ცხოვრ-  
ბენ ჩვენი საზოგადოებისათვის მიუღებელი, აკრძალული  
საშუალებებით; ისინი არ ერიდებიან მლექნეულობასა და  
პირმოთხეობას, ინტრიგებს, სიცრუესა და ცილისწამებას,  
უსვენობას, უტიფრობას და ხელოვნობას, აფერხებენ, ზი-  
ანს აყენებენ ჩვენი საზოგადოების წინსვლას. ასეთი ადა-  
მების გამოსწორების შესახებ ფაქტებს ხშირად ვგვძე-  
ვით საზოგადოებრივ სამსჯავროზე — კრებებზე, სხდომებზე,  
ცენტრალურ და რესპუბლიკურ ჟურნალ-ვახუტეში, რადი-  
ოსა და ტელევიზიაში კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფორ-  
მით. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთები  
დღემდე სხვადასხვაგვარად გვიდებია კრიტიკას „ზევი-  
დან“ და „ქვეიდან“<sup>3</sup>. თუ „ზევიდან“ კრიტიკა ასეთ მუშა-  
კებს აძებლებს გამოცოცხლებს და მიიღონ ზომები ნაკ-  
ლებანებათა აღმოსაფხვრელად, სამაგიეროდ, კრიტიკა  
„ქვეიდან“ მათში იწვევს გაღიზიანებას, რომელიც ხშირად  
იქცევა მისწრაფებად ჩაახშონ, ჩაკლან კრიტიკა მასების  
შირე“<sup>4</sup>.

ჩვენს საბჭოთა საზოგადოებაში, სადაც ლიკვიდირ-  
ბულია ანტიკონსტრუქციული კლასები, ბრძოლა ძველსა და  
ახალს შორისა, მამასადამე, განვითარება დაღლიან  
მალიოსაკენ წარმოებს... კრიტიკისა და თვითკრიტიკის  
ფორმით, რომელიც წარმოადგენს ჩვენი განვითარების  
ნამდვილ მამოძაველებ ძალას, მთავარ იარაღ პარტიის  
ხელში. ეს, უძველესად, მოძრაობის ახალი სხვა, განვითარ-  
ების ახალი ტიპია, ახალი დიალექტიკური კანონზომი-  
ერება“<sup>5</sup>.

ადამიანის შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრები  
სადმი არაკომუნისტური დამოკიდებულების ფაქტების  
ლიკვიდაცია დაქარაღება მაშინ, როცა ამაღლებდა თითო-  
ეული მოქალაქის კომუნისტური შეგნების დონე, როცა უფ-  
რო აქტიური იქნება მასების აღზრდისათვის გაწეული  
მუშაობა, როცა უფრო ენერგიულად იმოქმედებენ საზო-  
გადოებრივი აზრი და სახელმწიფო ორგანოები. მათ მი-  
მართ უნდა ვიმოქმედოთ დარწმუნების მითვლიებით. ამ  
ღონისძიების გატარებისას არ უნდა გვაიწვევოდეს მარ-  
ქსიზმის კლასიკოსთა მითითებები იმის შესახებ, რომ  
„წარმოებაში ადამიანები უმოქმედებას ახდენენ არა მარ-  
ტო ბურჟიაზე, არამო ერთმანეთზე“<sup>6</sup>; რომ „მხოლოდ კო-  
ლექტივიზმი ლეზულობის ინდივიდუალ საშუალებებს, რომლებიც  
მას შესაძლებლობას აძლევს ყოველმხრივ განვითაროს  
თავისი ნიჭი“<sup>7</sup>; და, რომ „მხოლოდ კოლექტივიზმი შესაძო-  
ბელი პირადი თავისუფლება“<sup>8</sup>. სწორედ აქედან გამომდინ-  
ნაზე ი. ი. ლენინი მუთუთობდა, რომ განსაკუთრებით  
დიდი ყურადღება მიექცეოდ მშრომელთა ამხანაგური დის-  
ცილინის განვითარებასა და განხტვიცებას, მათი თვით-  
მოქმედებისა და პასუხისმგებლობის შეგნების ყოველმხრივ  
ამაღლებას<sup>9</sup>.

ამ კვილშობილური ამოცანების განხორციელება სა-  
ზოგადოებისა და განსაკუთრებით ლიტერატურისა და ხე-

ლოგენებისაგან მოითხოვს ქმედითად გამოყენებულ იქნას უპირველესად ჩვენი ეპოქის დიდი ძალა კოლექტიური შემოქმედება, უნარი იმისა, დაუმორჩილოს ცალკეული ადამიანების ნება კოლექტიურს, აღმოფხვრას მათში მისანიჯი, სასოფრობრუნების მიუღებელი გადმარსებითი.

„არ დაივიწყო, — მიმართავდა დიდი რუსი განმანათლებელი ბელონსკი ადამიანს, — რომ შენი უსასრულო, უსივრცო ნებართვა შენი მე-ს მოსიპასუხებელია გრძობაში...“<sup>14</sup> ეს სიტყვები, ორი გარდაუვალი გზა: უარყავ თავი შენი, ჩაახშე ეკოიზმი შენი, ფიხთა გათვლე შენი ანგარიშები მე, იცოცხლე სხვათა ბოძინეუბნისათვის, მსხვერპლად მიიტანე ყველაფერი მოყვასისა, სამშობლოსა საიკეთოდ, კაცობრიობის სასარგებლოდ. გიჯავრდეს ჭეშმარიტება და სიკეთე არა ჯილდოსათვის, არამედ ჭეშმარიტებისა და სიკეთისათვის და მიიმე ტანჯვით მოიპოვე შენი შეფერება ღმერთთან, შენი უკვდავები, რომელიც უნდა მდგომარეობდეს შენი მე-ს მოსიპასუხი, უსაზღვრო ნებართვის გრძობაში... რა? ვერა სწედავ? ეს საგმობი საქმე განიხილე, ვიფიქრებ ის უნდა და-ღვინე ადუბატება?... მაშ, ამა შენ მივრე გზა, ის უფრო ფართო, მშვიდი და ადვილია: ყველაზე მეტად გიჯავრდეს შენი თავი ქვეყნად, იტარე, სიკეთე უკავ მხოლოდ საარგებლობის გამო. ნუ შე-უწინდები ბოროტებს, როდესაც მას შენთვის საარგებლობა მოუქვს. გასოფდეს ეს წესი: იგი ყველგან დაგიფრავს! თუ შენ დაბადებულხარ ძლიერად ამა ქვეყნისა, ქვედი მოიდრეკე, გველივით ისრიალე ვეფხვთა შორის, ვეფხვივით შეი-ჭირე ცხოვრებაში, დალაუქე ჩაგრე, დალიე სისხლი და ცრემლი, დაიმწყნე შეუბო დაფნის გვირგვინებით, მიიდრეკე წული დაუხსნარებელი პატივისა და დიდების ტვირთის ქვეშ. მხოლოდ და ბრწყინვალე იქნება ცხოვრება შენი. შენ ვერ შეიტყობ, რა არის სიკეთე და შიშობილი, რა არის ჩაგრვა და შეურაცხყოფა, შენ ბრწვლას მოიკვირი ყოველს, ყველგან შეგხვდება მორჩილება და თავაზიანობა, ყოველგან ფიანდახად გავეყვება პირფრება და ხოტბა...<sup>15</sup> მართალია, ბელინსკი აქ ძირითადად თბილქუბური იდეალოზმის ნიადაგზე დგას, მაგრამ ბრწყინვალედ გად-ნოსტყუმი კავბატისტური სასოფრობრუნის არსს, მის მანიკერებას, — როცა ადამიანი თავისი შესრულებითა და მოქმედებით დამოკიდებულია სასოფრობრუნზე და სიკეთე და ბოროტების წყარო, თვით დადამანშივე არ არის, არამედ სასოფრობრუნში, მისი ცხოვრების სისტემასა და კანონმდებლობაში.

XIX საუკუნის რუსული კლასიკური ფილოსოფიის თვალსაზრისი წარმომადგენელი ბესარიონ ბელონსკი, წინე-ობრივი აღზრდის საკითხში დიდ როლს ანიჭებდა საზო-გადობრივი ცხოვრების რეალურ პირობებს. „ადამიანს ქმნის ბუნება, მაგრამ განავითარებს და აყალიბებს სასოფ-რობა. ცხოვრების ვერავითარი გარემოება ვერ იხსნის და ვერ დაიყვანს ადამიანს სასოფრობრუნის გავლენისაგან, ის ვერსად ვერ დაემსლება, ვერსად ვერ გაემყვება სასოფრობრუნს“<sup>12</sup> ამიტომაც, რომ ბელინსკი ადამიანში აღზრდილ მანიკერებას, მთელი თავისი გამომსახულებით (ანგარება, მეტათაბობა, ქურდობა, ქედმობრილობა, ადამიანური ღირ-სების დამცობა. ფილიტობა, უსარცხვილობა, სასოფრობო, სულმდაბლობა, წერილობაზნა, უპირინვაობა, მლოქველობა, მანამებლობა, პირმითნობა, ამაყობა, მედიდებობა, მემუწენობა, ტუნწობა, უსუქობა, საერთოდ, და განსაკუთ-რებით, ხელოვნებების მიმართ, გულუკება, უსულგებობა, ლაქვეობა, უღირსი ადამიანის შეჭება და სხვ., რომ-ლებითაც განსაკუთრებით დაჯილდოებული არიან უწიკო და უუნარი ადამიანები), მიავსებს სოციალურ უკუღმართო-ბას, ადამიანთა ურთიერთობის სიმბინიჯს. ბელინსკი, გოგოლის „რევიზორის“ ერთ-ერთ უაწყობევი გმირს, გო-რიდინის რომ ასახაითვდა, ამბობდა: „მან მემკვიდრე-

ობად მიიღო ცხოვრებისა და რწმენის შემდეგი წესები: ცხოვრებაში ბედნიერი უნდა იყოს, მაგრამ ამისათვის სა-ჭიროა ფული, ჩინი, ხოლო მათი მოპოვებისათვის მეტრო-მობა, ხაზინის ჭარობა, ქედმობრილობა და ლაქობა ხე-ლოვნებათა, წარჩინებულთა და მდიდართა წინაშე, მან-ქიობა და პრეტუტყველი უხეშობა თავისზე დაბალთა მი-მართა“<sup>13</sup>.

ბელინსკი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ადამიანის აზრების საქმეში ლიტერატურასა და ხელოვნებას. დიდი რუსი რეალუკონფერ-კრიტიკოსი მხატვრული დანრმო-ბისაგან მოითხოვდა, უპირველეს მის წინობრივ ცხოვრე-ლობას, ხოლო წინობრიობს კრიტიკიკულად მას მიარხა სინამდვილის ისეთ მალაშმხატვრულ ფორმებში ასახვა, რომელიც ადამიანში გამოიწვიას აღფრთოვანებას, გამოდ-ვიძებ მასში ძლიერებს და ღრმა გრძობებებს, ახალ აზრე-ბებს და დასაყენებს. იგი წერს: „პოეზიას არ სჭირდება ქელ-მოქმობისა, სათნობების შექება, არამედ უნდა გვიჩვენოს მისი წინდა სახე და ადამიანები მიყვარებენ ქვემოქ-მიობას; პოეზიას არ სჭირდება შეკვირვების გაჩვენება, არამედ მხოლოდ უნდა გვიჩვენოს იგი, და ადამიანთა რაობა ათვისება სიძულვილით მანკიერებისდმი“<sup>14</sup> (ხაზი ჩავიან, გ. გ.). ბელინსკის აზრით, არა მარტო პოე-ზიის ნაწარმოები, არამედ ხელოვნების ყოველფერი დარ-გის ქმნილება მზუსსა ვერ მიეძღვის, მისაუყვანი გახდება, თუ ავტორი ეცდება, (ნაცვლად იმისა, რომ თავის შე-მოქმედებაში გვიჩვენოს ზნობის ფაქტები), დაამკიცოს ზნობის წესების მიღების საჭიროება, მისი აუცილებლობა. სწორედ ეს არის მხატვრული ნაწარმოების დანიშნულება ადამიანის აღზრდის საქმეში. აღზრდისა, რომელიც ბე-ლონსკის თვალსაზრისით წარმოადგენს „ხალხის აკეთილ-დღობის წყაროს“, „პოლიტიკური სასოფრობრუნის საყრ-დენს“<sup>15</sup>, აღზრდა — დიდი საქმეა, — ამბობდა ბელინ-სკი — იგი წყვეტს ადამიანს ბედს“<sup>16</sup>. საერთოდ კი ჩვენი სასოფრობრუნობის ყველა ნაკლი და მანიკერება, — გა-ნარტობის ბელინსკი სხვა ადგილას, — გამოინდარტობს უფიანობიდან და გაუნათლებლობიდან“<sup>17</sup>.

ნათელი და გასაგები რომ გახდეს ხელოვნების ეთი-კური, ანუ წინობრივი-აღმზრდებლობითი დანიშნულება, გან-ვიხილავთ მხატვრულ ნაწარმოებთა შემოქმედების სოფი-ერთ საქობის ადამიანის სულიერი სამყაროზე.

ინობობა, რომ მხატვრული ნაწარმოები, რომელი დაჩრდილავ ერ უნდა იყოს იგი, წინობრივად გვეზრდის არა მარტო იმით, რომ ესთეტიკურად გვაკაბობს, არამედ იმითაც, რომ გვიკავებს, გვახსენებს და გვიყვარებს ჯანსაღი სინობის ნორმებს. ამიტომაცაა, რომ ვერ დავასახულებთ ხელოვნების თუ ლიტერატურის ისეთ ნაწარმოებს, რომ-ლიც აღზრდას არ ემსახურებოდეს. სწორედ ამ თვისე-ბებითაც გამომდინდება, ადამიანს ხელოვნება აქცია ცხო-ვრების განუყრელ თანამგზავრად, მისი სულიერი სამყა-რის განუყოფელი ნაწილად, არსებობისათვის აუცილებელ მოთხოვნილებად.

ადამიანი ყოველთვის ცდილობს დააკმაყოფილოს თავისი სასიცოცხლო მოთხოვნილებანი, ჭეშნდეს პირველმო-თხოვნილების საჭიროება — სასიმე-საქმეობა, ბინა, ტან-საკეთილი, გაიჩინოს თავი და გამზრავდეს. მაგრამ მის-თვის ერთნაირად სასარგებლო როდია ყოველგვარი საჭ-მელ-სასმელი, ტანსაცმელი, ბინა. იგი არჩევს უკეთესს, უფრო ხელსაყრელს, მოხერხებულს და კარგს. მაგრამ ადამიანებს სასიცოცხლო მოთხოვნილების განრდა, აქვთ მადალადამიანური მოთხოვნილებებიც (ეთიკური, ესთე-ტიკური, ინტელექტუალური). ე. ი. აქვთ გემოვნების გრძობა, მშვენიერების შეგნება, ემოციური დატკობის მოთხოვნილება, რომელიც ორგანულად დაკავშირებული არიან მათს ყოველგვარ მოთხოვნილებასთან. სწორედ ამ

სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილება აღწევს ადამიანი ნამდვილ ბედნიერებას. ადამიანში ეს მოთხოვნები იმდენად ძლიერი და ინტერსიურია, რომ იგი (ადამიანი) არ კმაყოფილება საარსებო საშუალებებით, საპირისპირო სქესით, გარემომცველი ბუნების მშვენიერებით და ქმნის ხელოვნურ მშვენიერებას, ხელოვნურ სილამაზეს — მუსიკას, ცეკვის, მხატვრობის, მწერლობის, სანახაობისა და სხვათა სახით; ქმნის არა უბრალო მიმბაძველობით, არამედ მათ აძლევს უფრო ადამიანურ, ამაღლებულ, მიზმიდგულ, მაღალზნობრივ იურსკობას.

მხატვრულ ნაწარმოებში კითხვობ ნამდვილი ადამიანური მოქმედების შესახებ, სცენაზე და ვერანზე ხედავ შენი ან შენი ახლობლის ცხოვრების ისეთ ეპიზოდებს, რომელიც გააღვივებს, ინტერესს იწვევს შენში, რაღაც უცნაურ საამო გრძნობებს განიჭებს. შემდეგ, თანდათანობით, ეს კეთილშობილური ძალა გადმოიღის შენს სხეულში, გვიყრბობს, განიჭი, ამ განცდების შესაბამისად განწყობი, აღდგება გემჩნევა, გრძნობებს ვეღარ იმორჩილებ — თვალზეც ცრემლი გვრევა. რატომ? რა მოხდა,

რა ძალაა ის, რომელმაც შენში ცრემლი გამოიწვია? ეს სწორედ ის ზნობრივი გრძნობაა, რომელსაც ხელოვნება აღვიძებს და ავითარებს ადამიანში; ეს სწორედ ჩვენი ყოველდღიური ზნობრივი ცხოვრების ფაქტებია, რომელზეც ხელოვნებამ სათუთად მოგვარა და უფრო ძლიერად განაცხადვინა, ვიდრე ეს მოხდებოდა სინამდვილეში.

ავიღოთ სხვა შემთხვევები. დავეშვათ, სოფელში მიღისარ და შემოგვსა საჭიდაო მელოლია, თითქოს შენგან „დამოუკიდებლად“ იღებ გადაწყვეტილებას და მიგმარებ თები საჭიდაო მოედნისაკენ. მისალოლიებს ხედავ, რომ მთელ სოფელს თავი მოუყრია, ქართული მუსიკა გრძიდება, იცვლებიან ფალაგები. შენც „უბებურად“ რაღაც ძალა იქით გწევს, ტანში ჟრუანტლის გვერის, გიმბობს მოედნისაკენ, მაგრამ ვახსენდება, რომ ჭიდაობა არ იგი და არც სათანადო მონაცემები გაქვს ამისთვის. ასევე მეორედება საცეკვაო მელოდიების მოსმენისას, კარგად შესრულებული სიმღერისა და ამა თუ იმ ინსტრუმენტზე ვირტუოზულად დაკვრის დროსაც. რამ განაპირობა ათვლითე ეს? რა ძალამ გადაასვენინა საჭიდაო სარბიზისაკენ? ისევე და ისევე ზნობრივმა გრძნობამ, რომელიც მუსიკამ გაგიღვია, გაიხსნოთ ასეთი შემთხვევაც: დაიწყე წიგნის კითხვა და, მიუხედავად დროის უქონლობისა, ვერ წაგეტ მასთან კავშირს, გაინტერესებს, გინდა ბოლომდე წაიკითხო, გასურს გაიკო, რა დამართება იმ გმირს, რომელიც მოგაწონა. შეგიყვარება კიდევ, ან როგორ დამთავრდება მოგონებას მსგავსობა, რომელმაც ასე დაგანტრუსა. ხდება პირიქითაც: აიღებ წიგნს, დაიწყებ კითხვას, შეწყვეტ და ალბათ აღარასოდეს დაუბრუნდები. იგი შენთვის უინტერესო გამოდგა. ანდა შეთხიარ თეატრში, კინოში, უყურებ მოქმედებს, არ მოგაწონა, არ მიგინდა, იძულებული ხდები დატოვ დარბაზი; ასევე გულგრილობა იპყრობი შენ „გაუგებარ“, უინტერესო მხატვრულ ნამუშევარს, რომელიც ქსაზნობრივული გამოიყენა.


ჩვენში წარუღილო კვალს ტრევის და ამბეღევიელ განცდებს იწვევს კოლხელი მთის ასულის მდიანს ტრაგიკოთა, ხალხური „ეფხისა და მკობის“ ამბავი. მარტვილობა შუშანიკისა და წამება ჩეთვიან თელფლისა, ცხრაკლიტულში მჯდარი ნესტარ-დარეჯანი და მისთვის ხელად ჩიკოლი ტარიელია. ვარძიის დიდებული ქმნილება და ნიორწმინდის ჩუქურთმათა შეკონება. გელათის ბრწყინვალე მოსაიკა და ხახულის საკვირაოი ხატია. მრავალშვილის „დაბალი ღობე“ და თირსმანის „მეოთხე“, ფალია-შვილის ჯადოსნური მუსიკა და ქორეოგრაფიული პოემა „ცეკვა ქართული“. ხელოვანება სოფელიე ამას მხატვრული საშუალებებით აღწევს, რომელშიც მკაფიდაა გათმობილი ერთნული მარადისობის ნიშნები. ცოცხალი, ცხოვრებისითილო მოვლენები და მათი აგტორისყოლი შეფასება. ამიტომ ვამბობთ. რომ ჭეშმარიტი ხელოვნება, რომელიც გამომთინაარეობს ჰარესყოლი ხალხის კულტურული ტრადიციებიდან, არა წარტო სინამდვილის მაღალმხატვრული ასახვა, არამედ მისი გარეყოლი შეფასებაც ხელოვანის მიერ. ამ უკანასკნელის დახმარებით აიტრის ადამიანებმდე დაჰაჰას სათნობისა და სიკეთის ეს თუ ის ითვა. — გვიჩვენებს ცხოვრებაში არსებულ ძალათა თანაფარდობას და სიკეთისა და ბორტობის ამ დაპირისპირებაში ადამიანის სულიერ განცდებს.

ახდენს თუ არა ხელოვნება ზომიქმობას ჩვენს ნიშნისყოლია? რა თქმა უნდა. ახსენს. იგი სკიშულს გვიძობს ამაოლოდით საკუთარ ინტერესებზე ზიოთ და პირაით ნიზა-სურთილი და მისწრაფება დაჯომორჩილით მუშაობის საითო-საკაცობრეო მაღალ იდვალეებს.

ხელოვნების თარაბის შორის აოხრობის. ზომიქმდევის სოლოვი მათალი შესაძობობობა ახასიათებს მუსიკას. ამიტომ უძეღვლის დროიდან მიიწვენ მას მხატვრული

ა. თევზაძე.

სერილიან „მეთევზეები“.



სხი გოგი ჭეიძევილი  
სხი იესევი კონია

აზროვნების ყველაზე მაღალ ფორმად. მუსიკის რილი, როგორც ამბობდა არისტოტელი, არ ამოწურება მის ეს-თეტიკური და ინტელექტუალური დანიშნულებით. იგი არა მარტო ატეობს ადამიანს დასვენებისა და გართობის დროს, არა მარტო ავითარებს აზროვნებას, არამედ მას აქვს უნარი შემოქმედება მოახდინოს ადამიანის ვითიკურ ხუნაზე. მუსიკა ადამიანში აღვიძებს, ავიარებს იმის ბუნებას, რომ განიხაროთ და მოეწყინოთ მაშინ, როცა სა-ჭიროა. სინარულია და მუხუბარებისადმი სწორი, ჯანსაღი და მოყიდებლების აღზრდა ზნეობრივ აღზრდის ძირითა-დი შინაარსია. მუსიკას პარნობია შეაქვს ჩვენს სულში და კეთილსაზოვან ხდის მას. რიტმი და მელოდია ასახავს სინამდვილესთან ახლო მდგომ მრისხანებასა და შორი-ლებს, მამაცობასა და ზომიერებას, ყველა მათ საპირისპი-რო მოვლენას და აგრეთვე სხვა ზნეობრივ თვისებებსაც.— ეს საბოლოო პრაქტიკული დაკვირვებით: როცა ვისმენთ რიტმს და მელოდიას, იცვლება ჩვენი სულიერი განწყობა, როცა მივჩვენებით მხიარული ან სევდიანი განწყობილების განცდას, იმის აღქმისას, რაც სინამდვილის წინააგება (რიტმი, მელოდია), ეს ჩვევა მივყავან იქმდე, რომ ვი-წყვეთ იმავე გრძობების განცდას თვით სინამდვილის, სინართლის აღქმისას<sup>15</sup>. არისტოტელი სვამს კითხვას: „რატომამ რომ ჩვენი გრძობადი აღქმის ყველა ობიექტში ვითიკური თვისებები აქვთ მხოლოდ იმ ობიექტებს, რომ-ლებსაც ჩვენ აღვიქვამთ სმენის საშუალებით. მარტოდ-მარტო მელოდია სიტყვების გარეშე შეიცავს ვითიკურ თვი-სებებს მაშინ, როცა არც ფერები, არც სურნელები, არც გემოვნების შეგრძნებები არაფერს ამის მსგავსს არ შეი-ცავენ“<sup>16</sup>.

როგორც ვხედავთ, არისტოტელი ერთგვარად აკნიებს ფერების შეგრძნებისა და მხედველობის საშუალებით აღქ-მული მშვენიერების ვითიკურ ფუნქციებს. თუმცე იგი იქვე მიუთითებს, რომ უმჯობესია ვარც ნახატებს ვუმზიროთ, ვიდრე ეკუდს.

არისტოტელი წერს, რომ მუსიკა აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს, ამასთან უნდა ისწავლებოდეს ახალგაზრ-დობაშივე; რომ მუსიკას უნდა ჰქონდეს სასარგებლო გამო-ყენება რამდენიმე მიზნისათვის; აღზრდისათვის, განწყონ-დისა და ინტელექტური გრძნობისათვის, ანუ დაძაბული საქმიანობისა და მძეიდლებისა და აღსვენებისთვისაც<sup>20</sup>. კარგ სურათსა და მუსიკას ცუდისაგან ყველა გარჩევს, მათს ნამდვილ ღირებულებას კი შედარებით ნაკლები გა-იგებს, ვიდრე მხატვრული ლიტერატურის ღირსებებს, მაგ-რამ რა სახისაც უნდა იყოს ხელოვნება, თუ იგი რეალის-ტურია, მაინც დადებით გავლენას მოახდენს ადამიანის სულიერ უნარზე და პირველ რიგში მის ზნეობაზე. იგუ-ლისხმება, რომ ყოველ ადამიანზე უფრო ძლიერად მოქ-მედებს მის მშობლიურ ენაზე შექმნილი, ეროვნული, ხალ-სური, მისთვის ახლობელი და მსაწყობი, ამავე დროს, გასაგები, პირველ რიგში, მხატვრული შემოქმედების ისეთი ნიმუშები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე ერთი ფსიქო-ლოგიურ კუთვნილებადაა ქცეული.

ზნეობრივი აღზრდა მშობლიურ ენაზე და მშობლიურ კულტურაზე დაყრდნობით დღეისათვის ერთ-ერთი მთა-ვარი პრობლემაა. ენა ლიტერატურისა და ხელოვნების ერთ-ერთი არსებითი ნიშანსეგტია, იგი ყველაზე საყვა-რელი და ახლობელი ყველა ადამიანისათვის. მშობლიუ-რი ენა ყველაზე დიდი შემოქმედებაა... საუკუნეების მან-ძილზე ეროვნულ ენაზე იკმნებოდა ყოველივე ესთეტიკური თუ ვითიკური ღირებულებანი. მისავე ბაზაზე ვითარდება ამჟამად თეატრი, კინო, რადიო, ტელევიზია, მუსიკა, მა-სობრივი ინფორმაციის სხვადასხვა ფორმა. გენიალური რუსი პედაგოგი და მოაზროვნე კ. დ. უშინსკი ადამიანის აღზრდისათვის მთავარ და უპირველეს საგნად მი-

ინცვდა მშობლიურ ენას, ლიტერატურასა და ხელოვნე-ბას; მისი აზრით, „არ არსებობს უფრო აუტანელი მალა-დობა, ვიდრე ის, როდესაც სურთ ხალხს წყაროვან მის გარდასულ წინაპართა უამრავი თათბების მიერ შექმ-ნილი შემკვლერობა“<sup>21</sup>. ამ მიმკვიდრეობათა შორის იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა დედა ენას. „სადაც კი კემშარტი განათლების ლამაზარი დათბებულა, დედაობად მას ჰქონია და აქვე დედა ენა, სწავლება დედა ენაზე, რო-გორც საუკეთესო ღივე განვითარებისა და ცოდნის შექმ-ნისას... როდესე ქვეყანაშიც კი გადაუსვევითი ამ გზისათვის, იქ გონების გასხნის მაგიერ მისი დახშობა მიუღიათ, გა-ნათლების მაგიერ დახელება და ზნეობის გაწყენდის და ანაღლების მაგიერ — მისი დაღლება“<sup>22</sup>. სწორედ ამ პრინ-ციპით უნდა ხელმძღვანელობდნენ ჩვენი ხელოვნების ზო-გიერი დარგის (განსაკუთრებით რადიოს, კინოს, ტელე-ვიზიის) მსქეურები თავიანთ მუშაობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, — დაწვრთო, აღვზარდოთ, შევასწავლოთ მოსახლეობას მსოფლიო ხალხთა კულტურა, ისე რომ, მის-თვის ჯერ კიდევ ნაცნობი, გასაგები არ იყოს მშობლიური

ა. თევზაძე. სერიიდან „მეთევზეები“.



კულტურა თავისი მრავალფეროვნებით, — ჩვენი ზრუნვა, როგორც კომუნისკი აღნიშნავდა, — დავსუგავსებოდა მის სურვილს, ვისძებს ასწავლო უცხო ენა იმაზე ადრე, ვიდრე ის ათვისებდეს თავის სამშობლოს ენას, ანდა თქვენს ვაჟს ასწავლოთ ცნებისწინა იმაზე ადრე, ვიდრე ის სარჯულს ისწავლიდეს<sup>20</sup>. ასეთ შემთხვევაში ხელოვნება მიზანს ვერ მიაღწევს — ვერ გააღვიძებს ადამიანში ამა თუ იმ კეთილშობილურ გრძობას (მ. გორგი)<sup>21</sup>. იგი ვერ ჩასწავლავს ცხოვრების პროცესს, ჩვენი ცხოვრების უმაღლესს და დაბაბულ მოვლენებს (ა. ტოლსტოი)<sup>22</sup>. ხელოვნება კი გუთუნის ხალხს, — ამბობდა ლენინი, — „იგი უხდა ჩაქმვას თავისი უღრმესი ფეხვებით ფართო მშრომელი მამების შუაგულში. იგი გასაგები და საყვარელი უნდა იყოს ამ მსაყვირთათვის“<sup>23</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენს ქვეყანაში ახალი ადამიანის ფორმირება ხდება საზოგადოებრივი მშენებლობის აქტიური მონაწილეობის პროცესში, პარტიის, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღმზრდელითი მუშაობის მიუღიოს სისტემის ზეგავლენით, რომელიც დიდი როლი გუთუნის ესთეტიკური აღზრდის ისეთ საშუალებებს, როგორიცაა ლიტერატურა და ხელოვნება.

საბჭოთა მოქალაქეს უნდა შეეძლოს ოპაზისა და მშვენიერის გარჩევა, ერკვეოდეს ხელოვნების საუკეთესო ქმნილებათა სილამაზეში, სწორად მსჯელობდეს ხელოვნების ნაწარმოებთა ესთეტიკურ ღირსება-ნაკლოვანებებზე. როგორც კ. მარქსი თავის დროზე მიითვობდა, — თუ გსურს რომ დატკეპ ხელოვნებით, ამისთვის შენ მსატკრულად განათლებული უნდა იყო.

ხელოვნებამ უნდა აღზარდოს ადამიანები, უწინარეს ყოვლისა, ცხოვრების დადებითი მაგალითებით. უკვლახე შეხვედრით ადამიანის შრომა და რა არის იმაზე უფრო კეთილშობილური ამოცანა, ვიდრე სიმართლით ვუჩვენოთ ახალი ადამიანი, მისი სულიერი ინტერესების სიდიდრე, ბრძოლა უარყოფითის, დრომტყმულის წინააღმდეგ. პარტია მივიცილითებს, რომ ისწოდდ ხელოვნებისა და ლიტე-

რატურის მუშაებმა საბჭოთა ადამიანებს უნდა მისცენ, უპიროველეს ყოვლისა, ისეთი ხაწარმოებები, რომლებიც ასახავენ კომუნისტური შრომის რომანტიკას, უნერგავენ ინიციატივასა და სინტიკიეს.

ამიტომ სოციალისტური ხელოვნების ძალაუ და მნიშვნელობაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი ავლენს და ხსნის თითოეულ ადამიანში სულიერი გრძობების მაგალ თეი-სებებსა და ხსასობას, ქმნის მას დადებით და მისაბამ მსატკრულ სახედ, რომელიც ღირსია დვის სხვა ადამიანებისაბების სავანი და მაგალითი. ცნობილია, რომ ხელოვნების ნაწარმოებები მოქმედებენ არა მარტო გრძობებზე, არამედ მსოფლმხედველობაზე, გონებაზე, მთელ ადამიანურ სულიერ სამყაროზე. ამას ხელოვნება იმით აღწევს, რომ ის წარმოადგენს როგორც სიხაბდვილის ასახვის, ისე მისი გარდაქმნის საშუალებას, როგორც ზედნაშენი კატეგორია.

მარქსიზმი გვასწავლის, რომ ხელოვნება, როგორც ზედნაშენი, ყოველთვის აქტიურად ესმარტავს თავისი წარმართვის ბაზისის განმტკიცებას. შეცნიერულად დამტკიცებულია, რომ — ზედნაშენს წარმოშობს ბაზისი, მაგრამ ეს სრულიადგ არ ნიშნავს, რომ ზედნაშენი მხოლოდ ასახავს ბაზისს, რომ იგი პასიური, ნეიტრალური, განურჩეველი თავისი ბაზისის, კლასების ბედისადმი, წყობილების ხასასათისადმი. პირიქით, რაკი გაჩნდა, ზედნაშენი უდიდეს აქტიურ ძალად იქცევა, აქტიურად უწყობს ხელს თავის ბაზისის ჩამოყალიბდეს და განმტკიცებს, ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ დაეხმაროს ახალ წყობილებას, ბოლო მოეღოს და მოსპოს ძველი ბაზისი და ძველი კლასები“<sup>24</sup>.

ამრიგად, შრომა, ადამიანი და ხელოვნება დიალექტიკურ ერთიანობაშია. ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოებები დიდ ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის სულიერ სამყაროზე. ისინი აწმდიებენ და შესაძლებლობას აძლევენ ადამიანს უკეთ გაერკვეს ცხოვრების, ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის საკითხებში.

შენიშვნები:

1 კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, თხზ., ტ. III, გვ. 632 (რუსულ ენაზე).  
2 ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოცემა, 1951, გვ. 649.  
3 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 12, გვ. 342-343.  
4 ს. მ. კოხვი, რჩეული სტატეები და სიტყვები, სახელგამო, 1944, გვ. 190.  
5 პროფესორი ვ. კოლბანკიძე, „კომუნისტური მორალის შესახებ“, თბ., 1952 წ., გვ. 63.  
6 ა. ა. ედნაოვი, გამოსვლა გ. თ. ალექსანდროვის წიგნის — დასავლეთ ევროპის ფილოსოფიის ისტორიის გამო გამართულ დიკუსიაზე, 1951, გვ. 40.  
7 კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, თხზ., ტ. 5, გვ. 429.  
8 კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, თხზ., ტ. 5, გვ. 65.  
9 იქვე.  
10 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 144.  
11 ბ. ბელინსკი, „ლიტერატურული ოცნებანი“, თხზ., ტ. 1, 1952, გვ. 16-17.  
12 ბ. ბელინსკი, რჩ. თხზ., ტ. 2, გვ. 463.  
13 ბ. ბელინსკი, რჩ. თხზ. სამ ტომად, ტ. 1, გვ. 485 (რუსულ ენაზე).

14 ბ. ბელინსკი, თხზ. სრული კრებული, ტ. 3, გვ. 22 (რუსულ ენაზე).  
15 მისივე, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, გვ. 17 (რუსულ ენაზე).  
16 მისივე, თხზ. სრული კრებული, ტ. 4, გვ. 79 (რუსულ ენაზე).  
17 მისივე, თხზ. სრული კრებული, ტ. 5, გვ. 131 (რუსულ ენაზე).  
18 არისტოტელი, „პოლიტიკა“, გვ. 366; იხ. გ. ბანჭელაძე, ხელოვნების ზნობრივ-აღმზრდელითი დანიშნულება, თხზ. 1959 წ., გვ. 34-35.  
19 არისტოტელი, „პოლიტიკა“, გვ. 367.  
20 იქვე.  
21 კ. დ. უშინსკი, თხზ., ტ. 1, 1916, გვ. 190 (რუსულ ენაზე).  
22 იქვე, გვ. 380.  
23 კომუნისკი, „ველკიაი დიკატიკა“ XXIIX, 4.  
24 ბ. გორაკი, თხზ., ტ. 24, 1949, გვ. 170 (რუსულ ენაზე).  
25 ა. ტოლსტოი, თხზ., ტ. 4, 1936, გვ. 486 (რუსულ ენაზე).  
26 კ. ცუტინი, წიგნიდან „მოგონებანი ლენინზე“. ლენინი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, გვ. 583 (რუსულ ენაზე).  
27 ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერებას საკითხები, თბ. 1951, გვ. 4-5.

სამი ვოცნი ბერძნულნი კ' მათი  
 - მსხ  
 სამი ხეყუმი ვახნიას -



მ. ტერელაძე  
 „ამირანდარეჯანიანის“ ილუსტრაციები







# საქრებულო ს ა რ უ ქ ა რ ი

ილი (მობაიტი) - *საქრებულო*

ახლოვდება საბჭოთა საქართველოს დიდი ეროვნული დღესასწაული. რესპუბლიკის მშრომლები, მთელი ქართველი საზოგადოებრიობა ემზადება ამ თარიღის შესახვედრად. მიღწევებით ეგვება ღირსშესანიშნავ იუბილეს ქართველი ინტელიგენციაც. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის იუბილეს შესანიშნავი საქურები მოეზაბა საქართველოს თეატრალური საზოგადოების სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილებამ. მეთხველებს ვთავაზობთ ჩვენი რედაქციის თანამშრომლის ინტერვიუს ამ განყოფილების გამგე ლილი ლომთათიძესთან.

კითხვა: რა ახალი ღონისძიებებით ეგვებოთ საბჭოთა საქართველოს დიდი ეროვნული დღესასწაულს?

პასუხი: საქართველოს თეატრალური საზოგადოების სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლის იუბილეს უძღვნის ფუნდამენტურ ალბომს „ქართული თეატრი“, 80 სავეტროო თაბახის მოცულობით.

ამ ალბომის ავტორ-შემდგენელები არიან: დიმიტრი ჯანელიძე, გიორგი ციციშვილი, კოტე ნინიკაშვილი. სარედაქციო კოლეჯიში შედიან: ბესარიონ ქვინტი, დოდო ანთაძე, დიმიტრი ჯანელიძე, გიორგი ციციშვილი, ერეკლია ქარელიშვილი, თთარ ფატი, კოტე ნინიკაშვილი და მე.

კითხვა: რას წარმოადგენს ეს ალბომი და რითია იგი ღირსშესანიშნავი?

პასუხი: ალბომი „ქართული თეატრის ისტორიის დოკუმენტური და ილუსტრირებული მასალის თავმოყრის პირველი ცდაა. მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურად და მოიცავს ქართული თეატრის განვითარების სრულ გზას — ხალხური საწყისებიდან დღემდე.

ქართული საბჭოთა თეატრის პერიოდი გაშუქებული იქნება თანმიმდევრულად სახელმწიფო თეატრების მიხედვით. ცალკე გამოიყოფა ქართული საბჭოთა დრამატურგია, რუსული, საზღვარგარეთისა და მოძმე ერების დრამატურგები ქართულ სცენაზე. საქართველოს ყველა სახელმწიფო თეატრს წაემძღვარება შესავალი წერილი, ქართულ და რუსულ ენებზე. სპეციალური გვერდებით გამოიყოფა ქართული თეატრის კორფები და დიდი მოღვაწეები — სსრ კავშირის სახალხო არტისტები, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები, გამოჩენილი კომპოზიტორები, თეატრალური

მხატვრები, ქორეოგრაფები და მთარგმნელები.

ქვეთავება გამოიყოფა საქართველოში არსებული სხვა ეროვნული თეატრები (რუსული, სომხური, აზერბაიჯანული). ცალკე იქნება წარმოდგენილი თეატრალური განათლება საქართველოში (თეატრალური სტუდები, თეატრალური ინსტიტუტი, კონსერვატორია, ქორეოგრაფიული სასწავლებელი) და თეატრალური კრიტიკა. ზემოთ ჩამოთვლილ ყველა მასალას მეთხველი გაეცნობა ქართულ და რუსულ ენებზე. ქვეთავება გამოიყოფა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადები, გასტ-

## თეატრალური საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნები



როლები სსრ კავშირისა და სახლვარ-  
გართ.

ალბომი „ქართული თეატრი“ გა-  
იხსნება სარედაქციო კოლეგიის წერი-  
ლით. შესავალი წერილის ავტორებია:  
დimitრი ჯანელიძე, გიორგი ციცი-  
შვილი. ორივე წერილი წარმოდგენი-  
ლი იქნება ქართულ, რუსულ, ინგლი-  
სურ ენებზე. ალბომს ინგლისურ ენაზე  
დაერთვის ვრცელი შემაჯამებელი წე-  
რილი ქართული თეატრის ისტორიის  
შესახებ.

პიქსმა: ჩვენი ჟურნალის მეოთხე-  
ლებინათვის საინტერესო იქნება თუ  
გაგვაცნობთ ავტორთა ძირითად შე-  
მაღვლლობას.

პასუხი: ალბომის ტექსტუალური  
მასალა შექმნილია თანამედროვე  
ცნობილი მწერლების, თეატრმცოდნე-  
ების, მუსიკისმცოდნეებისა და ხე-  
ლოვნებათმცოდნეების მიერ. ძირი-  
თადი წერილების ავტორები გახ-  
ლავთ: ბესარიონ ქლენტი, გიორგი ცი-  
ციშვილი, დიმიტრი ჯანელიძე, ერეკლე  
ქარგლოშვილი, ეთერ გუგუშვილი, ნა-  
თელა ურუშაძე, ნინო შვანიტაძე, ნა-  
დეჟა შალუტაშვილი, ოთარ გვაი-  
ძე, ელენე შაფათაია, შალვა მაჭავარიანი,  
გუგული ბუნიაშვილი, პავლე ხუ-  
ჭუა, ანტონ წულუკიძე, ვასილ კვიცი-  
ანი, ნოდარ გურაბანიძე, ალექსანდრე  
შალუტაშვილი, ნინა მუსხელიშვილი,  
ლალი ყურულაშვილი...

პიქსმა: გარდა ხსენებული მასალე-  
ბისა, კიდევ რა აქტუალურ საკითხებს  
ამუშავებს ალბომი?

პასუხი: იგი ამუშავებს ქართული სას-  
ცნო ხელოვნების განვითარების შემ-  
დეგ საკითხებს: აქტიური ხელოვნე-  
ბა, დრამატურგია, რეჟისურა, თეატ-  
რალური მხატვრობა, მუსიკა. ჩვენი  
მიზანია ალბომში წარმოდგენილმა  
მასალამ ნათელყოს ქართული თეატ-  
რის აღმავლობა: გზა რეალიზმისა და  
სოციალისტური რეალიზმის მეთოდის  
შემოქმედებითი დაუფლების პრო-  
ცესში.

პიქსმა: რას გვეტყოდით ალბომის  
მხატვრული გაფორმების შესახებ?

პასუხი: ალბომი ილუსტრირებული  
იქნება. საილუსტრაციო მასალა შეე-  
დგება 3.000 ფოტოსაგან, რომელიც  
შეიქმნა საქართველოს თეატრალური  
მუზეუმის, შ. რუსთაველის სახელო-  
ბის სახელმწიფო აკადემიური თეატ-  
რის, კ. მარჯანიშვილის სახელობის  
სახელმწიფო აკადემიური თეატრის,  
ზ. ფალაშვილის ოპერისა და ბალე-  
ტის სახელმწიფო აკადემიური თეატ-  
რისა და საქართველოს სხვა თეატრე-  
ბის არქივის ბაზაზე.

ამ უდიდესი მასალის ერთი ნაწი-  
ლი გამოქვეყნდება პირველად. ფარ-  
თოდ იქნება წარმოდგენილი თეატრა-  
ლური მხატვრობის ესკიზები, ისინი  
თვალსაჩინოდ ასახავენ ქართული  
დგომარტიული ხელოვნების განვითა-

რების გზას. საგანგებო გვერდები და-  
ვითობა ქართული თეატრალური მხატ-  
ვრობის ფუძემდებლებსა და აგრეთვე  
ასალავრდა თეატრალურ მხატვრებს.  
გამოქვეყნდება ფირისმანის რამდენ-  
იმე ესკიზი ქართული თეატრის თე-  
მაზე.

პიქსმა: უთუოდ გათვალისწინებუ-  
ლი გაქვთ ალბომის მალაღი პოლი-  
გრაფიული დონე.

პასუხი: დიახ, ალბომის მხატვრულ  
გაფორმებაზე მუშაობს, საქართველოს  
სსრ დანასხურებელი მხატვარი ზუ-  
რაბ კაპანაძე. ქართველ საზოგადოებ-  
რიობას კარგად ახსოვს ზურაბ კაპანა-  
ძის მიერ დიდი გამოწეებითა და ორი-  
გინალურად გაფორმებული „ვეფხის-  
ტყაოსნის“ საიუბილეო მინიატურე-  
ული გამოცემა და სულ ახლახან მის  
მიერ გაფორმებული „ქართული ხელ-  
ნაწერები“, რომელმაც მხატვრული  
გაფორმებისათვის უმაღლესი ჯილ-  
დო — ივანე ფედოროვის დიპლომი —  
ნიილი. ზ. კაპანაძის დახვეწილმა გე-  
მოვნებამ და ნიჭმა განაპირობა საქარ-  
თველოს თეატრალური საზოგადოების  
სარედაქციო-საგამომცემლო განყო-  
ფილებს არჩევანი.

ალბომის მხატვრულ მაკეტზე ვმუ-  
შაობდით ზურაბ კაპანაძე, კოტე ნი-  
ნიკაშვილი და მე. მაკეტზე მუშაობი-  
სას ვითვალისწინებდით წიგნის გამო-  
ცემისა და პოლიგრაფიის თანამედრო-  
ვე მიღწევებს.



სიხი ივანე  
სიხი ხეყეში

შავხუჩიანი  
შავხუჩიანი

# კოტე

## მარჯანიშვილის

## უამოქმედების

## ზოგიერთი

## საკითხისათვის

ქეთევან ხუციშვილი — 

სი იარაღის ველით („თოვლის ქალი“) აი, რა მიტაცებდა მე, აი, რა ტონებს ვეძებდი თვატრში.

მაგრამ იმედების გაცურებას, რაც რევოლუციის დამარცხებამ გამოიწვია, თან მოყვა ცხოვრებასთან ახლოებური დამოკიდებულება. წუწუნს ვერ დაეუბრუნდები... რაღა რჩება?.. იმკვეციური რწმენის იმედი, რომ „იქ“ არის რაიმე სხვა და რაიმე კარგი?..

თუმცა, ის რწმენა, რომელსაც შესაძლებელი იყო, მისტიკიზმამდე მივყავართ, ან გამაჩნდა. მე თითქოს ცნობილი კიდევ, რაღაც ზეგარდემო ძალას ჩემზე. ამავე დროს არც მწყამდა მისი, უარყოფიდი მას... ეს იგრძნობოდა კიდევ მარჯანიშვილის დადგებში, იგი, რა თქმა უნდა, დგამდა, სიმბოლისტურ პიესებს, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო მასში რეალისტური პრინციპები, რომ მხოლოდ გარეგნულად მოსჩანდა სიმბოლისტური პიესების ფანტასტიკურობა, ხოლო მოქმედ პირთა სულიერი სამყარო რეალისტური ხერხებით ფსიქოლოგიური სიღრმით იყო გახსნილი, დიდი დამაჯერებლობით იყო აღსავსე.

ამ პერიოდში მარჯანიშვილის დადგებები, მათ შორის სიმბოლისტური ხასიათის პიესებიც, გამოირჩეოდნენ იდეურობით, დემოკრატიული ხასიათითა და პოლიტიკური ჟღერადობითაც კი. რა თქმა უნდა, მარჯანიშვილმაც განიცადა ინტელიგენციის დაბნეულობა. განა შეეძლო მას გვერდი აეღო იმდროინდელი საზოგადოებრივი განწყობილებებისათვის? რასაკვირველია, არა. მისი შემოქმედება ყოველთვის თანამედროვეობის თანხმოვანი იყო. მან თავისი ნიჭი ხელოვნების მრავალ მიმართულებაში გამოაწრო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხელოვნებაში იგი ყოველთვის რეალიზმის ერთგული და მისი პრინციპების დამცველი იყო. მარჯანიშვილი იბრძოდა ბურჟუაზიული, ფორმალისტურ-დეკადენტური ხელოვნების წინააღმდეგ, სადაც მთავარი ადგილი სპექტაკლის გარეგნულ მხარეს ჰქონდა დათმობილი. (მხატვარი და დეკორაციები იყო წამყვანი), ხოლო მსახიობი მეორეხარისისოვან ადგილს იჭერდა სპექტაკლში.

ამ პერიოდში მარჯანიშვილს სულ უფრო ნაკლებად ეტყობს გარეგნული ეფექტები (დეკორაციული გაფორმება, მიზანსცენებით გატაცება) და მთელი ყურადღება გადააქვს სპექტაკლის შინაგან მხარეზე, პიესის ფსიქოლოგიურ განსაზღვ. მისთვის მსახიობი და მსახიობთან მუშაობა სხედა მნიშვნელოვანი და მთავარი მხარე. „...მე განსაკუთრებით ბევრს ვმუშაობდი მსახიობებთან, მაკიდასთან და როლის ფსიქოლოგიური მხარე უფრო მაინტერესებდა, ვიდრე დადგების გარეგნული მხარე.“

იდგებოდა ზარხის „ჯოი სტრიტ“. დადგმაზე კოტესთან ერთად დიომიდე ანთაძე მუშაობდა. კოტე ხშირად ავადმყოფობდა და საშუალოდ მოსკოვსაც კი მიაშურა, ამიტომ რეპეტიციებს დიდი ინტერვალებით ესწრებოდა. ერთ საღამოს მოვიდა. იჯდა პარტერში. დუმდა დაღვრემილი... სტუდიელები თავაძომოდებთ მუშაობდნენ სცენაზე (ლევანი ერთ-ერთი რეპრეკტორები მუშის როლს ასრულებდა). დამთავრდა რეპეტიცია. კოტეს ხმა არ ამოუღია — მდუმარე და დაღვრემილი მარტო წაივდა... მეორე დღეს კი რეპეტიცია კოტემ დაიწყო. მიუჯავა თუ არა პატარა მაგიდას, ხელში ქაღალდი მოიმაგრავა.

— ქველძი, შატბერაშვილი, კივანჯელიძე, გურული — ჩემთას!

ბიჭები წამსვე ჯარისკაცებოვით გამწკრივდნენ კოტეს წინ და გაიციმინენ... კოტეს სახეზე ღიმილი დასთამამებდა... სათითაოდ ჩამოართვა ბიჭებს ხელი:

— მოგილოცავ! მე წუხელი განახეთ: თქვენ ითამაშეთ როლები, უკვე ითამაშეთ, კარგადაც ითამაშეთ, ყოჩაღ!

ბიჭებმა შეგებით ამოისუნთქეს და როგორ გაოცდნენ, როცა კოტემ ხმადაბლა დაუმტატა, რომ ამ პიესიდან თავისუფლებით ხართ... იმ დამით, თურმე პიესა ხელახლა დაამონტაჟა და ბიჭების მიერ ნათამაშევი სცენა „იმსხვერპლა“... გული კი არ ატკინა ახალგაზრდებს, შრომა არ დაუკარგა.

1932 წელს კოტე მარჯანიშვილმა „ოტელოს“ დადგმა დაიწყო. ნაავადმყოფარი „იმდნად იყო დასტუტებული,

სცენა სპექტაკლიდან „სოლომონ ისაიან მეჯღანუშვილი“. ლ. შატბერაშვილი, ვ. ანჯაფარიძე



გოქო შევხენკო  
ხეცყაშ შევხენკო

კოფი პეჩენკისა  
ხეყეზი პეჩენკისა



რომ ბივის კითხვის დროს ოტელოს უკანასკნელ სიტყვებზე ტირილს ვერ იმაგრებდა“ (უ. ჩხეიძე, „მოგონებანი“, გვ. 165). კოტეს განწყობილება ძალაუხერბურად გადაედებოდა ხოლმე ყველას და ზოგჯერ რეპეტიციაც დაძაბულ, ნერვიულ ატმოსფეროში მიდიოდა. ლევანი გონდლოიერის თამაშობდა — იდგა ნავის კიბოზე, ხელში ვესტოკიური ლილიფივა ეკავა და მუსიკის პანგზე, მოშობილავ რიტმში, აწეთ-წიით არხვებდა... ნავზე თამაშდებოდა ბიანასა და კასიოს (ი. ვარჯაძე, გ. შავგულიძე) შეხვედრის სცენა. ლამაზი მონაწილე იყო. კოტეს მოსწონდა ეს სანახარობა და ხელის პატარა ზარით ღირსიგობობდა ნავის მოქრობას. ოდნავ გახალისდა, თითქოს დაძაბული ვითარებაც გაქრა და აი, ნავი შეჩერდა. ტექნიკურად ეს ისე უხერხოდ და მოულოდნელად შესრულდა, რომ ლევანმა თავი ვერ შეიკავა და „წყალში“ გადაეშვა.

-- თავიდან! — იყვირა კოტემ.  
დაიწყეს თავიდან, მაგრამ ნავი კვლავ უხერხოდ შეაჩერეს და ლევანი კვლავ გადაყირავდა...

— ნავი ისე შეაჩერეთ, რომ კაცი არ გადავარდეს! — ბრანშიორული ხმით იყვირა კოტემ და ზარი ხელში შეათამაშა... ლევანს კი, „წყალში“ გადადარდინოს, რაღაც ეშმაკად გაასხენდა ქრისტემ წყალზე რომ გაიარა და ფეხი არ დაუსველდა... მერე წმინდა იორგენი გამოეცხადა მოგონებამში... თავის თავს შორიდან შემოხვდა და რატომღაც იორგენს მიამსგავსა... გაეცინა... ნავი კი დანიშნულ ადგილთან კვლავ შებორძიკდა და ლევანი კვლავ „წყალში“ აღმოჩნდა... ღიმილი უკვე სიცილად ექცა... ახლა ქრისტედ წარმოიდგინა თავი... უკვე მესუთედ „ჩაყურყურა“ და მაინც მშრალად გამოიხსნა წყლიდან...

— რა არის აქ სასაცილო!... — მისხანდა იკითხა კოტემ და ზარი კვლავ შეათამაშა ხელში... სამარისებურ სიჩქარეში ნავიდან კვლავ გადმოვარდნილი ლევანი წამოდგა და როცა კოტემ მისი გაღიმებული სახე დაინახა, გაცეცხლდა, იკივლა და მიიღო ძალით გაუქანა ზარი.

— უბრალო! ვიონ! გაათრეთ! გახადეთ!  
ლევანი სენიდან გაიძვინა, გახადეს, სხვას ჩააცვეს... მაგრამ ის სხვაც გადავარდა, სცენა მაინც არ გამოვიდა... ლევანი კი, სასომხდელი და არტისტულ კარიერაზე ხელახანებული, კოთხე-კოთხე იმალეობდა თვალტრემოვანი... ამასობაში რეპეტიციაც დამთავრდა და გაბრუნებული კოტე ფოიეში არწივით წაადგა ცეცხსებულ ბიჭს... კოტემ უყურა, უყურა და გაიღიმა.

— ბოლო, რა გაცივებდა, ა? ერთი მიოხარი, რა გაცივებდა!

ალუღლუღდა ლევანი:  
— არ ვიცინიოდ... სახე მაქვს, ბატონო კოტე, ასეთი, ტრეპთან ისეთი ნაოჭები მაქვს...

კოტე გაკვირვებული ჩაყურებდა ამ მორთოლვარე ჭაბუკს, რომელსაც სახეზე მართლაც აღებულოდა ნაოჭები, მაგრამ ახა ღიმილის, არამედ სასოფარკვეთისა და მუხუბარებისა. თავი ვეღარ შეიკავა კოტემ:

— აბა, მოდი ერთი, მაგ ნაოჭებში გააკოტე — შესხადა და ჩაეკომა ლევანს... მერე ერთი გადახარხარა და დაღრმოდ ფოიეშიც სიციფხვდა და ხალისი დამყარდა.

კოტე მარჯანიშვილმა დალიცა ლევან შატბერაშვილის არტისტული გზა, მაგრამ ეს იყო და ეს — კოტე მალე განუდგა წუთისოფელს, მას ლევანი სოლიდურ როლში არ უნახავს. როცა კოტე მარჯანიშვილზე საუბრობს ლევანი, იფრანობს, რომ მისთვის წმინდა ადამიანზე ლაპარაკობს. მას ღრმად ესმის მარჯანიშვილი-რეჟისორი, ჯანსაღ, უტენდენციო ანალიზს უკეთებს მის შემოქმედებას და გულწრფელად ამბობს:

— რა გენა, მე სხვებზე ვერ ვიტყვი, რომ ყველა-



ლეთისა — ლ. შატბერაშვილი („მოკეთილი“)

ფერი მესმობა, რასაც მაშინ კოტე მარჯანიშვილი აკეთებდა. ბრმად ვიყავი შეფერებულნი, რადგან ინტუიციით ვგრძნობდი, რომ ეს რაღაც სხვა იყო, რაღაც თავისებური. მარჯანიშვილის ფასი რომ გაიკო, თავად უნდა იყო მომწიფებული... მაშინ აბა, რა დროს ჩემი სიმწიფე იყო...

დღეს კი ჭეშმარიტად იცის კოტე მარჯანიშვილის, სანდრო ასმეტლის, მათი თაობის ფასი, ავი და კარგი. არა უბრალო მწახველის, არა რიგითი შემფასებლის, არამედ გულშემატკივარი შემოქმედის პოზიციებიდან აფასებს წარსულს, დიდ რეჟისორთა და მათ ჭეშმარიტ მოწაფეთა ღამსახურებას ქართული თეატრის წინაშე.

პირველი ნალოზა, როგორც მსახიობმა, ლევან შატბერაშვილმა ვასო შატბერაშვილის მიერ დადგენულ ამერიკული დრამატურგის ელმერ რაისის პიესაში „ჩვენ, ხალხი“ მიიღო (ეს იყო პირველი ამერიკული პიესა, რომელიც საბჭოთა სცენაზე დაიდგა). პიესაში 70 მოქმედი პირია და მათ შორის კიტეიკამ, პირველ რიგში, ლევან შატბერაშვილის როლი გამოყო. „უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია აღენ დევისის შემოქმედებით. ლ. შატბერაშვილი, რომელსაც პირველად ერთი დიდი პასუსხაგები როლი“ — წერდა ჟურნალი „დროება“ (1934 წ. № 7-8, გვ. 12) იგივეს იმორჩებდნენ გაზეთები „კომუნისტი“ (1934 წ. № 93), „ნა რუბეზე ვოსტოკა“ (1934 წ. № 9) და სხვ.

1934 წელს ლევან შატბერაშვილმა, უკვე როგორც პროფესიონალ მსახიობმა, გადადგა პირველი ნაბიჯი მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე და 1947 წელამდე იგი გვერდით ედგა ქართული სახელობის სცენის მრავალ სახელოვან მოღვაწესა და უპრეტენზიო მუშაკს, და თავა-

დაც ყველაფერს უბრუნებოდა და მივრატობოდა, უდრეტივობა ატარებდა დიდ ტვირსს. მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ლ. შატბერაშვილის მიერ განხორციელებულ მრავალ სახეთა შორის პირველი სიმწიფითა და შემოქმედებით სიბრძნით გამოირჩეოდნენ დრუსენი („შური“ — ი. ვაკაშის), ბირის სერგევი („ინჟინერი სერგევი“ — ს. როკის), თენგიზ როგორც სააკაძე — ჯ. ჩხეიძის), ლევისი („მოკვეთილი“ — ვაჟა-ფშაველას), ალექსანდრე რაინდამე („სოლომონ ისაივი მუჯღანაშვილი“ — ლ. არდანიანი-სა), არჩილი („ფიქრის გორა“ — გ. შატბერაშვილისა) და სხვა.

დრუსენი („შური“) და ბირისი („ინჟინერი სერგევი“), როგორც პერსონაჟები, მაშინ შემოვიდნენ სცენაზე, როცა ყალიბდებოდა მსოფლიო ლიტერატურისათვის აქამდე უცნობი ტიპი — სოციალისტური საზოგადოების მშენებელი დაღმბითი გმირი.

ლ. შატბერაშვილის მიერ შექმნილი დრუსენი და ბირისი სოციალისტური სინამდვილის მშენებელი ახალი დამიანები, რეალისტურად დახატული გმირები იყვნენ. მათი საერთო თვისებები იყო უბრალობა, თავმდაბლობა, პრინციპულობა, უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, საზოგადოებრივის პირადზე მაღლა დაყენება და სხვ. მათთვის სიბრძნისა და სიკეთისადმი სამსახური საარსებო მოთხოვნილება იყო.

ქართულმა პრესამ დირსეულად შეაფასა ლევან შატბერაშვილის დამსახურება ამ ეტაპზე.

აქვე მინდა გავიხსენო ერთი ფაქტიც: ბირისის როლს გიორგი შაველიძემ ასრულებდა. ლევანი მისი დუბლიორი იყო. პირველი წარმოდგენა გიორგიმ თიანეთში, მეორე — ლევანმა, როგორც წესი, გიორგი დაესწრო მეორე წარმოდგენას... წარმოდგენის შემდეგ გიორგი მივიდა სპექტაკლის დამდგმელთან — ვერიკო ანჯაფარიძესთან და უთხრა:

— მე რომ ლეოზე დიდი არტისტი ვარ, ვიცი, მაგრამ ამ რომლი მაჯობა და რა გუნა, აწი ადარ ვითამაშებო... — თქვა და აღარც უთამაშია...

მაყურებელთა საყვარელი სახეები იყო ლ. შატბერაშვილის მიერ შექმნილი თენგიზ როგორც („გორიკი სააკაძე“), ლევისი („მოკვეთილი“); თვითონ ლევანს არ მისწინდა მის მიერ შექმნილი სახე ალექსანდრე რაინდამისა („სოლომონ ისაივი“), არც კრიტიკამ მიიღო რეჟისორის ჩანაწერი, რადგან, როგორც ვახუთი „კომუნისტი“ (1940 წ. 15 ნომბერი) წერდა, ა. რაინდამის სახე იმ საზოგადოებრივი ყოფის ფონზე, რომელიც სპექტაკლშია ასახული, ისტორიულად არ არის მართებული, მაგრამ როგორც სცენური პორტრეტი, ის არაფრით ჩამოვარდნილობდა თვით გ. შაველიძის მიერ შექმნილი ლუარსაბის შესანიშნავ სცენურ პორტრეტზე...

შესრულებულ მრავალ როლთანავე ლევანს განსაკუთრებით უყვარდა არჩილი გ. შატბერაშვილის „ფიქრის გორაში“. სპექტაკლი (დადგმა ვასო ყუმიშტაშვილისა) ომის დამთავრების წინა დღეებში — 1945 წლის აპრილში უჩვენეს მაყურებელს. თეატრი სიყვარულითა და მღელვარებით მუშაობდა დადგმაზე, მაყურებელმაც ასევე მიიღო სპექტაკლი. რა ბედო ერთი იმ ადამიანებს, რომლებიც ფორტზე დასახარდნენ? როგორი იქნება მათი მომავალი? რა ადგილი ექნებათ საზოგადოებაში? ეს იყო სპექტაკლის მთავარი პრობლემა. პიესაში თითქმის ყველა მოქმედი პირი მთავარა, მაგრამ შოთა (ხეიბანი), არჩილი (მისი მეგობარი) და მამა (შოთას) ის სამყაროებიდა, რომელზედაც აგებული იყო მთელი სპექტაკლი... შ. დამბაშიძის (მამა) და პ. კობახიძის (შოთა) ღირსეულ პარ-

ტნირობას უწევდა არჩილის როლის დიდებული შემსრულებელი ლევან შატბერაშვილი.

„იმდენი ალალი გრძნობა, სითბო და ინტიმი მსახიობის თამაშში, რომ მოხიბლული რჩებოდა. ვერასოდეს ვერ დაივიწყებს მაყურებელი მუროვ მოქმედების პირველ სურათში მსახიობის, რომელსაც უდღესი თანაგრძნობით შემოაყვას პროფესორის ფეხში თავის ფრინტული მეგობარი“ — წერდა ვახუთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ (6.VI, 1945 წ.). „ეს როლი მხატვრული სისადავით განსახივრ ნიჭიერმა მსახიობმა ლ. შატბერაშვილმა“ — ასკვნენ ვახუთი „კომუნისტი“ და ა. შ. მთელი ქართული პრესა აღნიშნავდა ლევანის დიდ წარმატებას ამ როლში.

ლ. შატბერაშვილი ლამაზი ყმაწვილი იყო. მოხდენილი, მშვენიერად ციკავდა, ბრწყინვალედ ფარიკაობდა. იყო ნიჭიერი, მაგრამ არასოდეს არ კონიაობდა თავის შესაძლებლობებითა და წარმატებით. მოკრძალებული იყო თავისი პროფესიისა და უფროსი კოლეგების წინაშე... და მანვე მსახიობობაზე შეტად რეჟისორმა იზნადა... იგი ბავშვობიდანვე, თავის დასთან, საყვარელ ნაცოსთან ერთად, წარმოადგენდა რომ დაჟანდა უნების ნაცუებისათვის, თავის თავში გრძნობდა განსაკუთრებულ უნარს. ეს უნარი რეჟისორობა იყო.

— რეჟისობაზე ფიქრი არასოდეს მომშორებია გენშიდან, მაგრამ ვფრთხილობდა... მოხიბლული ვიყავი ვასო ყუმიშტაშვილის რეჟისორული ტალანტით და ბევრი რამ ვისწავლე მისგან, ბევრი რამ ვისწავლე გიორგი აჩრულისა და ვახტანგ ტაბორაშვილისგან — ისინი ჩემი საუკეთესო მეგობრები და მასწავლებლები იყვნენ და არიანო — ამბობს ლევანი.

ლევანი პირველად მ. ჟურულთან მუშაობდა „ქამთავრის ასული“ დადგმაზე. დიდი ენთუზიაზმითა და მონდობით შეუდგა საქმეს, მაგრამ ჟურული წავიდა მარჯანიშვილის თეატრიდან და პიესა მოხსნა მიწოდებდა... მიორედ გ. ღვინიაშვილთან იყო თანადამდგმელად („ახალგაზრდა გვირგვინი“ დაგმინდა), მუშაობდა თავადღმბით, დიდი მოკრძალებით, თითქმის ყოველ დღეცალს გაბის უთანხმებდა.

— თქვენ უკვირ რეჟისორი ხართ, იმუშავებ, როგორც ტაბორაშვილთან (— ჟურულთან ერთ დღეს გაბიმ და ამით გართო თავისუფლებდა მისეა ლევანი, მაგრამ... პიესა კლავ მოიხსნა წარმოდგებიდან (არა რეჟისორთა მიწეზით...) შესამიღ ისევე გ. ღვინიაშვილმა შესთავაზა თანადამდგმლობა („...თავის მისწავლიბილი“), მაგრამ, — ამ დროისათვის კი, (1947 წ.) მისოკვიდი. საფიქსორო კურსებზე წავსალა შესთავაზეს და აბა უარი როგორ ეთქმობდა...

ერთი წელი მისოკვიში გაატარა ლევანმა. გავიწო მისთვის თეატრალურ ცხოვრებას — ვახტანგოვის, მიორეს, სამხატვრო და სხვა თეატრებს. ხანაბო იმინდა ძელი ვახტანგოვიკის, რიკოსო რაბანინის საუბრებს. მისოკვიში, იმ ერთ წელიწადში, ლ. შატბერაშვილმა თავისი თავი გამოიწვია და თარწმუნდა, რომ უღებობა ქმინა რეჟისორობას შესაძლებელია. ეს რწინა იმანაკ ანამოკიკიკია, რომ მისოკვიშიკი მიიღო ვასო ყუმიშტაშვილის მიწევიკა — ვასო ზუდიდის თეატრში სამუშაოდ ეპაკიკიობდა ლოკანს: „...იმი სათვის. რომ აქ სამე კარად მიქნათ. მე მჭირთობა მარჯვენა ხოლო, რომოქვიკი თე ვჯერ არ მავს, და, რომოქვიკი კილოლა ლორო შინი სახით მავას წარმოდგინო...“ — მე ვიცი, რომ შინიკ გაკანინია ის ცოცხალი ძაროთი, რომლი დარტო კარირის ახს ან გაკუთობა, არამო მიონდომობს ისთ მუშობას, სადაც კითილოც იქნება, ლა. ამის გარეშე კი შემოქმედი არც ვახრდილა და არც ვაიზრდება...“

ლევანი ზუგდიდში არ წავიდა, რადგან ვასო წამოვი-  
და ზუგდიდის. მოსკოვიდან დაბრუნებული, უკვე რევი-  
სორად ნაკურთხი, მშობლიურ მარჯანიშვილის თეატრს  
დაუბრუნდა.

ათველზე მეტი წელი იღვაწა, როგორც რეჟისორმა.  
იგმა გამარჯვების სიბოძე და დამარცხების სიმწარეც.  
მას, როგორც რეჟისორს, ტანს უგარავდა კოტე მარჯანი-  
შვილისა და ვასო უმბიძგაშვილის თეატრში, მოსკოვსა და  
თელავში, ცხინვალსა და ბათუმში. ლევანის ყოველ და-  
ვლას იგრძობოდა რეჟისორის დიდი პუბლიცა. იგი იყო  
მართალი, უშუალო, კარგი მამულიშვილი და სადაღ მოაზ-  
როვნე თანამედროვე კაცი, სულით და გულით რეალიზმის  
ჩრდილოელი. მისი რეჟისორული პალიტრა მდიდარი იყო,  
ზიზანსენები დახვეწილი (ზოგჯერ განსაკვირვებლად  
ლაკონური და ემოციური), სპექტაკლს ყოველთვის ორი-  
განაღურად წყვეტდა, ჰქონდა მკაფიო რეჟისორული აზ-  
როვნება. ამ ნიშნებით იყო აღბეჭდილი ლ. შატბერა-  
შვილის დადგენილი მარჯანიშვილის თეატრში: „რკინის პე-  
რანგა“ — გ. შატბერაშვილისა, „ვარდო“ — გ. მიდენის-  
ა, „მარინე“ — მ. ბარათაშვილისა, „ვარდის ასფურცლოვანი“  
— კ. ბუაჩიძისა, „ოჯახის ღირსება“ — პ. მუსხა-  
როვისა, „ხვალნიდელი დღე ჩვენი იქნება“ — აბრამ პან-  
სისა და სხვ. თელავის თეატრში ბოძარშუს — „ფიგაროს  
ქორწინება“, ცხინვალში — გ. პლიგვის „ჩემიშენი“, ბათუ-  
მის თეატრში — მ. მრევლიშვილის „ზვადი“ და სხვ.

ლ. შატბერაშვილის შემოქმედებითი მნიშვნელობა, რეჟისო-  
რული ფანტაზია და მხატვრული გემოვნება გამოხატულადა  
მის პირველსავე დამოუკიდებელ დადგმაში — გიორგი  
შატბერაშვილის „რკინის პერანგში“. „დიდი პოლიტიკური  
ფლერდობის ხალხური სულით გაქვლებილი წარმოდგე-  
ნა, რომელშიც ყურადღებას იქცევდა მხატვრულად და მან-  
ჟინით, ქვემოტანებით მდიდარი დილოგია, ქართული  
სახეების მკაფიო კოლორით, სამაგლოთი ომის მშფოთვა-  
გა პათოსის გრძობა“ („კომუნისტები“, 15.11.48 წ.). რე-  
ჟისურენტის აზრით, „თუ მაყურებელი სპექტაკლს სიამოვნე-  
ბებით უყურებს და იქნადა დიდურად შთაბრუნებული გამო-  
ის, ამაში თვალსაჩინოა ახალგაზრდა რეჟისორის როლი.  
მან შექმნა კარგად მოფიქრებული და ზუსტად დამუშავე-  
ბული მიზანსაყრები... გასული „ლიტერატურა და ხელოვნე-  
ბა“ კი აღინიშნავდა — ლ. შატბერაშვილმა შექმნა  
რეჟისორულად კარგად მოფიქრებული და კომპოზიციურ-  
ად მტკიცედ შეკრული სპექტაკლი, რომელშიც „ყველა-  
ფერი, დაწვეული ადამიანთა სახიათებით და დამთავრე-  
ბული ყოფითი აქსესარებით — ხალხთობის პრინცი-  
პით, ხალხის ცხოვრების ღრმა ცოდნით და მისდამი სიყ-  
ვარულითაა გაუმსვალული“ (№ 48, 1948 წ.).

გამარჯვებით აღინიშნა ლ. შატბერაშვილის მეორე  
დადგმა — გ. მიდენის „ვარდო“ (1949 წ.), რომელიც  
დრამატურგმა რუსულ ენაზე დაწერა და იდგებოდა მოს-  
კოვის თეატრებში სათაურით „ვინ არის დამნაშავე?“...  
«Но коллективу театра им. Марджанишвили  
(постановщик Шатберашвили) удалось создать  
вместе с автором подлинно грузинский вариант  
этой веселой и умной комедии» («Театр», № 9,  
стр. 16, 1949 г.).

მართლაც, „ვარდო“ ერთი შესანიშნავი სპექტაკლთა-  
განი იყო მარჯანიშვილის თეატრისა. ფაქტობრივად ამ სპექ-  
ტაკლით დაიწყო თეატრმა გამოსვლა იმ ჩინიდან, რომ-  
ელშიც აღინიშნა ზედმეტად რამდენიმე კომედიის წარუ-  
მატებელი დადგმის შემდეგ... სპექტაკლი აღსავსე იყო  
ადამიანისადმი რწმენით, ხალხის სიყვარულით, უშუალო-  
ბით და სიბოძით. ახალგაზრდალი ერთუხაშობითა და  
მხატვრული ტაქტით. სწორედ ამ თვისების გამო აღნიშ-  
ნულმა სპექტაკლმა თანამედროვეობის ამსახველი სპექ-

ტაკლებს საკავშირო დათვალთვლებაზე გამარჯვება და  
საერთო აღზრდა მოიპოვა. როგორც უნდა „შატბერა-  
შვილის თეატრი მ. გრიგორივი წერდა: «Спектакль смот-  
рится с неослабевающим интересом, все время  
вызывает взрывы смеха зрительного зала. Трудно  
кого-нибудь выделить из этого прекрасного  
ансамбля... «Вардо» — лучший спектакль из по-  
казанных на смотре театром им. Марджанишви-  
ли». (იქვე, გვ. 16).

ასე, თვინად თვედ, დადგმიდან დადგამდე იზრდე-  
ბოდა და ყალიბდებოდა რეჟისორი ლევან შატბერაშვილი.  
მან თითქმის თავისი თემა მოიტანა თეატრში — თემა თა-  
ნამედროვეობისა, უზნალო, რივიანი ადამიანისა, კაცური  
კაცისა, ახალი დროის მშენებელი გმირისა. პიესაზე მუ-  
შაობისას ლევანი, როგორც რეჟისორი, პოულობდა ისეთ  
დატალბებს, რომელიც აღმოჩნდა აქ პიესის ავტორისა  
და თეატრისათვისაც. ეს დატალბები, მერე, გულმოდგინედ  
მუშავდებოდა დრამატურგთან ერთად და თეატრი ღებუ-  
ლობდა უკეთეს ვარიანტს.

ასეთი მტკანობრივია განიცადა, მაგალითად, კ. ბუა-  
ჩიძის პიესამ „ფაქიზი განცდები“. რომელიც დადგა  
1950-51 წლებში ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, გორის,  
ჭიათურის, ზუგდიდის, მახარაძის, ფოთის თეატრებში.  
კრიტიკა არ მალავდა, რომ პიესას ჰქონდა ნაკლოვანებები,  
მაგრამ მაყურებლის მოსწონდა და თეატრებიც უმოწყალო  
„ექსპლუატაციას“ უწევდნენ „ფაქიზ განცდებს“...

და აი, 1952 წელს „ფაქიზი განცდები“ ლევან შატბე-  
რაშვილის ხელში მოხდა... დრამატურგი ფხვდაფხვ მიპ-  
ყვა ნიჭიერი რეჟისორის ალდოს და შეიქმნა პიესის ახალი  
გარიანტე ახალი სათაურით — „ვარდის ასფურცლოვანი“.  
მისივე მარჯანიშვილებმა პრემიერა წარმოადგინეს, 13  
ივნისს ქა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსე-  
ბულმა ხელოვნების საკმეოთა სამხრეთულ მომსახურე ბრძა-  
ნება, რომლებიც შესაბამისი თეატრებიც აიკრძალა. „ფა-  
ქიზი განცდები“ ჩვენება და დაეკლავათ ამ სპექტაკლის  
საფუძვლად ადვოთ პიესის ახალი ტექსტი, მარჯანიშვილის  
თეატრში დადგმული სცენური ვარიანტის მიხედვით.

„ვარდის ასფურცლოვანი“ მარჯანიშვილის თეატრში  
სიყოფილითა და ხალხისათვის სპექტაკლი იყო. ლ. შატ-  
ბერაშვილმა იმეათით ოსტატობით გამოაქრწა მახვილი კო-  
მედიური სახეები, ხალხის იუმორით სავსე ლაპიდარული  
მიზანსაყრები... კომედია იკუმობდა და ვითარდებოდა  
მწკვიარე რიტმით, რომლის გარეშე იგი შეიძლებოდა მო-  
საყრენ სახანაობად ჩქეულიყო. შეუქნა და ჩრდილობ, ფე-  
რინის უცარო მონაცვლითობა კი ჩწნიდა თვალისათვის  
იოლად ასათვისებელ გარემოს, რომელიც თანამედროვე  
მელორდ უსაფრთხისა და აგრნობი ქალწულის მომხიბე-  
ლული რომანი... ძველი და ახალი თაობის მსახიობები  
ესილითა თყაყვილით, ალ. ქორჭოლიანი, მ. თბილელი, ი.  
ტრიპოლსკი, ა. დაუბელი, მ. მახვილიძე, ტ. საყვარე-  
ლიძე, შ. ქორჩაძე და სხვები სახიობის ფიქრებრეკს ან-  
თებდნენ სცენაზე და მაყურებელი დაუცხრომელ სიცილ-  
ხარხარში იყო...

ასეთივე ბედი ხვდა მარჯანიშვილის თეატრში მარკია  
ბარათაშვილის სახელმწიფოლი კომედიას „მარინე“... იგი  
ლევან შატბერაშვილმა არჩილ ჩხარტვილიანთან ერთად  
დადგა. მოსაზრებებით მუშაობა (ტექსტზე, ავტორთან  
ერთად და სხვა) ლევანს ჰქონდა მინდობილი. ამ კომედის  
ბედნიერი ვარსკვლავი აღმოჩნდა მიქაელ ჯაფარიძე, რომე-  
ლიც ქართულ სცენაზე ყველაზე პოპულარული მარინე  
ფერამე იყო... 1958 წელს მოსკოვში გამართულ ქართული  
ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადანზე სხვა სპექტაკ-  
ლებთან ერთად ნაჩვენები იყო „მარინე“... ლ. შატბერა-  
შვილისა და გ. ლორთქიფანიძის დადგმით — უფრო სწო-

რად, ეს იყო ჩხარტიშვილი — შატბერაშვილის სპექტაკლის აღდგენა. სპექტაკლი საღვკაოდ რეპერტუარში გამგზავნებამდე ორი კვირით ადრე მოხდა და მაინც „მარინეში“ ბრწყინვალე რეპუტაცია მოიპოვა — თეატრალურმა მოსოფელმა ერთხმად აღიარა ეროვნული თეატრალური ხელოვნების დიდ მიღწევად. როგორც სასაბჭოო თეატრის ვეტერანი ნ. გორჩაკოვი გახუთ „პრავდაში“ წერდა, „მარინეს“ წარმატება განაპირობა იმან, რომ სპექტაკლები ავტორებმა ღრმად ჩაწვდნენ ხალხის ცხოვრებას, ხალხის სულიერ ინტერესებს, უნარს — შეგანაშოს შრომა და ლხენა... «Поэтом в дни декады грузинского искусства и литературы так тепло, весело, искренне, дружески откликается зрительный зал Малого театра, предоставленного гостям столицы, на события этого чудесного спектакля...».

ნ. გორჩაკოვი გულწრფელი აღტაცებით წერს, რომ «Режиссеры Л. Шатберашвили и Г. Лордкипанидзе добились настоящего ансамбля, нашли отличный ритм спектакля, обогатили постановку многими интересными режиссерскими находками, дали комедийно-символический финал спектакля...» („პრავდა“, 25. III. 1958 წ.).

პროფ. თ. პიფოვას აზრითაც, „სპექტაკლი „მარინე“ ტუმარატიდ თანადროული, ცოცხალი, გონივრული სპექტაკლია, რომლისგანაც ბევრი რამის სწავლა და გამოყენება შეიძლება“ („საბჭოთა ხელოვნება“, 1958 წ.; № 8, გვ. 16.), ხოლო პროფ. ვ. სენინის მიხედვით «В целом спектакль «Марине», по нашему глубокому убеждению, принадлежит к числу самых ярких, подлинные национальных и своеобразных представлений декады» («Правда», № 6, 59, стр. 58).

ერთი სიტყვით, „მარინეს“ დადგმა მარჯანიშვილის თეატრში და მისი ტრიუმფი მოსოფელში იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომ მარინე ფერძანის მხიარული და სხვა-თა შორის ტკულის სასწავლებელი თავდადასავლით დაინტერესდნენ არა მარტო რუსეთისა და სხვა მომიმე რესპუბლიკების, არამედ დემოკრატიული ქვეყნების თეატრობიც... მარინემ ფეხი აიდგა და გვარიანადაც იმოგზაურა...

საერთო მაღალი პროფესიული დონით, რეჟისორული ხელოვნების სიმწოდით, გემოვნებით, ძიებითა და მიგრებით გამოირჩევა ლ. შატბერაშვილის მიერ დადგმული ს. მუხტაროვის „ოჯახის ღირსება“, რომელიც ქართულმა კრიტიკამ „თეატრის კოლექტივის დიდ ღირსებად“ გამოაცხადა.

ასე დამსახურებულად დამკვიდრდა ლევან შატბერაშვილი ქართველ რეჟისორთა სახელოვან ოჯახში. ყველგან, სადაც იქ მუშაობდა, მას შეჰქონდა რეჟისორის კვალივით თვალსაზრისი, ჯანსაღი შემოქმედებითი პრინციპები, პროფესიონალიზმი. ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა თელავში, ცხინვალსა და ბათუმში მოღვაწეობისას. თელავში ლ. შატბერაშვილის მიერ დადგმულ ბომარშეს „ფიგაროს ქორწინებას“ შესახებ რეჟისორი არჩილ ჩხარტიშვილი სასაბჭოო ხელოვნებაში (1955 წ. № 5) წერდა: „ეს სპექტაკლი შესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს არა მარტო თელავის, არამედ საერთოდ საქართველოს თეატრალურ სფეროში. ამ სპექტაკლის დადგმა პრინციპების თეატრამ შემდგომშიც სახელომდგენელად უნდა გაიხადოს“. ხოლო რეჟისორი ვახტანგ ტაბლაიშვილი, რომელმაც ამ

სპექტაკლი ვრცელად რეცენზია უძღვნა ურნად „დროსაში“ (1955 წ. № 5), პირად ბარათში ლევენს წერდა: „სპექტაკლმა ჩემზე ნამდვილად კარგი შთაბეჭდილება დატოვა. იგი, ლეო, რას გეტყვი? — რეჟისორული აზრისა და ხელის სითამამე შენ აქ ასეთი არ გქონია. რა მოხდა? ყველაფერი კრისტალურაა, სპექტაკლი ასე შეგარული, რომ ბევრ გაბერილი ავტორიტეტის მქონე რეჟისორს სამართლიანად უნდა შეშურდეს“.

მართლაცადა რა მოხდა? ახალგაზრდა რეჟისორის სრული შესაძლებლობანი უფრო ნათლად მელაგნდება ისეთ აქტიორულ მასალასთან, რომელიც მას „მოაქვებია ხელში“, მის შემოქმედებით ნება-სურვილს დაექვემდებარება, და არა ისეთთან, რომელსაც, ათას მიზეზთა გამო, თავად რეჟისორი უნდა მოერგოს. ერთი პუნქია (გ. შატბერაშვილის „ძველი სახლი“, პრემიერული) სამჯერ გაანაწილა ლევანმა მარჯანიშვილის თეატრში. ძველი თათბის რამდენიმე სახელოვანმა მსახიობმა გადაბეჭდილი როლები უკან დაებრუნეს ლევანს — მოუვლელებით ვართ, უფრო ახალგაზრდებით დასაქმეთო, თანაც, მკითხველად უსაკვდურეს — მეტი ტაქტი უნდა გქონდეს, ასე მეიერ სამუშაოსათვის არ უნდა მოვაკვირდეთ. გულწრფელად შეუწებული და გულნაკებნი ლევანი დიდხანს დარდობდა: მე ვევატარებ რეჟისორად თუ სიტყვიერი მასალა ცოცხალიყო... მეჩუ, როცა ამ მსახიობებს ნახეს, თუ რა სათამაშო სასიათები გაუშვეს ხელიდან, კვლავ ლევანს უსაკვდურეს — შე გაცო, გეთვატ ასეთი სამუშაო თუ იყოო და ლევანმა ეს საყვედური უღრტკინივლად მიიღო, რადგან ის თავის სათავაზრებელი ადამიანებისაგან „დიამსახარი“... თელავში ცხინვალსა და ბათუმში, სადაც ლევანი ხელმძღვანელობდა თეატრს, ასეთი პრეცედენტები გამორიგებელი იყო, ამიტომ მეტად გამორჩა მისი „რეჟისორული აზრისა და ხელის სითამამე“. რომელიც არც თბილისში აკლდა ლ. შატბერაშვილის სპექტაკლებს.

1957 წელს ლ. შატბერაშვილს ხელოვნების დამსახურებელი მოღვაწის წოდება მიენიჭა. 1961 წელს კი, მიულოდნელად და ბეგრისათვის გასაოცრად, სრულიად ჩამოშორდა თეატრს — პედაგოგის მძიმე მოვალეობა იკისრა. დღესაც თბილისის მხატვრული თეათრომედების კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში რეჟისორისა და მსახიობის ოსტატობის კურსს ხელმძღვანელობს. თითქოს მართლაც საკვირველი ამბავი მოხდა — როცა, როგორც რეჟისორი, ყოველმხრივ სამწიფის ასაკში შევიდა, როცა „აზრისა და ხელის სითამამე“ მისი თითქმის ყველა ნამუშევრის მოუცილებელი ეპითეტი გახდა, როცა ფრთიანი მერნით გავიდა დიდ შარაზე, სწორედ მაშინ მოწყდა ცხენას...

ხედვა ხოლმე, რა თქმა უნდა, უმიზეზოდ არა... ხშირად მინახავს ლევანის რეპეტიციები სასწავლებელში. დაფიქრებულად და გულში მიოქვამს: რა ბედნიერი იქნებოდა კაცობრიობა, რომ ქვეყნად ყოველი ადამიანი ასე გულთით, მთელი არსებით, სრული წვით ეციდებოდნენ მასე მინდობილ საქმეს-მეთქი... მაგრამ თეატრი სხვაა. დიდად განსხვავდება სასწავლო პროცესი სპექტაკლის შექმნის პროცესისაგან... თეატრი ვერ ითმენს გაზარდულ პიროვნებას, დაქანცულ ნერვებს, გულდასრულებულ მასხარებს... თეატრი ვერ გატარებულმა მღვდელად წლებში, პირად ცხოვრებაში გადატანილმა ქარიშხლებმა საგრძნობი კვალი დააჭვდეს ლევანის გულსა და სხეულს... და ლევანი

განერიდა ძვირფას ტვირთს, ამ ტვირთის დიდი სიყვარულის კარნახით.

ეს გმირობაა, რომელიც ყველა თეატრალს როდი დალუს!

ახლა მის მიერ ფრთაშესხმული გოგო-ბიჭები მისებრ სრული წვითა და პატიოსნებით იღვწიან მესხეთის, გორის, ზუგდიდის და სხვა სახელმწიფო თეატრებში.

რეჟისორი ლ. შატბერაშვილი ყოველთვის მიისწრაფოდა, რათა სცენაზე დამკვიდრებია ადამიანის მთრთოლვარე გულის მართალი ცხოვრება, მართალი პოეზია. იგი ყოველთვის მტრობდა ნატურალისტურ სიზარითლეს, ზოზეინა რეალიზმს, თეატრის მკვლელობად მიიჩნევდა სცენაზე „საოჯახო ტონის“ დამკვიდრებას და ახლაც, მისგან შექმნილ ყოველ ეტიუდში, ყოველ საყურსო საქმეტაკლში იგრძნობა, რომ ის კვლავაც ერთგულია ჯანსაღი ტრადიციებისა, რეალისტური რეჟისურის პრინციპებისა, რომელთა სათავეები ძველი, კლასიკური ქართული თეატრის წიაღიდან მოდის.

ჩვეულებრივია, როდესაც გენიოსად აღიარებულ რეჟისორს რიგითი რეჟისორები ეტმასწებიან, ადიდებენ და მერე თავს მის მოწაფეებად აცხადებენ. მაგრამ იმავითა რიგითი, საცხები ჩვეულებრივი რეჟისორი, რომლებსაც სხვა რეჟისორები აქებდნენ. ამ მხრივ ლევან შატბერაშვილი ბედნიერი გამოჩაქლისია — მის საქმეტაკლებზე, მის რეჟისორულ ხელოვნებაზე რუსეთსა და ჩვენში სპეციალური წერილები გამოქვეყნეს და საყურადღებო მოსაზრებანი გამოთქვეს ისეთმა ცნობილმა რეჟისორებმა და თეატრალურმა მოღვაწეებმა, როგორებიც არიან ნ. გორჩაკოვი, პროფ. თ. პიოგოვა, გ. სეჩინი, გ. გრიგორიივი; ვ. ანჯაფარიძე, თ. ბრიტაგევა, ა. ჩხატრიაშვილი, ე. ტაბლაშვილი და სხვები.

უკვე ორმოცე წელი უმსრულდა, რაც ლ. შატბერაშვილმა თავის ბედი ქართულ თეატრს დაუკავშირა. გუსურვით თავისი საყვარელი საქმის სამსახურში კვლავ მრავალი ათეული წელი გაეტარებინოს.

პირველი თეატრალური სეზონი ბათუმში შალვა დადიანის ხელმძღვანელობით 1913-1914 წლებში. მარცხნიდან მარჯვნივ პირველი რიგში (სხედან): ელო ანდრონიკაშვილი, ზაქარია ურუშაძე, ლია დოლობერიძე, ალექსი ალექსაძე. მეორე რიგში (სხედან): ოლა ლევაია, ეფუია მესხი, შალვა დადიანი, დათიკო მგალოლიშვილი, სუზანა ბუეანიშვილი, ანა რონელი, პლატონ კორიშვილი. მესამე რიგში (დგანან): ვიქტორ ქავთარაძე, სანდრო ყალაბეგიშვილი, მიხეილ გელოვანი, ალოდიშვილი, კოლა ჩაგუნავა, ვლადიმერ სარელი, ნიკოლოზ მამულაიშვილი.

3. ალუბური



ჩვეულებრივია  
განერიდა ძვირფას ტვირთს  
ამ ტვირთის დიდი სიყვარულის  
კარნახით.

# ✓ კველი ქვეყნის ახალი ხელოვნება

ომარ ქაჯაია — *ქქქქქქქქ*

რომელიმე ხალხის გასაცნობად მარტო მისი ჭკვიანის ხილვა როდი კმარა, არამედ აუცილებლად უნდა გზიარო მის კულტურას, შეიგრძნო იმ შემოქმედებითი ცეცხლის სითბო, რომელიც იქაურ მცხოვრებთა გულში ღვივის, გაიგო მათი გულისწადები, მიზანსწრაფვა. უნდა იცხოვრო ამ ხალხთან და შეისწავლო მათი საქმიანობა. ხალხის ცხოვრებაში ჩასაწვდომად კიდევ არის ერთი საშუალება — ხელოვნება, კერძოდ კი მხატვრობა.

როცა ჩემს თანამოსაუბრე ეგვიპტელს ვკითხვ, როგორ შემოიძლია უცებ გავიგო თქვენი ხალხის გულისწადილი, მისი ბრძოლა თავისუფლებისა და უკეთესი მომავლისთვის-მეთქი, მიპასუხა:

— გაიარე, მეგობარო, კაიროს უნივერსიტეტისაკენ. მის წინ, ბაღში, დგას დიდებული მონუმენტი — „ეგვიპტე ილიკებისა“, დააკვირიდი მას და ალბათ ბევრ რამეს მიხედვით.

მართალიც იყო. ამაყად აღმართულ მონუმენტს „ეგვიპტე ილიკებისა“ ასუანის წითელი გრანიტის ვევერთელა ლოდისაგან გამო-

კვეთილი სფინქსი და ეროვნულ კაბა მალაიეში გამოწყობილი ეგვიპტელი ქალის ფიგურა წარმოადგენს. ქალი ცალი ხელით სფინქსის თავს დაყრდნობია, მეორეთი კი სახიდან ამაყად იზორებს მანდილს, რომელიც საუკუნეების მანძილზე ებურა. სფინქსი — ეგვიპტის უძველესი სიმბოლო — ძლიერ წინა თათებს დაყრდნობია, ცდილობს წელში გაიმართოს, თავი ამაყად აღუმართავს. ეგვიპტელი გლეხის ქალი გამოსახავს ქვეყნის შემოქმედებით ძალას, ეგვიპტის თავისუფალ მომავალს. ის თვით ეგვიპტის განსახიერებაა (არაბულად ეგვიპტეს მისრი ეწოდება და ეს სიტყვა მდგრძობითი სქესისაა) და, მეორე მხრივ, აუწყებს მნახველს, რომ ეგვიპტელი ქალი თავისუფლდება შუასაუკუნეობრივი ადამ-წესებისაგან. იგი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი ხდება, ებმება ახალი ცხოვრების ფერხულში.

დიდხანს ვუყურებდი ამ საოცარ ქმნილებას და არ მჯეროდა, რომ ეს გიგანტი ადამიანის ხელემა გამოკვეთეს. მან მაგრძნობინა, რომ ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის ეგვიპტელი ხალხის სანუკვარი ოცნებაა.

ამ შესანიშნავი ქმნილების ავტორი დიდი მოქანდაკე მამ-

მამუდ ნაგი

ეგვიპტის აღორძინება (ხელო.)



მულ მუხთარია. იგი 1891 წელს დაიბადა გალატაკიგულ ვევიტურ სოფელ თუნაბარაში, რომელიც სამრეწველო ქალაქ მახალათ ალ-ქუბრას მახლობლად მდებარეობს. მ. მუხთარის ცხოვრებამ გაპარტახებულ სოფელში განაპირობა მისი დიდი სიყვარული და პატივისცემა მშრომელი ხალხისადმი, 1902 წელს მ. მუხთარი კაიროში გადადის საცხოვრებლად და ექვსი წლის შემდეგ შედის კაიროს კაზმული (სახვითი ხელოვნების კოლეჯში), კოლეჯის დამთავრების შემდეგ, 1914 წელს მას, როგორც ბრწყინვალე ნიჭის პატრონს, სახელმწიფოს ხარჯზე აგზავნიან პარიზში, სადაც ის ბონაპარტის ე. წ. კაზმული (სახვითი) ხელოვნების სკოლაში (სამხატვრო აკადემიაში) ცნობილი ფრანგი მოქანდაკის კუტანის ხელმძღვანელობით ეუფლება უსულო ქვის გაყოცხლების ჯადოსნურ ხელოვნებას. აქვე იგი გაიქნო როდენსა და მის შემოქმედებას.

პირველმა მსოფლიო ომმა ახალგაზრდა მოქანდაკე დიდი ხნით მოწყვიტა სამშობლოს, მაგრამ ხელოვანი მუდამ მშობლიური ვევიტის ცხოვრებასა და ისტორიასთან იყო დაკავშირებული. პარიზში იგი მშობლიურ მხარეში დაბრუნების იმედით ცხოვრობდა, როდესაც ვევიტებში ფართოდ გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მ. მუხთარი მხურვალედ გამოეხმაურა მას, ახლოს გაეცნო ამ მოძრაობის ლიდერებს, რომლებიც პარიზში ჩამოდიოდნენ ვერსალის კონფერენციაზე და მოითხოვდნენ ვევიტის დამოუკიდებლობას. სწორედ ამ პერიოდში (1919 წელს) დაიჭადა სკულპტურული კომპოზიციის „ვევიტე იღვებებს“ შექმნის იდეა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ვევიტებში 1912-1921 წლების რევოლუცია აღმავლობის გზით მიდიოდა, ვევიტელი ხალხი იარაღით ხელში იბრძოდა ინგლისელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ. მართალია, ეს რევოლუცია კრაზით დამთავრდა, მაგრამ მ. მუხთარს თავის ხალხთან ერთად სწამდა, რომ ქვეყანა მოიპოვებდა თავისუფლებას. თავის ნაწარმოებებში, რომლებიც ვევიტის ისტორიის შეახვედრს პერიოდში შეიქმნა, მ. მუხთარი ქადაგებდა დიდ ოპტიმიზმს, ამტკიცებდა, რომ უძველესი და დიდად ნიჭიერი ვევიტელი ხალხი მიაღწევდა სრულ თავისუფლებას, შექმნიდა მედნიერ მომავალს.

სკულპტურის პროექტმა, რომელიც პარიზის მხატვრულ გამოფენაზე გაიტანეს 1920 წელს, ვეროპის ხელოვნებათმცოდნეთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. იმავე წელს მ. მუხთარი კაიროში დაბრუნდა, სადაც ხალხი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. 1928 წელს, „ვევიტე იღვებებს“ დაიდაგ იქ, სადაც დღესაც ასე ამაყად და მედიდურად გამოიყურება.

თავის შემოქმედებაში მ. მუხთარი ხაზს უსვამდა მხატვრის დანიერხულობას — ხელოვნების ერთი გადმოსცეს პატრიოტული გრძობები, ცხოვრებაში მომხდარი დიდი და რთული პროცესები. იგი თავის შემოქმედებაში უხვად იყენებდა ძველი ვევიტური ხელოვნების მოტივებს. უძველესი ეროვნული პლასტიკა იზიდავდა მას ფორმათა სხვადასხვაობით, ლაკონიურობით, მონუმენტურობით. ძველი კლასიკური ფორმებითაა შექმნილი ქანდაკებანი „იზიდა“, „წყალზე“, „სანივირი“, „ნიმინი“<sup>1</sup>. მაგრამ ძველი ნიმუშები მას მექანიკურად არ გადმოუცია, მუხთარი მათ ახალ სულს შთაბერავდა ხოლმე, მის მიერ შექმნილი სახეები თანამედროვე, მართალი და დამაჯერებელია.



მამულე მუხთარი ვევიტე იღვებებს (გრატი)


დიდხანს ვერ ვმორღებოდი მ. მუხთარის ნამუშევრებს აღეკანადრის კაზმული ხელოვნების მუზეუმში. გული სიწინურით მეცხოვდა, როდესაც ვევიტელი ქალის მომეცე ფიგურას, რომელსაც სახეზე დიდი სასოწარკვეთა აღმეჩნებოდა და სვედისაგან მიძალღებულს თავი ღრმად დახარა მუხლებზე („მუხთარება“). საოღენი მუხთარება, რაოდენი სვედა ჩანდა მის ლამაზ სახეზე. სულ სხვა სამყაროში ვებდებოდი, როდესაც ქანდაკება „მეყმის“ ვევიტელი. ვევიტე ტანსაცმელში გამოწყობილი მუყენისის მაღალი და ვაჯაკური ფიგურა, რომელსაც მხრებზე უშველებელი კომბალი გადაუვია, თავი ამაყად აღუმართავს, რადაც დიდი ძალი მორღავებებს აგრძობიერებს ადამიანს. სიყოფის სიყვარულის მთელი სიმეონია მცირე ზომის ქანდაკებებში: „რბუმის ქალი ნილოსის წყლის მოსატანად“ და „მდინარის ნაპირზე“ (მარმარილო). ადამიანებისადმი სიყვარულს ეძღვებდა ქანდაკება „ილია“.

მ. მუხთარი ჭეშმარიტი მხატვარი-ჰუმანიტი იყო. მისმა საუკეთესო ნაწარმოებებმა დიდი გავლენა იქონიეს ვევიტური ქანდაკების განვითარებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ მ. მუხთარმა მეოცე საუკუნის გაორჯავზე პირველმა აღადგინა საუკუნეთა მანძილზე შეწყვეტილი ვევიტური ქანდაკების განვითარება. ამასთან, თითქმის 25 წლის მანძილზე იგი ერთადერთი მოქანდაკე იყო ვევიტებში, რომელმაც არა თუ ახალი თემებისა და ქანობით გაამდიდრა ვევიტის სახვითი ხელოვნება, არამედ მრავალი შესანიშნავი ნაწარმოებიც შექმნა მას. ეს ნაწარმოებები ეპოქის საერთო მხატვრული კულტურის სიმაღლეზე დგანან; რეალიზმის პრინციპებს ამკვიდრებენ ვევიტურ ხელოვნებაში და ნაყოფიერ ნიადაგს ამზადებენ მისი შედგომი წინსვლისა და განვი-

1. ვივინა ქარს, რომელიც 50 დღის განმავლობაში უფერავს ვევიტეში არაბულად „ხინინი“ ეწოდება. თვითონ სიტყვა კი ორმოცდაათს ნიშნავს.

ლტნი ფოტო შესწავლილია  
 ლტნი ჯეკუ ზე შესწავლილია





მასან სულეიმანი  
კალოზა (ხეთი).

თარებისათვის. სწორედ ამიტომ მ. მუხთარი გვევლინება ახალი ეგვიპტური რეალისტური ქანდაკების შემქმნელ დიდ ისტატად. მ. მუხთარის შემოქმედების თემატიკა ძირითადად ეროვნული სინამდვილით იკავებოდა.

მ. მუხთარის ტრადიციებს აგრძელებენ თანამედროვე ეგვიპტის მოქანდაკენი. მათ მრავალი საინტერესო ნაწარმოები წარმოადგინეს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების მხატვართა გამოფენაზე (ბინალი); რომელიც ორჯერ ჩატარდა ქალაქ ალექსანდრიაში 1961-1962, და 1963-1964 წლებში. ამ სტრუქტურების ავტორს საშუალება ჰქონდა ორივე გამოფენის მუშაობის მთელ პერიოდში დაეთვალიერებინა ჩასპონატები და, შეძლებისდაგვარად, შეესწავლა კიდევ ისინი.

პირველ გამოფენაზე წარმოდგენილი მხატვრების შემოქმედებაში აშკარად იგრძნობოდა რეალისტური ტენდენცია. მათ ნაწარმოებებში ჩანდა რეალიზმის ნიადაგზე დაფუძნებული ოსტატობა, მეტად ემოციური და ღრმა იდეური შინაარსის შემცველი მხატვრული წარმოსახვა. ამ მხრივ აღსანიშნავია სამირ რაღიმ იბრაჰიმის რელიეფი „სოციალისტური სულისკვეთება“ (თაბაშირი), რომელიც ყურადღებას იქცევდა მხრულების ოსტატობით, ღრმა შინაარსითა და თემის აქტუალობით. ავტორს დამაჯერებელი მხატვრული ხერხებით აქვს გადაწყვეტილი ის უდავო დებულება, რომ ახალი ცხოვრების შექმნა მხოლოდ მუშებისა და გლეხების ერთიანი შრომითა და ბრძოლით არის შესაძლებელი. რელიეფი სადა და მიმზიდველია, სწორად ეხმაურება იმ დიდ სოციალურ ძვრებს, რასაც დღეს აღდგოლი აქვს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ქვეყნის სოციალისტურ ორიენტაციაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სოციალ-კომუნისტური გარდაქმნებით გამოწვეულ დიდ სიხარულს დამაჯერებლად და მაღალმხატვრულად გადმოსცემს მეორე ეგვიპტელი მოქანდაკის პასან ჰემმათის ქანდაკება „ფელახის ოჯახი“ (თაბაშირი), რომელმაც 1961 წელს რომის საერთაშორისო გამოფენაზე დიპლომი მიიღო. ეს პირველი შემთხვევაა ეგვიპტის სახვითი ხელოვნების ისტორიაში, როდესაც მამაკაცისა და ქალის პორტრეტები ერთადაა მოცემული. საქმე იმაშია, რომ მუსლიმანური რე-

ლიგია ქალის გამოჩენასაც კი კრძალავს მამაკაცთა შორის. ქალებს უფლება არა აქვთ მჩრეთში შესვლისა და მამაკაცთან ლაპარაკისა. ეს ქანდაკება საინტერესოა იმ მხრივაც, რომ იგი ეხმაურება რთული პრობლემის გადაჭრას ეგვიპტის სინამდვილეში, როგორცაა შობადობის ძალზე სწრაფი ზრდის შემქრება. ეგვიპტელის ოჯახი მრავალრიცხოვანია, როგორც წესი, ოჯახში ხუთზე მეტი ბავშვია. ამ ქანდაკებაში კი დედას ერთი ბავშვი უჭირავს ხელო, ხოლო მეორეს მამის მზრუნველი ხელი ეალერსება თავზე. ქანდაკება სიხარულის გრძნობას აღმრავს მხატვრული და ხაზს უსვამს იმა-საც, რომ ოჯახური ბედნიერების საწინდარი მხოლოდ შრომაა.

რეალისტურად არის შესრულებული ახმედ ოსმანის დიდი ქანდაკება — არაბული პოეზიის მამამთავრის ახმედ შავეის ძეგლი (მარმარილო). სკულპტურულ შტრიხთა სიძუნწე, ხასიათის გახსნის უნატიფესი ხერხები, ღრმა გონიერულობა და ხალხის მომავალზე ფიქრით გამოწვეული ტკბილი სევდა ახასიათებს ამ ძლიერ და მიმზიდველ ქანდაკებას. ახმედ ოსმანი ამავე დროს ნიჭიერი ფერმწერიცაა. მისი ტილოები დიდი სიყვარულით გადმოსცემენ ეგვიპტისადმი, უბრალო მწრომელი ადამიანებისადმი სიყვარულსა და პატივისცემას („მეთვეზე“, „მეთვეზეთა ბაზარი ალენკანდრიაში“ და სხვ.). მრავალი საინტერესო და მხატვრულად სრულყოფილი ტილო მიუძღვნა ახმედ ოსმანმა ამ თემატიკას. ა. ოსმანი ასევე ცნობილი პედაგოგია. იგი ამჟამად ალექსანდრიის კახშილი ხელოვნების კოლეჯის დეკანი, კარგად იცნობს რუსულ კლასიკურ მხატვრობას და საბჭოთა სახვითი ხელოვნების გამოჩენილ წარმომადგენელთა ნამუშევრებსაც.

გამოფენებზე მრავლად იყო წარმოდგენილი სოციალურ თემებზე შექმნილი ნამუშევრები, და როგორც წესი, ასეთ ნაწარმოებთა ავტორები იყვნენ ისინი, ვინც გამოვლენდნენ შემოქმედებით სარბიელზე ეგვიპტის 1952 წლის რევოლუციის შემდეგ. და მთელი თავიანთი საქმიანობა ანტიკონერალისტური და ანტიკონერალური რევოლუციის გაღრმავების საქმეს დაუკავშირეს.

ყურადღებას იპყრობდა სახეითი ხელოვნების ის ნიმუშები, რომლებიც დამაჯერებლად და მხატვრულად საინტერესო ფორმებით გადმოცემდნენ უბრალო ხალხის ცხოვრებას, მათ მძიმე მდგომარეობას და, ამასთან ერთად, ხელოვრ სიმტიკიცეს, რწმენას უკეთესი მომავლისადმი. ამ შემოქმედთა ნაშუვერებში იგრძნობოდა რეალიზმის ენით ამტკვევლებს ცდა. მათი შემოქმედებითი უნარი ადამიანის ცხოვრებას, ბუნების მხატვრული განზოგადებისა და მხატვრული სიმაართლის წარმოსახვისაკენაა მიმართული. იგრძნობოდა, რომ ეს ხელოვანი თემისათვის წინასწარ კი არ ადგენდნენ ფერებს, ტონებსა და გაუნებს, არამედ, პირიქით, მათ თუმა ეკრახობდა მხატვრული ხერხებისა და ტექნიკის ამა თუ იმ ფორმასა და მეთოდს. მათთვის ამოსაკულ წერტილს, შემოქმედებითი ძიების წყაროს წარმოადგენს ცხოვრება, სილამდილე, პირველადი მასალის შექვევლა, ღრმა იდეური და მხატვრული აღქმა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ესა თუ ის შემოქმედის სინამდვილის ტყვეობაში რჩება და თემატიკის ემპირიული მონაცემებით იფარვლება. ეს კი მათ ნაწარმოებებს უკარავს კოლორიტს, ჩრდილავს მხატვრულ ფორმას.

აღლესანდრის კაშხული ხელოვნების კოლექჯის მასწავლებლის მარიამ აბდელ ყლიძის გრავიურას ტყავზე „საზამთოს გამყიდველი“ დიხადლი მნახველდ ჰყავდა. შავი ტყავის ფონზე ვერცხლისფერი საღებავით გამოსახულია ხუბიელი ჭაბუკი, რომელიც საზამთროებით დატვირთულ ურეში გამბულ სახედარს მიუძღვის. სწორი შტრახებით მოხაშულ ჭაბუკის სახეზე სევადა იკითხება, იგრძნობა, იგი იმის გამთავლით არის დაკავებული, თუ რამდენ პიასტრს მოიგებს საზამთროების გაყიდვით, რომ საქონლის პატრონსაც გაუსწორდეს და ცოტა რამ თვითონაც დარჩეს. ეგვიპტეში ასეთი წესია — თუკი წერილად მოვაჭრე დღის განმავლობაში ვერ გაყიდის საქონელს, მეორე დღეს მას არავინ მისცემს რაიმეს გასაყიდად და მშვიერი დარჩება. აი, ეს ტრავედა იკითხება ხუბიელი ჭაბუკის სახეზე და თითქოს სახედარიც გრძნობს მისი პატრონის გულისტკივილს — თავი ჩაუჭინდრია, მილასალახებს. ამასთან ერთად ჭაბუკს თითქოს შურჩენია იმედის ნაწერწკალი. ფართოდ გახელილი თვალები და მიხანსწრაფული მზერა ამაზე მიუთითებს.

საინტერესოა ადელ ისა მანანურის ხეზე კვეთილობა „უკანასკნელი გამოთხოვება“. მშობლებს ხელლებზე უსენიით მომამკვდავი შვილი. მათი სახე უსაუნჯრო მწუხარებას მოუცავს. მამა გლოვასა და ზარს დაუშინებია, დედა კი ვერ გაუტუნბია ამ უბედურებას, გარინდებულა და იმედით უყურებს მომავალს.

ფართო ყურადღების ღირსია ამგამად ეგვიპტეში პოპულარული მოქანდაკე გამალ ას-საგინის, რომელიც ძირითადად შილიენმზე, ბრინჯაოსა და ხეზე მუშაობს. ას-საგინს განსაკუთრებით უყვარს ჭედური რელიეფი, რომელიც, როგორც ცნობილია, მოითხოვს ოსტატის დიდ ხელმარჯვეობას, სიხუსტესა და გულმოდგინებას. მის ნაწარმოებებში გამოირჩევა რელიეფური კომპოზიცია „ნილოსი“, რომელიც ეს მდინარე — ეგვიპტის სასიცოცხლო არტერია, გამოსახულია მამაკაცის უმველებელი ფიგურით. ნილოსს ასე გამოსახვდნენ ჯერ კიდევ ელინიზმის დროიდან. ას-საგინის მრავალი ნაწარმოები ეგვიპტელი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის თემებს მიეძღვნა. რელიეფურ „ბორკილებში“ ეგვიპტე გამოსახულია ფელახის სახით, რომელსაც მონობა ტანჯავს. რელიეფურ „გველში“ კი ეგვიპტელი ხალხის მტრებია გამოსახული. „ომი და მშვიდობა დედამიწასა და ცას შორის“ მიმართულია ინგლისელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ. აქ აღბეჭდილია მინდვრად მიმუშავე ფელახები, ზღვაში მყოფ მეთევჯეთა ნაგები და ამ შრომით იღლიას არღვევს ციდან მოპიკირე თვითმფ-


რინავი, რომელიც დედამიწაზე ყუმბარებს ყრის. დიდი პოპულარობით სარგებლობს ას-საგინის „თავისუფლება“, რომელიც სილიენმზეა შესრულებული. მასზე გამოსახულია ადამიანი გატირვებით გლჯეს რკინის ხლართებს ფანჯარაზე და ანთავისუფლებს მტრებს.

გამალ ას-საგინი არა მარტო მოქანდაკეა, არამედ სახეითი ხელოვნების თეორიის კარგი საპეილისტიც. მისი დებულება — „ხელოვნება ყოლდებულია გადმოსცეს ხალხის გრძნობები და ყურთ იღოს პატივისანი და გულია ადამიანების გულისცემა. მხოლოდ ამ შეთხვევაში იქცევა იკვირვებელი მხატვრების შემოქმედება ნამდვილ ეროვნულ შემოქმედებად. მაშინ ადელი არ ექნება ყალბ ნივტატობას, არც კლასიკურობის გულუბრყვილო გადამღერებას“ — ნათლად განმარტავს მის შეხედულებას ხელოვნებაზე.

ახალ ცხოვრებას საქმიანად ეხმარება ეგვიპტის ფერწერა. არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკის დღევანდელი პერიოდის მხატვართა დიდი რაოდენობა რიდი მიდის წყნარი და უმფთველი შემოქმედების გზით. მათ ნაშუვერებში ზოგჯერ იგრძნობა ნახი და წყნარი მელოდიური გამებით შედმტეტი გატაკება. მაგრამ უფრო მეტად მხატვრები ისწარფვიან მკვეთრი, ნაირმეტყველი, მალეჯარე და ინტენსიური ტონალობისაკენ... ძარღვიანი, მალესუფალი, ლამაზი, სისხლასეც, მდიდარი და ემოციური, მახვილი და ლაკონიური მონაცემებითაა შექმნილი ამ პერიოდის ნაწა-

მამულ მუხთარი

წყალზე (მარმარილო).



რმოცობა უმრავლესობა, რომელიც განსაკუთრებულ ღირსებას მეტად ნათელი და შთამბეჭდავი პლასტიკური სახებით ეს წარმოადგენს. ამ მხრივოდ არის შერწყმული ფერწერის მხატვრულ-ემოციური ქვერადობა და გამომსახველობითი უნარი.

ამ მხრივ საინტერესოა მუშავედ ნაკის მიერ შესრულებული „გვიგობის აღორძინება“, რომელიც არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკის ერთგული სურათის (პარლამენტის) დიდ დიბაზშია გამოკიდული. მასში კომპოზიციის სიძლიერე, მხატვრის დიდი ოსტატობა იგრძნობა. სურათში მ. ნაკის გვევლინება ფერთა ნამდვილი მესაიდუმლო. იგი ბრწყინვალედ ფლობს სინამდვილის ფერწერით აღქმის, შემოქმედებითი ალტკინებისა და განსოვადების პოეტური წარმოსახვის რეალისტურ ოსტატობას. ამ სურათშიც, ისე როგორც ყოველთვის, ლამაზად და მოხდენილი გლუვის ქალი განასახიერებს მთელს გვიგობაც, იგი ახარკამეწმინდულ ურყევე დგას, თავსუ მზის სივთა კინა ზარცა. კამეწს პატარა, შიშველი ბიჭი მიერეკება, რომელიც გვიგობის მომავალს განასახიერებს. მთელი ხალხი გამოსულა ამ ქალის მისასახიერებლად, ყველას სახეზე ღიბილი და ბედნიერება აღბეჭდილი, ლამაზი და ახალგაზრდა დედა თავის ჩივლ ბავშვს აწვდის ქალს, რათა მან მსხვერპლად მიიღოს იგი, თუკი ეს გვიგობის ბედნიერებას დასჭერდებოდა. ძალზე შთამბეჭდავია ეს დიდი ტილო.

უეყურებულ მას და მომადინდა ჩემი მოგზაურობის ერთი ეპიზოდი. ქ. დამიეტის მიდამოებში სოფელ რუდს ბამბის ულანატეკეში საუბარი მქონდა ფელაგებთან. ერთმა მოხუცმა მიიხარა: როცა იყი, რომ შენს შრომას სხვისთვისაც მოაქვს ბედნიერება, ეს ძალას გმატებს და სინდელივსაც ადვილად გადალახავი. ალბათ მხატვრის უბრალო ექვიპტულთა ანუტი შერათება ასაზრდოებდა, როდესაც ქვინდა ამ ნაწარმოებს.

შთამბეჭდავია ჰასან სულიეიმანის ნამუშევარი „კალოობა“ (ზეთი). ეს შრომის კომნია — ფელასს რომ უძღვრის ოდს. თავარა მზის ქვეშ ფელასმა პურს ღლეწას კალოურე, ძველისგული კვერი, ვიწრო წყრ და მის ირგვლივ თავარე-დამხვევი ტრილი როდი აწინებს ფელასს. როცა უკვირდები ქ. სულიეიმანის ამ ქვინილებას, მისი მასშტაბობობა აგრძნობინებს, რომ ფელასი გავა ამ პატარა წრიდან, დიაპირობს გარემურტყმულ ვერცხლ და თვალწვივნიელ გალებს. უეყურებულ ამ სურათს და მაგინდობდა ჩემი ის საამაო გიგო გაბაშვილის „კალოობა“... მართლია, გ. გაბაშვილის სურათი უფრო მეტყველია, უფრო ნაზი, მიმიხედველი და დამაჯერებელი, მაგრამ ორთავს ერთი რომ აქვთ საერთო — სიყვარული უბრალო ადამიანებისადმი, პატივისცემა და რწმენა მათი დიდ მომავლისა. სულიეიმანის ნაწარმოებში ქვინილია 1962 წელს და შესაძლებელია ქ. სულიეიმანს ნახაზიც კი ჰქონდეს გ. გაბაშვილის ნამუშევარი.

რეალისტურმა მოტივებმა ფართო გასაქანი ჰპოვეს გვიგობის ახალგაზრდა ხელოვანთა ნაწარმოებებშიც. ეს მიმართულება მკაფიოდ ჩანდა შემადგინებულ გამოფენებზე გამობჩნილ ნამუშევრებში. ჰამილ მუსტაფა მუჰამედმა, რომელიც ალექსანდრიის კლუაქში კახმული ხელოვანების ფერწერის განყოფილების დირექტორია, გამოფენზე წარმოდგინა ტილო „ბიძის თინე“ (ზეთი), რომელიც დიდი დამაჯერებლობით გადმოსცემს ქალიშვილის სულიერ ტანჯვას. ბიძის თინეში, სადაც მის ქუშობას, ბოშიად ცხვება პური. მას კი მიმშლილი უტლი სძვრება. ეს სურათი დიდი პროფიტია იმ მასწავლებლის რეაქციის წინააღმდეგ, რომელიც დღესაც არსებობს გვიგობებში — თუკი ვისმეს მიერეოდენი შმელება მინც გაპინია, აუცილებლად უნდა ჰყავდეს ხელზე მოსამახურე გოგო ამ ბიჭი. ამ ტრადიციის არ-

სი, ცხადია, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და სწორედ ამას ებრძვის ქ. მ. მუჰამედი თავისი ფერებით. ამავე თემაზეა შექმნილი სამირ აბდელ რუსის ტილო „კანა კარი“ (ზეთი). მოსასახურებობის განკუთვნილი უკან კარის ვიწრო კიბებზე ადის მოხალე ქალი, რომლის სახეზე სვედა აღბეჭდილი. ივევ, იმავე კიბებზე, მოხალე ტვირთით ძლივს ადის წელში მონანი მსახური... მოხალე ქალის ასეგას საბრალო სახის მქონე კიდევ ერთი მსახური ელოდება.

ალექსანდრიის სახებით ხელოვანების მუშევრის დარაზებში გამოხდენილი იყო ისეთი სურათებიც, რომლებიც გვიგობებში მიმდინარე სოციალ-ეკონომიურ ძვრებს ეხმარებოდა. ჯემალ ნაკისის „ნაციონალიზაციით გამოწვეული სინარული“ (ზეთი), მალიქ აბუ ან-ნარის „აღორძინება“ (ზეთი), აბდელ ფათას ჰეიქალმა, „მალღივი კაშხალი“ (ზეთი), ქემალ ასარაჯმის „ახალგაზრდა ქალი“ (ზეთი), ევა ქარაჯიას „ხალხური სიმღერა“ (ზეთი), რამადან აბდელ რახმანის „მაგად, იბრაჰიმი და მათი ცხენი“ და სხვები გვიჩვენებს თანამედროვე გვიგობის მაკისებებს.

ქემალ ნაკისის ნამუშევარი დამაჯერებელი, სათანადო მხატვრული ხერხებით გადმოსცემს იმ სახალხო სინარულს, რაც გვიგობლებთან მათი ერთგული სიმღერის დაბრუნების მიზნით გატარებულა ღონისძიებებმა გამოიწვიოს. თავისებურე, სტილიზებული მანერით არის შესრულებული ორი სახეობისმართი ქალის სურათი. ავტორს ამ ნამუშევარში ხაზს უსვამს იმას, რომ სუეცის არხის ნაციონალიზაცია მარტო არის დაბრუნება კი არ იყო გვიგობლებთანათვის, არამედ ერთგული დღეობის შექმნის წყარო, პური და ხორცი, ბამბა და ტანსაცმელი, სინარული და ბედნიერება. აი, რა მოტივებმა ნაციონალიზაციამ, — აღნიშნავს ავტორი. მალიქ აბუ ან-ნარის გვიგობის აღორძინებაზე აღნიშნავს მომავალი თაობის კარგ აღზრდას. დიდსა ორი გოგონა მიყავს სკოლაში და განას ეს აღორძინებზე არ მიუთითებს, მაშინ როდესაც სულ რაღაც თხუთმეტიოდ წლის წინათ უბრალო ადამიანთა შვილებისათვის სკოლაში სურული მხოლოდ იყენებოდა იყო.

ამვე თემას მიეძღვნა ქემალ ას-სარაჯის ტილო „ახალგაზრდა ქალი“. გვიგობელი ქალიშვილი — აზრბანი თვალეობით, სერიოზული და ლამაზი სახით, ხელში წვივებით — გვიგობის მომავლის სიმბოლოა, — გვეუბნება ავტორი თავის ნაწარმოებში. საერთო სინარულსა და ახალი ცხოვრების ამსახველია ევა ქარაჯიასა და რამადან აბდელ რახმანის ტილოები. ვის ეძღვრება, თუ არა მხიარულსა და სჯებუნდინებს? და ევა ქარაჯიაც თავის ნამუშევარში ამტკიცებს უბრალო სოფელი ადამიანებს, რ. ა. რახმანის ბავშვების მხიარულების აღწერით ცდილობს გადმოსცეს მთელი გვიგობელი ხალხის სინარული, გამოწვეული ახალი, დამოუკიდებელი ცხოვრებით.

დიდ თემას მიუძღვნა თავისი ნამუშევარი ა. „მალღივი კაშხალი“ აბდელ ფათას ჰეიქალმა. ასუანის მალღივი კაშხალი ოცნება იყო გვიგობელი ხალხისათვის. ავტორმა პროფიტული ოსტატობითა და პოეტური შემართებით უმღერა მას, რასაც ბედნიერება მოაქვს ერისთვის. სიმბოლოურია, რომ ა. ფ. ჰეიქალი მზის ამოსვლას სწორედ ასუანის მალღივი კაშხლის მხრიდან ელოდება. იგი ერთ-ერთი გიგანტია მათ შორის, რაც გვიგობელი ხალხს უშექმნია. პირამიდების აგება იმ ხანაში, როდესაც არ იყო ტექნიკური საშუალებანი, სუეცის არხის გათხრა მხოლოდ მართობა და წყარაქვებით, მართლაც საიდურე იყო იმ დროს. მაგრამ თანამედროვე სამეცნიერე-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში რთული მანქანა-დანადგარების მართვა, უზუსტესი სამუშაოების ჩატარება სათანადოდ მომსახურებელი კადრების სიჭრელის პირობებში, მართლაც ხალხის დიდ თავდადებასა

და მაღალი ბასუხისმგებლობის გრძობებზე მიუთითებს. სწორედ ამან აამღერა ა. ფ. ჰეიჭალის, როცა ქვინდა აღნიშნულ ნაწარმოებს.

მისი ამოსვლას სწორედ ასუნიდან უნდა ელოდეს გვიგბე თუნდაც იმიტომ, რომ მაღლივი კამხალი ჩაჭკეტებს ნილოსს, შექმნის უსარმაზარ წყალსაცავს (500 კმ სიგრძისა და 10 კმ სიგანისა) და აქ დაგროვილი წყალი მორწყავს დამატებით 1,3 მილიონ ფედანს (ფედანი — 0,42 ჰექტარია) ადრე მიწათმოქმედებისათვის გამოუსადეგარ მიწას, სადაც 400 ათასამდე გლეხი იმუშავებს. ეს კი მთავარია, ვინაიდან ფელახი ამჟამად მივილი წლის მანძილზე მხოლოდ 165 დღე დაკავებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებით. კამხალის აშენება კი მას საშუალებას მისცემს წელიწადში 300 დღე იმუშაოს ნაყოფიერად. საერთოდ, ასუნიანის მაღლივი კამხალი ხელს შეუწყობს — ყოველწლიურად ერთნაირი შემოსავლის ერთი მეოთხედით გადიდებას.

ყოველივე ეს ზრდის ა. ფ. ჰეიჭალის ნამუშევრის შემეცნებით და პრაქტიკულ ღირებულებას, რომ არაფერი ვთქვათ მხატვრის მაღალ ოსტატობასა და მისი შემოქმედებით სრულყოფის შესახებ.

სამარლიანიზმა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რეალისტურ მიმდინარეობას ეგვიპტის სახეით ხელოვნებაში ჯერ კიდევ ვერ განუდევნია სხვადასხვა მოდერნისტული მიმართულება, რომელსაც, სამწუხაროდ, ხარკს უხდის ისაც კი, ვინც თითქმისა მტკიცედ დგას რეალისტურ პოზიციებზე. ძნელი დასაჯერებელია, რომ მხატვარი მართა აბდელ ყალიმი, რომელმაც ასე შთამბეჭდავად დახატა სასაბთროს გამყიდველი ბიჭის სახე, მეორე ნაწარმოებში „ავტომანქანა“ გვევლინება, როგორც იმპრესიონისტული მიმდინარეობის წარმომადგენელი. ამ ნაწარმოებში არ არის იდეა, სიუჟეტი, არ არის შევრული კომპოზიცია და რაღაც უაზრო პირობითობაა გაბატონებული. უფრო შორს მიდის მახმუდ ხილიმი. მისი ნაწარმოები „ადგილი № 81“ საერთოდ მოკლებულია ყოველგვარ აზრს.

როდესაც 1964 წლის მარტში ვათვლიერებდი ბინალის მეორე გამოფენას, უცებ შევჩერდი ერთი სურათის წინ, რომელიც შავ ფერში იყო შესრულებული. ტილო გამოსატყდა ნოტებს, რომლებზეც ავტორს მუსიკალური ინსტრუმენტების ნაწილები დახატა. ეს ყველაფერი ქაოტურად იყო განლაგებული ტილოზე. ეტყობა, ეს მუსიკასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ვერც კი წარმოვიდგინდი, რომ ცნობილ ეგვიპტელ რეალისტ მხატვარს სეიფ ვანლის თურმე ამ შავი საღებავებით უნდოდა მოეთხრო გაგნების შემოქმედებაზე. აქ არ ჟღერდა ვაგნერის მუსიკა. თუ ავტორი რ. ვაგ-

ნერის სულისკვეთებასა და გმირულ მუსიკას მარტო სამგლოვიარო მელოდიებში ხედავს, ეს არ არის სწორი.

შემთხვევით იქვე სურათის ავტორს შევხვდი. მივესალმეთ ერთმანეთს და საუბარი გავაბით. მივხვდი, რომ სეიფ ვანლის სურდა მის სურათზე მთქვა რამე, მე კი ვდუმდი. ვიდრე მოითმინა და თვით შემიცხობა თუ როგორ შთაბეჭდილებას ახდენდა მისი ეს უკანასკნელი ნამუშევარი. სეიფ ვანლი ამ დროს ჩვენთან მის ნამუშევართა გამოფენისათვის საუკეთესო ექსპონატებს არჩევდა და აინტერესებდა ექნებოდა თუ არა წარმატება ამ ფერტილის ჩვენს ქვეყანაში. ს. ვანლი მიხვდა ჩემს განწყობილებას და, თითქოს თავის იმართლებით, თქვა რომ ასეთი ხელოვნება არ არის მისი სულის ამოძახილი, მაგრამ მან ეს იმიტომ გააკეთა, რომ არავის ეთქვა ჩამორჩა თანამედროვეობასო. ვერ დავეთანხმეთ თანმოსაუბრეს იმაში, რომ მიზანი ყოველთვის ამართლებს მის მისაღწევად გამოყენებულ ხერხებსა და გზას.

ბინალის მეორე გამოფენაზე წარმოდგენილი ეგვიპტური ნაწარმოებები მეკეთრდა განსხვავდებოდნენ პირველისაგან. თუკი პირველ გამოფენაზე წარმოდგენილი 237 ნამუშევრიდან მხოლოდ 10-15 იყო სხვადასხვა მოდერნისტული მიმდინარეობისა, მეორე გამოფენის 172 ექსპონატიდან თითქმის ნახევარზე მეტი იმპრესიონისტული ხასიათისა იყო.

საერთოდ, ეგვიპტელი მხატვრებისათვის დამახასიათებელია იმის ცდა, რომ მხატვრული აღქმის ძველ ფორმებს ახალი სული შთაბერონ. თანამედროვე თემებზე შექმნილ მათ ნაწარმოებთა დიდი უმრავლესობა შესრულებულია ძველეგვიპტური და შუასაუკუნობრივი არაბული ხელოვნების ტრადიციების გამოყენებით. განსაკუთრებით ჭანდაკებაში იგრძნობა ძველი ეგვიპტური ხელოვნების ნიმუშებისადმი მიბაძვა. უთით ფერწერის ტექნიკა არ იყო ცნობილი შუასაუკუნეობრივი არაბული ხელოვნებისათვის და ამიტომ ეგვიპტელი მხატვრები ფერწერის ხელოვნების შესწავლისას დასავლეთის ხელოვნებას მიბაძავდნენ.

ცნობილია, რომ ევროპაში XX საუკუნის დასაწყისს შეიქმნა მხატვრობაში სხვადასხვა ფორმალისტური მიმართულება. ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ სოვიეტით ადგილობრივი მხატვრის შემოქმედებას აღნიშნულ მიმართულებათა გავლენა ატყვიო. ამასთან ერთად ნათლად შეიმჩნევა ისიც, რომ სახეით ხელოვნების მრავალი წარმომადგენელი თანდათანობით, საკმაოდ გრძელვადიანი სულიერი გარდაქმნების შემდეგ გაბედულად მიდის რეალისტური ხელოვნების გზით და, რაც მთავარია, ამ გზაზე მტკიცედ დგას ეგვიპტელ მხატვართა ახალგაზრდა თაობა.



*Handwritten signature or text in Georgian script.*

# ქილისპირული სიმღერების კლასიკური სიმღერების კლასიკური სიმღერების

ლიანა მეტონიძე ~~ს. ანდრონიკიძე~~ ~~ს. ანდრონიკიძე~~  
მ. ანდრონიკიძე (ანდრონიკი) - ~~ს. ანდრონიკიძე~~ ~~ს. ანდრონიკიძე~~

პირველ მუსიკალურ ბეგრებს ბავ-  
ში ქილისპირული სიმღერებიდან  
იგებს. მისი პანგები ნორჩებში შე-  
საბამის ემოციებს აღძრავს. პატარე-  
ბისათვის „ნანა“ სიმღერის, სიყვარ-  
რულისა და სინაზის თავისებური  
სიმბოლოა. ქართულ ხალხურ ქილის-  
პირულეებში გვხვდება კეთილშობი-  
ლებს, სიკეთეს, სიდიადეს... ამ სიმღე-  
რებს მაღალი აღმზრდლობითი მი-  
სია ენიჭებათ. მათი საშუალებით  
მშობელი თავისი პირმშოსათვის მა-  
ღალსწრაფობრივი თვისებების ჩანერგ-  
ვას ლაშობს.

ქილისპირული სიმღერები უძვე-  
ლეს დროში იღებენ სათავეს. ისინი  
ძირითადად ბავშვებისათვის იყვნენ  
განკუთვნილი და ამიტომ საბავშვო  
ფოლკლორის მიაკუთვნებენ ხოლმე. ამ  
სიმღერებში იშლება ქართველი დე-  
დის მდიდარი სულიერი სამყარო.  
ქილისპირული სიმღერები ერთმანი-  
ა და იმპროვიზაციულობა ახასია-  
თებთ. მათი მუსიკა და ტექსტები გა-  
მორჩევა მრავალფეროვნებით. ქი-  
ლისპირულეებში ჩაქსოვილია დედის  
მაღალეოიკური სახე, სამშობლოსად-  
მი უსაზღვრო სიყვარული, პირადი  
განცდები, მშფოთვარე ფიქრები შეი-  
ლის ბედ-იღბალზე...

ქილისპირული სიმღერები სამ  
ჯგუფად იყოფა — „ნანა“, „ნანინა“  
და „ივანანა“. ერთხანს „ნანასა“ და  
„ივანანასა“ აიგივედნენ, რადგან  
მათ საერთო საწყისი აერთიანებდათ.  
ორივე მკიდრო კავშირში იყო მისისა  
და ნაყოფიერების კულტან, ორივეს  
ქალები ასრულებდნენ, მაგრამ ისინი  
მანიკ განსხვავდებიან ერთმანეთისა-  
გან.

„ნანა“ ბავშვის დასაძინებელი სიმ-  
ღერაა. „ივანანას“ კი წარმართობის  
ხანაში უმღეროდნენ ინფექციური სე-  
ნით დაავადებულ ბავშვებს. იგი სა-  
წყისო სიმღერათა რიგს მიეკუთვნე-  
ბოდა. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ  
საქართველოში „ივანანას“ ძირითა-  
დად ბავშვები მღეროდნენ. ამ სიმ-  
ღერით ისინი თითქოს ინფექციური  
სენის მატარებელ ანგელოზებს ამშ-  
ვილებდნენ. მომღერალ ბავშვებს ვარ-  
დისფერ წყალს აძლევდნენ, რომელ-  
საც ისინი ავადმყოფს აპურებდნენ  
და თან მღეროდნენ „მოუხე, ბატო-  
ნებო“. გარდა ამისა, ფიქრობდნენ,  
რომ ბავშვები თავიანთი უმანკოები-  
ა და სიწმინდით უფრო მეტად იმო-  
ქმედებდნენ განრისხებულ ანგელო-  
ზებზე.

„ივანანა“ სრულდებოდა ყვავილე-

ბით მორთულ ოთახში, რადგან მი-  
აჩნდათ, რომ ანგელოზებს ყვავილები  
უყვარდათ. ვ. კოტეტიშვილი თავის  
წიგნში „ქართული ხალხური პოე-  
ზია“ (გვ. 289-290) მითითებს,  
რომ სიმღერაში „ივანანა, ვარდო ნა-  
ნა“ ყვავილები — ია და ვარდი კი  
არ იგულისხმება, არამედ ამ სიტყ-  
ვებში სხვა მნიშვნელობაა ჩაქსოვი-  
ლი. მაგალითისათვის მას მოჰყავს  
ერთი ხალხური ზღაპარი, რომელშიც  
ია მიწისქვეშა სამეფოს დედოფალი  
იყო, ვარდი კი — მეფე. შესაძლოა  
„ივანანას“ ამ ზღაპრის ანალოგიუ-  
რია, თუმცა ამის დასამტკიცებლად  
სათანადო მასალა არ გვაგვჩნია.  
რაც შეეხება „ნანას“, იგი უფრო  
მოგვიანებით შეიქმნა და თავისი ში-  
ნაარსით საგრძნობლად განსხვავდე-  
ბა „ივანანასაგან“. თუმცა ზოგი ამ-  
ტკიცებს, რომ „ნანა“, „ივანანასაგან“  
წარმოიშვა — ნანას კულტის (მზის  
ღმერთის) გამო.

ქილისპირული სიმღერებისათვის  
დახმასიათებელია თავისებური სა-  
შემსრულებლო მანერა — ჩუმი, ნაზი  
და დაბალი ხმით შესრულება. ძვე-  
ლად ფიქრობდნენ, რომ ასეთი სიმ-  
ღერა თრგუნავდა ბოროტ ძალებს,  
დევნიდა მათ მიზნარე ბავშვის საგა-  
ნედან. ამიტომაც დედა თავის სიმ-  
ღერაში აქსოვდა სინაზეს, სითბოსა  
და ალერსს.

ქილისპირულეების მუსიკალური  
ბეგრები წარუშლელ შთაბეჭდილებას  
ტოვებდნენ ნორჩებზე. ამის ხატოვა-  
ნი მაგალითია გამოჩენილი პედაგოგ-  
ისა და მწერლის ი. ოგაბაშვილის  
მოთხრობა „ივანანა მ კანა!“

ქილისპირული სიმღერების შინა-  
არსი განსაკუთრებული მრავალფე-  
როვნებით ხასიათდება. ქართველი  
დედა ცდილობდა შვილისათვის პატ-  
რიოტოზში, განმედაობა და გმირუ-  
ლი სულისკვეთება ჩაენერგა. ამიტო-  
მაც ქილისპირულეებში იშლება საქარ-  
თველოს ისტორიის მღელვარე ფურ-  
ცლები — ქართველთა თავდადებული  
ბრძოლა უმთბელი დამპყრობლების  
წინააღმდეგ მიმდინარე თავისუფლები-  
სა და დამოუკიდებლობისათვის:

„უნდა გაზარდოს დედამა ვაჟი — შტრის გამაყვარებელი, არ იყოს აუგის მოქმელი, არც ფეხის დამწვარებელი, არ აშინებდეს სიკვდილო, სიცოცხლის გამწვარებელი“.

მართლაც, პატრიოტული მოტივი მძლავრად ქვრის ძილისპირულ სიმღერებში. ასეთი შინაარსის ძილისპირულები მრავლად მოიძებნება ჩვენს მუსიკალურ ფოლკლორში:

„შვილო, დედა გენაცავლოს, შვილო, თავშადუბნაბო, ქირი მოგპაოს დედამა, შე ცეკლო, დაუდუგარო.“

ნანა, შვილო, შემოგეკლე, შტრის გულზე ფეხით შემეღვარო, ნანა, ნანა, დიდიანე, დევის ღუღუნა ჭადანო“.

ასევე მძლავრად ქვრის ძილისპირულებში მოქალაქეობრივი თემაც. დედა დღენიდაც ფიქრობდა შვილში გამოეწვრთო სიკეთე, გულისსმეირება, დიდბუნებოვნება:

„ვატარებ პაზარში, ჩავატარებ ჭურაში, ცალხა შემოგიყვარება იმას მიე პაზარში, ისიც ვიტყვის გარჯდასა, გარჯდა, ვაგარბახა...“

დედა უნერგავდა შვილს მზრუნველი მამისადმი სიყვარულსა და პატივისცემას, უამობდა მის შრომასა და გარჯაზე. მამის სახე პატრიოტულ მოტივთანაც იყო დაკავშირებული. ამაზე თვალსაჩინოდ მეტყველებს მეგრული სიმღერა, რომელსაც დედა უმღერდა შვილის თარქების ერთ-ერთი შემოხების დროს:

„შენ ჩამხუტე, ნანა, შვილო, შე გიმღერებ ნანანა, ნანა, თურქი მოღის გჯაზე, მამაშენის მიერ დაჭრილო,“

რა ვქნა, შვილო, თურქები არ გვაყენებენ, კაცს ყველაფერს არ მოყვენ, შემდეგ კი ახრჩობენ...“

შენი მამა აქ არ არის, ჩვენ ვიპალებით მთაში, უხადური მამაშენი თურქებს ეპობებს.

წასვლის დღეს დამიბარა — მალე გამოვეყვო. პატარა იყავ, მაგრამ გიცნო, რომ ლაჩარა არ იქნებოდი.

ყველაფერი შენთვის მზად არია, გაძევიე ჩქარა, ლურჯი ცხენი შეიჯამულო, დავალოცავ გჯასა,

მაგრამ გაბარებ, შვილო, გოხოპო, ყოველთვის ვახსოვდეს — ზურჯი არახოდ აჩვენო შტრის, ასიც რომ გებრძოდეს“.

აღსანიშნავია, რომ ძილისპირული სიმღერები ტექსტურული შინაარსით სცილდებიან ბავშვთა აღქმის სფეროს. მათში ძირითადად გამოცემულია დღის ფიქრები, ოცნებები, იმედები და ხედვები შვილის მომავალს, ესახება იგი სამშობლოს კეთილდღეობისათვის მებრძოლ გმირად, სამაგალითო პიროვნებად, თვალსაჩინო მეთუახებდ.

მაგრამ ზოგიერთ ძილისპირულში მოცემულია ბავშვთა სამყაროსათვის ახლოებილი პერსონაჟები — ცხოველთა და ფრინველთა სახეები. ასეთი ძილისპირულები განსაკუთრებით გავრცელებული ყოფილა რაჭაში:

„აცხა, კატაო, კატაო, იავნანაო, რას ჩამომხზავი თავსაო? სარკველი მაგრა მახურავს, შენ ვერ მომახიდი თავსაო“.

ძილისპირული სიმღერები, ერთი მხრივ, წარმოადგენდნენ ბავშვთა აღმზრდელობით საშუალებას, ხოლო, მეორე მხრივ, მსატრული აზროვნების თვალსაჩინო ისტორიულ დიოკუმენტს. ამ სიმღერების ტექსტები საინტერესოა ღრმა იდეური შინაარსის, უბრალოებისა და სისადავის თვალსაზრისით.

ძილისპირული სიმღერები ხალხურ პოეზიასაც გვაცნობენ. მათში ჩანს პოეტური სიტყვის სინატიფე და გამომსახველობა. მათ დღესაც არ დაუკარგავთ მსატრული ზემოქმედების ძალა, მაღალი აღმზრდელობითი მინისა.

ძილისპირულები საბავშვო სიმღერების პირველწყაროა. ისინი პატარაობიდანვე ღრმად იჭრებიან ბავშ-

ვთა შეგნებაში. მათ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ ოჯახის ყოფაცხოვრებაში. ამ სიმღერებს, ძირითადად, დედა მღეროდა ხოლმე. მაგრამ წამოზრდილი ბავშვი იგივე სანგებს თავის პატარა და-ძმას უგალობდა. გოგონა თოჯინებსაც ამითვე არიბოდა. ასე გადაეცემოდა თაობიდან თაობებს ხალხური შემოქმედების მარგალიტი.

ხშირად ბავშვები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა რიტუალის შესრულებაშიც, რასაც აკრთვე თვალსაჩინო აღმზრდელიობით მნიშვნელობა ენიჭებოდა.

არსებობდნენ ისეთი რიტუალური სიმღერები, რომელიც სპეციალურად ბავშვებისათვის იყო განკუთვნილი. სახელდობრ: „პარბალოლო ა შ ი“, „ლაზარობა“, „ორმოში ფეტვი ჩავყარე“, „პატონები“. რაჭაში დღემდე შემორჩენილა ბიჭუნებისათვის განკუთვნილი საწესო სიმღერები. ასეთებია — „მითვლა ლილეოვჯე“ და „მითვლა შრუშანჯე“. ეს სიმღერები სრულდება ფრინველთა დაჭრის დროს. აღსანიშნავია აგრეთვე საფერხულო ცეკვა, რომელსაც მხოლოდ მოზარდები ასრულებენ. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ვაზის კულტურისადმი მიძღვნილი წარმართობის ხანის ფერხული. ეს საწესო ცეკვა გავრცელებული ყოფილა ზეგურეთში, ფშავში, ზვეში, თუშეთში, ქართლ-კახეთში. ამ ფერხულით განადიდებდნენ მოსავლის კულტს. ცეკვას ასრულებდნენ სამგლოვიარო ტანსაცმელში გამოწყობილი ტაბუკები და ქალთოკლები. ისინი რვადავნი ვაზის გარშემო, რომელიც წმიდათაწმიდად იყო აღიარებული. აღნიშნული ფერხულის დამახინჯება შეუწყნარებელ კოლდად ითვლებოდა, რადგან ცრურწმენით მას მოყვებოდა ავადმყოფობა, გაჭირვება, მოუსავლიანობა. ამიტომაც იმოსებოდნენ ხოლმე შემსრულებლები ძაბით. სხვა ვარიანტში ნათქვამია, რომ მას, ვინც ყურძნის ნაყოფს არ გაუფრთხილდებოდა, უდროო სიკვდილი ელოდა (პროფ. ვ. ბარდაველიძე).

ქრისტიანობის ეპოქაში მოზარდ-

ბის შემოქმედებას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა. ბავშვები აქტიურ როლს ასრულებდნენ საეკლესიო ცერემონიალებში. ამის მიზეზი იყო ბავშვთა ხმების კრისტალური სიწმინდე და მათში ქრისტაანული რელიგიისადმი თავყვანისმცემი ჩანერგვა.

1891 წელს ეკლესიის მსახურმა ესტატე კერეელიძემ გამოჩენილ ქართველ მომღერალ ფილიმონ ქორიძესთან ერთად გამოსცა საეკლესიო საგალობლების კრებული ბავშვთათვის.

აღსანიშნავია, რომ საეკლესიო გალობის სტილი ბევრს აჩვენდა ხანგრძლივ სუნთქვას, ბგერის გამოშასხუნვლად გადმოცემას, დინამიკური ნიუნსების შესრულებას. არსებითად ამ გზით ხდებოდა ვოკალური ჩვევების გამოუმუშავება.

ქრისტიანობის ჟამს შეიქმნა მხოლოდ ბავშვებისათვის განკუთვნილი სიმღერები. მაგალითად, „თოჯინა“, რომელსაც გოგონები მღეროდნენ და „შობის სიმღერა“ ბიჭუნებისათვის.

საუკუნეების მანძილზე ხდებოდა საბავშვო სიმღერების განვითარება. მათი ძირითადი მიზანი — აღმზრდელობითი მისია იყო. განსაკუთრე-

ბით გაიზარდა ინტერესი მათადმი მე-19 საუკუნის II ნახევარში. სწორედ მაშინ იჩინა თავი საბავშვო პროფესიული სიმღერის შემქმნის პირველმა ცდებმა. მათაც ძირითადად აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭებოდათ. მაგრამ საბავშვო სიმღერების პირველი თვალსაჩინო ნიმუშები ჩვენი საუკუნის დამდეგს შეიქმნა. ამ მხრივ აღსანიშნავია გიორგი შერინარძის გალობის მასწავლებლის ა. ფ. ცაყციავის დეკალი. მან შეადგინა საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის გამიზნული საბავშვო სიმღერების კრებული, რომელშიც შესულია როგორც ხალხური პანგები, აგრეთვე თავად ავტორის მიერ შექმნილი სიმღერები. იგი პასუხისმგებლობით მიიქცია ამ დიდსა და სერიოზულ საქმეს. კრებულში შესული სიმღერები გამოირჩევიან გამოშასხველი მელოდიურობით, ღრმა შინაარსით, საინტერესო პოეტური ტექსტებით. შემდეგ შეიქმნა გამოჩენილი მუსიკოს-მოდერნიზების კრებულები — განსაკუთრებით აღსანიშნავია ზ. ჩხიკვაძის, ი. კარგარეთელის, დ. არაკიშილის, ნ. შარაბიძის, დ. კუჭაიძის მიერ შედგენილი კრებულები. ისინი თვალსაჩინოდ მეტყველებენ იმაზე, თუ რა დი-

დი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჩვენში XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდას.

საბავშვო მუსიკალურმა ლიტერატურამ განსაკუთრებულ განვითარებას საბჭოთა სინამდვილეში მიაღწია. გაიზარდა ამ ჟანრის მსატკვრელი, იდეური და ესთეტიკური დონე, გამოიღრდა რეპერტუარი. საბავშვო მუსიკის დარგში ნაყოფიერად მოღვაწეობენ ნიჭიერი ქართველი კომპოზიტორები. მათი მისანია მოზარდებში აღზარდონ მაღალი მორალური და სულიერი თვისებები, ჩაუნერგონ მათ სამშობლოსადმი ერთგულება და სიყვარული, მშობელი ხალხისადმი მოკრძალება და თავყვანისცემა, მომავალ თაობას გამოუმუშაონ კეთილშობილება, პატიოსნება, გულსისხიერება.

ამრიგად, აღმზრდელობითი მოტივი ოდითვე დამახასიათებელი იყო ქართული ხალხური ხელოვნებისათვის. იგი წითელ ზოლად გასდევს ჩვენს მდიდარ მუსიკალურსა და პოეტურ ფოლკლორს. მისი საფუძვლიანი შესწავლა დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას — მოზარდი თაობის ესთეტიკურსა და მორალურ აღზრდას.



ქ. კერემელიძის  
საქართველო.

ფიცი ქაქიძის და ანთონის - მსმ  
ჩუქაძის კოზნიას - მსმ

# სნოგილი თბილისელი მეზურნეები

ალექსი ბარნოვი — 

ძველი მეზურნეების ამქრის მუსიკოსებიდან პირველი სახელოვანი მედლოე-მომღერალი ბაგრატ ბაგრამოვი იყო; იგი დაიბადა თბილისში, ღარიბი მღვებავის ოჯახში მუსიკალური ნიჭი დედისაგან მიიღო შემკვიდრებით. ბაგრატ ბაგრამოვიმ დაიწყო მღვებავის სიმღერა, ჰქონდა კარგი ხმა და სმენა, 14 წლის ყოფილა, როდესაც მეზურნეებს მომღერალ-მოჯამაგირედ დაუქირავებიათ და კაცკა-ვში წაუყვანიათ. შემდეგ კვლავ დაბრუნებულა თბილისში და ისევ მოჯამაგირედ დაიწყო სხვა მეზურნეებთან. 17-18 წლის ასაკში ბაგრატ უკვე ცნობილი მომღერალი იყო არა მარტო თბილისში, არამედ მთელს ამიერკავკასიაში.

ძველი თბილისელები დღესაც იგონებენ ერთ-ერთ ზეიმს, როდესაც ბაგრატს ჩობან ბაიათის სიმღერით მედუ-დუკეთა დასტასთან ერთად მოუჯამაგირებია ყაზახი ბები. იგი სულგანაპული უსმენდა თურმე სიმღერას, შემდეგ კი ბაგრატისთვის ზედმიძეობა შეუთავაზებია: წამოდი ჩემთან, ჩაღს მოჯამაგირედ და დიდ ქონებასაც მოგცემ, ოღონდ დამისძიებდე, მაგრამ ბაგრატს უარი უთქვამს — თბილისს არავითარ სიმღერაზე არ გავცვლი.

ბაგრატი დიდი პოპულარობით სარგებლობდა არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ ოსმალეთსა და სპარსეთშიც. მას ხშირად იწვევდნენ სპარსეთის შაჰთან ზეიმებსა და მეჯლისებზე, სადაც დიდ პატივისცემასა და ჯილდოებს იმსახურებდა.

შალვა დადიანი და იოსებ გრიშავილი ასე ახსიათებენ მას: „ბაგრატ ბაგრამოვი თავის დროზე გათქმული მომღერალი იყო. მღეროდა ქართულად, სომხურად, აზერბაიჯანულად და თავისი ხალხური მანერით და ტექსტით დამსახურებული ჰქონდა საზოგადოებაში დიდი პოპულარობა, იგი მრავალჯერ დაეხლებოდა მონაწილეობას სხვადასხვა დასტებში თავის სიმღერებით, ჰქონდა იშვიათი ტემბრის ხმა და დიდი უნარი მუსიკალური ოსტატობისა“.

ბაგრატის მუსიკალური ნიჭი, იშვიათი ტემბრი ხმა უურარდობდნენ არ დარჩენიათ არც გრამფირფიტის ფირმებში მისი მღერობისთვის. მრავალი ათასი ფირფიტა გამოცემული მისი მონაწილეობით ცნობილი ფირმების „პაფე რეკორდის“ და „პრემიერ რეკორდის“, „სპორტ რეკორდის“ და სხვათა მიერ.

თბილისში გამართულ კონკურსებში იგი ხანდაზმულობაშიც მუდამ პირველ პრემიებს ღებულობდა. მას მინი-ქრებელი ჰქონდა რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება და პერსონალური პენსია. თბილისელები მის ძა ბაგრატსა და, ზოგნი კი, დიდ ბაგრატს ეხსენებენ.

რეგულარობის საქმეში მას თაობის წველილი შეიჭანა. ამის დასადასტურებლად მომეყას ამონაწერი საპართაილის ხელოვნების მუშაობა პროფკავშირის პრეზიდიუმის სხდო-

ვის 1934 წლის 15 სექტემბრის № 22/62 ოქმიდან: „...ამ ბაგრამოვი წარსულში მონაწილეობას ღებულობდა არალეგალურ კრებებში, რისთვისაც იგი დევნილი იყო „ცარიზმის მთავრობისაგან...“

„არა ერთხელ უცდიათ პოლიციელებს ჩემი დაბატონება რეგულაციური სიმღერებისთვის, — წერს თავის ავტობიოგრაფიაში მომღერალი, — მაგრამ სამ ენაზე ვმღეროდი და ვერ ერკვეოდნენ, რას ვმღეროდი.“ — ბაგრატ ხშირად ესწრებოდა არალეგალურ კრებებს, რომლებშიც მონაწილეობდნენ: სტალინი, შუშუნიანი, კამო, და სხვები. „ისინი განზრახ აწყობდნენ კრებებს ორთაქალის ბაღებში ქვიფის ნიღბით, — წერს ბაგრატ თავის მოგონებებში, — ჩემი სიმღერებით და დოლის დაკვირთ თვალს უხვევდნენ ჟანდარმებისა, ხშირად იმართებოდა იმ წლებში მათ მიერ ასეთი ქვიფები, ტყუილი ნათლობა და ქორწილები, სადაც დამკვიფლად მე ვიყავი ხოლმე მიწვეული“.

ბაგრატა გარდაიცვალა თბილისში 1938 წელს, 88 წლის ასაკში.

ბაგრატის ადგილი დაიკავა ცნობილმა მომღერალმა გეურტა შულავერმა. გეურტა გვარად ჩაბანოვი იყო, დაიბადა 1886 წელს შულავერში, ღარიბი გლების ოჯახში მასაც ბავშვობიდანვე უყვარდა მუსიკა. გულმოდგინედ სწავლობდა ჯერ სალამურზე, შემდეგ კი დედუკზე დაკვრას.

18-19 წლის შულავერი უკვე კარგად დაუჯობებია დედუკზე დაკვრა-მომღერლობას და შულავერში „თავისებური“ დასტა შეუდგინა, ჩვეულებრივ, დაკვირის დროს მედლოე მღერის, აქ კი შულავერი თვითონ მღეროდა.

გ. შულავერმა მალე გაითქვა სახელი, როგორც ნიჭიერი მომღერალმა. მას ხშირად უთქვამს — თბილისელმა ხალხმა გამზარდა და თბილისელმა ხალხმავე მომეცა სახელი.

გ. შულავერის მიერ დედუკის თანხლებით შესრულებული ბაიათები, შიქასტები, თანხვები და მუსამბაზები ჩაწირლობა გრამფირფიტებზე ზემოხსენებული ცნობილი ფირმების მიერ. ამ ფირფიტებს დღესაც უკრავს და დიდი სიამოვნებით უსმენს თბილისის ძველი მოსახლეობა, რომელსაც ასსუსად და უყვარს ძველი თბილისური ტემბრი დედუკი და მასზე შესრულებული პანგები.

შულავერელი თავის ხელობას მარტო ქვიფებსა და მეჯლისებში კი არ იყენებდა, იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა სასარგებლო საქმიანობაშიც. შვირე მსოფლიო ომის დროს მას მრავალი სამეფო კონცერტი გაუმართავს. რის გამოც დაჯილდოებულია საქართველოს სსრ ხელოვნების მუშაობა კავშირის საქალაქო კომიტეტის სიცილითა და მედლით „დიდ სამაშულო ომში წარჩინებული შრომისათვის“.



ლი ა. ა. იო  
ლი ა. ა. იო



ხაჩი ტალავაიკო (მარცხნიდან მეორე)

ამეზამად გ. შულავრელი 85 წლისაა, მაგრამ მიუხედავად ხანდაზმულობისა, კვლავაც ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს საყვარელ საქმიანობას და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობს თავის ამქარში.

სახელოვანი მეზურნე იყო ა. კუპრიაშვილი, ანუ კუპრია, იგი 1830 წელს დაიბადა თბილისში, სირაჯის ოჯახში. კუპრიას ძალიან აყვარებია მუსიკა და ჯერ კიდევ ბავშვობაში ლერწმისაგან თვითონ უკეთებია უბრალო სტიკერები და სალაშურები. შემდეგ კი შეუსწავლია დუღუკუე დაკვრა იმ დროს ცნობილი მეზურნე „შეა“ — აკოფასთან. ბუნებით იშვიათი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული, მეჯიითი კუპრია სულ მალე სახელგანთქმული მეზურნე გამხდარა, საოცარი გამოძახველობით აქლერებდა დუღუკს. 70-იან წლებში იგი თავი იმ დასტიტ მიუწყევვიათ თბილისის ქართულ სახალხო თეატრში... აქ კუპრია წლების მანძილზე მუშაობდა.

განსაკუთრებით უყვარდა კუპრია თბილისის მდამიო მოსახლეობას, ხალხი მას „უსტა“<sup>2</sup> არტემას ეძახდა.

იმდენად პოპულარული იყო კუპრია თბილისელ მსმენელებში, რომ ა. ცაგარლის პიესა „ხანუმაშიც“ არის მოხსენიებული:

„აქ კუპრიას დუღუკზე  
ისმის ტკბილი საარი,  
თქვენ რაც ვინდათ, ისა სთქვიოთ,  
ჩვენი უშხი სხვა არის“ და სხვ.

კუპრიამ განსაკუთრებით გაითქვა სახელი ზურნაზე დაკვრით, ეს საკრავი კი იმ დროს ძალიან მიღებული ყოფილა ქორწილებსა და დიდ ქიეფებში, ზურნით მთავრდებოდა ხოლმე დიდი ორგობები.

ა. კუპრიაშვილს ხშირად იწვევდნენ ქართლ-კახეთის დაბა-საქაქებში, ქუთაისში, ბაქოში, განჯაში დიდ ბეგებთან და ირანში შახის კარზედაც კი.

კუპრია გარდაიცვალა 1916 წლის 22 დეკემბერს, 86 წლის ასაკში.

<sup>1</sup> „შეა“ ძველი ქართული სიტყვაა და წითურს ნიშნავს.  
<sup>2</sup> „უსტა“ თითოეული სიტყვაა და ოსტატს ნიშნავს.

კუპრიას თანამედროვე მეზურნე იყო სინო ციციშვილი, რომელსაც მთელ საქართველოში სინო ხაშურელად იცნობდნენ. იგი დაიბადა 1838 წელს ხაშურის რაიონის სოფ. მიხისში, მეურნე გლეხის ოჯახში. სინომ ბავშვობიდანვე გამოამჟღავნა მუსიკალური ნიჭი. იგი 17-18 წლისა იყო, როდესაც დაუმეგობრდა ხაშურში ცნობილ მეზურნეებს — ძმებს კოტეს და ზაქრო ლაცაბიძეებს, დაეფუტა დუღუკზე დაკვრას და მალე სახელიც გაითქვა. სინოს მედილი-მომღერლად ჰყოლია ჭალელი გილა ბითაძე, დამქაშად კი ჯერ არჩილ კილაძე და მერე სანდრო გოგოლაძე. ეს მეზურნეები ქიეფებში ცხოვრობენ, სიცოცხლის ბოლო წლებს ერთად ატარებენ წარსულის საინტერესო მოგონებებში.

სინო ხაშურელი ქართულ ჭიდაობაშიც გამოირჩეოდა. მისი ვაჭკაციური გამოსვლა საასპარეზოდ და საჭიდაო ილეთების სისხარტე, მუდამ აღტაცებას იწვევდა მაყურებელში. იგი ალალმართალი, კაცთმოყვარე, გულისხმიერი და გულუხვი ადამიანი იყო. ამიტომაც უყვარდა ხალხს.

სინო ხაშურელს ხშირად იწვევდნენ ცნობილი მოღვაწეები თავიანთ ოჯახებში, მას იცნობდნენ: აკაკი წერეთელი, ჭავჭავაძეები, გიორგი ამილახვარი, ვანო ხიძირბეგიშვილი, ამირაჯიბები, ყიფიანიები, ორბელიანები, მაგრატიონები, ჩოლოყაშვილები, ციციშვილები, წინამძღვრეშვილები და სხვები, რომლებთანაც ზეიმზე ხშირად 3-4 დღით დარჩენილა და დასაჩუქრებული დამბრუნებულა შინ.

სინო მთელ საქართველოში იყო სახელგანთქმული, განსაკუთრებით კი ქართლ-კახეთსა და იმერეთში. ქართლში სინოზე ლევისკვ შეიძლება, — რომლის მიხედვითაც მოკვდავიც კი სინოს თხოვლობს მღვდლებს ნაცვლად, აი ისიც: „...გთხოვთ მღვდლებს ნაცვლად, თქვენ მე მომგვარათ სინო მეზურნე თავისი ამქითი“ და სხვ.

სინო გარდაიცვალა 1928 წელს ქ. ხაშურში, 90 წლის ასაკში, ხაშურის მოსახლეობამ დიდი პატივით დაკრძალა იგი გიგლისის გალავანში.

სახელოვანი მეზურნე იყო პავლე გლახის ძე მასურაძე. იგი დაიბადა 1848 წელს თბილისში. პავლე ტყუპის ცალი იყო. ნათლის მეთრე ბავშვისთვის პეტრე უწოდებია, ამიტომე შინაურები ტყუპებს ხუმრობით პეტრე-დოლეს ეძახდნენ. პავლეს მამა ხელმოკლე კაცი იყო და შვილებს სწავლა-განათლება ვერ მიავლინა. მუსიკალური

სამოცი - *[Handwritten signature]*  
გონიანი - *[Handwritten signature]*



სინო ციციშვილი (დვას მარჯვნიდან  
მესამე)

ნიჭით დაჯილდოებული პავლე პატარაობიდანვე გაუტაცნია მუსიკას. 17-18 წლისას თავისით დუღუყია დუღუკზე ვარჯიში, შემდეგ კი კუპრიასთან დახელოვნებულა. მალე პავლემ დუღუკის დიდი ოსტატის სახელი დაიმსახურა. იგი თვითონ ჰქმნიდა ამა თუ იმ ლექსის შესაფერ პანგებს, პავლე სახელოვანთქმული მეზურნე იყო მთელს ამიერკავკასიაში და საზღვარგარეთაც. იგი გარდაიცვალა 1917 წელს თბილისში, 70 წლის ასაკში, დაკრძალულია პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

ცნობილი მეზურნის სახელი დაიმკვიდრა ავეტიქა თეთრობაშვილმა. იგი დაიბადა სოფ. კუმისში, ღარიბი მწერბავის ოჯახში, რომელსაც 9 შვილი ჰყოლია. მას ბავშვობაში სალამურზე ჰყვარებია დაკვრა. ხოლო 14 წლისას დუღუკზე დუღუყია დაკვრა კუპრიას ხელმძღვანელობით. 21 წლის თეთრობაშვილი უკვე ცნობილი მეზურნე იყო. იგი გაამხანა-

გებია სახელოვან მომღერალს — დიდ ბაგრატას და გასტროლებზე წაყოლია შუა აზიის დიდ ქალაქებში: აშშაბადში, ბუხარაში, სამარყანდში, ტაშკენტში და სხვ.

შუა აზიაში ა. თეთრობაშვილს ნიჭიერი მუსიკოსის სახელი დაუმსახურებია და დიდი საჩუქრებით დაბრუნებულა სამშობლოში.

თეთრობაშვილი აღმზრდელიობით მუშაობასაც ეწეოდა. მას ბევრი შვიირდი ჰყავდა გამოზრდილი, მათ შორის სერგო ვახტანგოვი, რომელიც შემდგომ ცნობილი მეზურნე გახდა.

იშვიათი მუსიკოსი იყო ვასილ რაზმაძე. იგი დაიბადა 1871 წელს ქ. გორში, 1879 წელს დაიწყო სწავლა გორის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ მუსიკით გატაცებული ბავშვი დაკვრასაც ოცნებობდა. ამიტომაც ხშირად იპარებოდა სემინარიიდან, აცდენდა გაკვეთილებს და მთელ დღეს

სამი ხეცები *[Handwritten signature]*  
მიხელ აღმაშვილი

ბაგრატ ბაგრაშვილი

ვაკო რაზმაძე



*[Handwritten signature]*

ლი ღიოტი ზეჯიხვილ - მსმ  
 იხი ჰეყუმი ვიზნარს - მსმ



პეტრე ჩანანიძე

ანა ვარდიანული

სალამურზე დაკვრამი ატარებდა. სახლშიც ბევრს ვარჯიშობდა, მაგრამ მშობლები უშლიდნენ. მათ არ უნდოდათ, რომ შვილი მეზურნე გამხდარიყო. ბავშვმა კი სწავლას თავი დაანება, გამოიპარა სახლიდან, ჩამოვიდა თბილისში. მივიდა მეზურნეების ამქარში, უამბო უსტაბაშს თავისი ამბავი და დახმარება სთხოვა. ვასოს გაწრთვანა პავლე მაისურაძემ ითავა. ნიჭიერი ასალგაზრდა მუყათად მოჰკიდებია სწავლას.

ვასომ ბევრი რამ შეიძინა თავისი ოსტატისაგან და ზოგჯერ პავლეს მაგივრად ტკბილად უკრავდა დუდუკს.

რის გამოც ძველი თბილისელები იტყოდნენ ხოლმე: ვასოს ერთი თითი პავლესი აბიაო.

ვასო რაზმაძეს დღესაც ხშირად იგონებს ერთ დროს მის დასტაში მონაწილე მედოლე ჩხირაძე, მეტასხელად „ტუხო“:

„ერთხელ ილიაობას წაიწყვანა ვასომ საგურამოში როგორც მედოლეო, — იხსენებს „ტუხო“, — იქ ჩვენს დიდ ამგადარს და საყვარელ მწერალს — ილია ჭავჭავაძეს ზეიმი ჰქონდა მოწყობილი. ილიას ძალიან უყვარდა დუდუკი და დიდ პატივს სცემდა ვასო რაზმაძეს, როგორც საზელოვან მეზურნეს, ვასოს დანახვისთანავე ილია გადაეხვია

კუპრიას დასტა (კუპრია შუაში)




83-ე გვერდზე მარცხნიდან მარჯვნივ: გუტუქ ჩობანოვი პავლე მაისურაძე ა. თეთროიაშვილი

ღიოტი ზეჯიხვილ - მსმ  
 ჰეყუმი მაისურაძის - მსმ

ფოტო სემიონეძე - მსმ  
ხეყუმი ვოზნიას - მსმ

მეზურნეების ამჟირის ბაირალი



ნას და გადაჰკოცნა, ილიას შეხვედრით აღტაცებული ვასო მომიბრუნდა და მითხრა, — „აი ეს არის ჩვენი ილია ჭავჭავაძე“. მაშინ მე 16-17 წლისა ვიქნებოდი, სწორად მსმენია დიდი ილიას სახელი როგორც ჩვენი სამშობლოს უანგარი მსახურის, დიდი მოღვაწისა და უბაღლო მწერლის. მენატრებოდა მისი ნახვა და ისე ავცნეთ სიხარულით მის დანახვაზე, რომ მივივარდი ხელზე საკოცნელად, მაგრამ ილიამ ხელი გამომტაცა და ღიმილით მითხრა — მღვდელი ხომ არა ვარ, ხელზე რიმ მოცინით!“. ვასო რაზმაძე გარდაიცვალა 1928 წელს. ახლა გავეცნით მეზურნეების უკანასკნელ უსტაბაშ

დათა ზუბიაშვილს. იგი 1874 წელს დაიბადა თბილისში, კალატოზის ოჯახში. ცამეტი წლისას დაუწყია მეცადინეობა მუსიკაში. დათა იხსენებდა — „ერთ ლერწამს ავეტერ ენა — გაავაეთე სტვირი და დაკვრა დავიწყე, შემდეგ კისწავლე დაკვრა და ერთი წლის შემდეგ კი დუდუკი და ზურნა შევისწავლე“. 1895 წელს დათა გაუწვევიათ სამხედრო სამსახურში და მუსიკოსების ჯგუფში კლარინეტზე დამკვრელად გაუმწესებიათ. 1898 წელს — სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ — დათა შინ დაბრუნდა. ის პანგები, რომლებსაც იგი სამხედრო სამსახურში ნოტებით უკრავდა, საღამურზე



სამი ფოტო სემიონეძე - მსმ  
სამი ხეყუმი ვოზნიას - მსმ

და დუღუკეზე აუქტუბრებია, რაც ბევრს არ მოსწონდა. ამას თვითონ დათა აღიარებდა: „ჩვენი მოხელეები ამბობდნენ, სალამურზე და დუღუკეზე არ შეიძლება ევროპული პანგე-  
ნის დაკარო, მაგრამ მე თოვლ ქვეყანას გააყვებინე თუ რა შესაძლებელია ჩვენი სალამურსა და დუღუკეს“.

1914 წელს (პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას) დათა ვარში გაუწვევლი და თავისი დასტით ჩაურთებდა იმ დღივზიანი, რომელსაც ქართველები მეთაურობდნენ; დათა მუსიკოსის მოვალეობას ასრულებდა, იგი ზურგის თავიანთებრი რიხიანი დაკრით მებრძოლებს აღფრთოვანებდა. უარჩინებისა და მამაცობისათვის დათა დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.

ზუბიაშვილი მდამით, უსწავლელი კაცი იყო, მაგრამ ბუნებით ძალიან ნიჭიერი და გამჭრე, იგი მუსიკოსობის გარდა მისდევდა მწიგნობრობას და ლექსებისაც თხზავდა.

მეზურნეების უსწავსკელი უსტაბაში თავის საბაქო მოვალეობის შესრულებას 1916 წელს შეუდგა და მალე დიდი ავტორიტეტიც დაიმსახურა ამქარში, როგორც იშვი-  
ნათ ხელისაზნა და ამქრის კეთილდღეობისათვის დაუ-  
ლაგავა მზრუნველმა. დიდი ამაგი მიუძღვის დათა ზუ-  
ბიაშვილს მეზურნეების შრომის პირთათვის გაუმჯობესე-  
ბისა და ახალგაზრდა ხელისუფლების აღზრდაში. მეზურნეები დათას უნდა უმადლოდნენ, რომ მათ წლების მანძილზე უნიონობის შემდეგ ვერ კიდევ 1914 წელს საკუთარი ბინა ედინათა. დათა ზუბიაშვილი მუდამ დიდი მზრუნველ-  
ობით ამბობდა: „...დღე და დღე ფიქრში ვარ, რომ ვასწავლო და კეთილი საქმე გააკეთო ჩემი ხელობის ხალხს“; დათამ ბევრი კარგი ხელოსანი გამოზარდა და მათ რიცქვამი ცნო-  
ბით მუსიკოსი ხაჩიკ ტალავაუცი. დათა ბუნებით ნიჭი-  
ერი მუსიკოსი იყო, ის ურავდა სალამურზე — ასრულებ-  
და ნაწიყურის ოპერებიდან „დაისი“ და „ტრავიატა“.  
არავად მასთვის დათას ნოტივის უბის დაეთარი, რომელ-  
შიც მას ჩაწერილი ჰქონდა სხვადასხვა სასიმღერო, საცაქ-  
ოპო პანგებისა და ჰიმნების ნოტივი. უჩუბ სტუმრებიდან დაკრის დროს (მეჩველად ბანაკებზე) დათა იოიხი-  
და ხოლმე სადაურები არიან ჩვენი სტუმრებიო, ამოილობ-  
და თავისი ნოტივის დაფარს და ისე გამოუმსახველად შე-  
ასრულებდა მათს ერთნაულ პანგებს სალამურსა და დუ-  
ღუკეზე, რომ აღტაცებაში მოჰყავდა მსმენელი. გაოცებული სტუმრები ცნობისმოყვარეობით სინჯავდნენ ხოლმე დუ-  
ღუკესა და სალამურს.

დათა ზუბიაშვილის პოპულარიზაცია გადასა საქართველოს სასულარებს. რუსეთის მიერეს ნიალოზს მთორეს ერთ-ერთი დიდ ზეიმიზე სასანლემში ჩვენი სახელოვანი დამაგრელიც მიუწვევია თავისი დასტით. დათას მეთოლად ცნობით კოლეჯი ნავაჯა ჰყოლია, დამქმუნე კი სერგო ვახტანგაივი.

ზუბიაშვილის დასქას მოსიყვის სადაურში ოფიცრები დახვდნენ. მატარებლის ჩამოღობისას ოფიცრები ყოფილ ჩამოსული მგზავრის გიჟთხიბობდნენ ზუბიაშვილი ხომ არა ბრძანდებიო? დათა რომ უნახათ, გაკვირვებით უთქვამთ, ჩვენ უსწავსკელი გვევინე, შენ კი რა პატარა კაცი ყო-  
ფილხარო.

დათა ზუბიაშვილის რატილი დუღუკით დიდად ნასი-  
მოვინე მიერეს ზიომის დამოაარების შემდეგ მდელით ნა-  
ჯავა და დამქმნი სერგო ოქროს საათობით დაუსაქურქე-  
ბია, ხოლო დათა ზუბიაშვილისათვის ბრლიანტის თვლე-  
ბით მოჭაიფიო ოქროს ბეჭეტი უჩუქებია.

თ. ზუბიაშვილი გარდაიცვალა თბილისში 1933 წელს. ომიმთხარე საუკუნის პირველი მეთოხმელი საქართა-  
ლოში პოპულარობით სარაგობოდა დუღუკის დიდი ოს-  
ტატი და მეზურნეების ამქრის ღირსეული წევრი — ცნო-  
ბით მუსიკოსი პეტრე იაგორის ძე ჩანაძიძე, ანუ უტყბა, როგორც მას ეძახდნენ.

პეტა ჩანაძიძე დაიბადა 1880 წელს სოფ. წალაპკურში,

ღარიბი გლეხის ოჯახში. მეტად ნიჭიერი მუსიკოსი იყო და დიდი ავტორიტეტის მქონე თბილისელ ყარაჩხელთა შორის. გამომსახველად ასრულებდა პეტა დილის საარს-  
და მასრავ ზურნაზე, ძალზე მგრანობიარულ ურავდა მველ თბილისურ მელიოდებს. პეტას მიერ შესრულებული ბევრი ტკბილი პანგი ჩაწერილია გრამფირფიტების სხვა-  
დასხვა ფირმების მიერ.

პეტა ჩანაძიძე გარდაიცვალა 1960 წელს თბილისში. მეზურნეების დასქვას შორის განსაკუთრებულ ყურად-  
ღებას იჩიყობდა მედუღუკეთა ანსამბლი ამ საქმის დიდი საწყვილობისა და უბადლო ოსტატის ხაჩიკ ტალავაუცი-  
ის ხელმძღვანელობით.

ბ. ტალავაუცი დუღუკის შეპანშინაი დაჯივრელი და მადლო კლასის მუსიკოსი იყო. მას ამქარი ცნობდა, რო-  
გორც ბუნებით ნიჭიერ ადამიანს, მრავალი საკუთარი მე-  
ლოდიებისა და პანგის შექმნელს და ამ დარგის ბევრი კარ-  
გი სექვილითისტი აღმზრდელს.

ბ. ტალავაუცი დაიბადა 1907 წელს ქ. თბილისში, ღარიბი ხელობის — ხარაზის ოჯახში, რომელიც ცნარ წევრისაგან შედგებოდა და გაჭირვებულად ცხოვრობდა. ამიტომ მამამ თავისი უმცროსი შვილი სახელისწონი მი-  
იავადა სამშობლო. მაგრამ ხაჩიკა გულს ვერ უტედა ხა-  
რაზობას. იმდენად გატაცებული იყო მუსიკით, რომ მშობ-  
ლები იძულებული გახდნენ ხელი შეეწყვიტ მისთვის.

ტალავაუცი გახდნენ ხელისუფლებად დაჯილდოებული იყო მუსიკალური ნიჭით და კარგი ხმაც ჰქონდა.

1924 წელს მედუღუკეთა ერთ-ერთ საშუალო, რომელ-  
შიც ტალავაუცი მონაწილეობდა მელიოე-მომღერლად, პირველ დამწერლად მივიდა იმ დროს გამოჩენილი მუსი-  
კოსი დათა ზუბიაშვილი; ზუბიაშვილი გაოცებული იყო ტალავაუციის ნიჭითა და ბეჯითობით, მან ხელი შეუწყო ახალგაზრდის დაოსტატებას. თავის მხრივ, ბ. ტალავაუცი-  
იც ითიდა დასვენება ზუბიაშვილის ამაკ.

ხაჩიას ფიქრი. ბ. ტალავაუცი და ოცნება მუდამ მუსიკისავე იყო მიმართული. მისი სურვილი და მისწრაფება მხოლოდ ის იყო, რომ შეექმნა რაიმე კარგი და ახალი ამ დროში, განკუთარბინა და გაეუმჯობესებინა დუღუკის პანგები, ბ. ტალავაუცი ამავე დროს დაინტერესებული იყო საო-  
ბიონოვას, იეთიმ-გურჯიას და ძველი თბილისის სხვა მგო-  
სანთა უნიონი ლექსების შეკრებით და მოხვავა ხელი მო-  
მიიბადა ამ საქითო საქმისათვის. ამ მიზნით ვიმოგზაურებ კახეთში — ვლიონიციში რამდენიმე უცხოელი ლექსი მო-  
ვიდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ის მადლოანი საქმე ბო-  
ლომდე ვერ მივიყვანეთ, ხაჩიკას მოულოდნელად გარდა-  
ცვალობის გამო.

ხაჩიკა მუდამ ოცნებობდა რომელიმე კულტურულ და-  
წისობებთანად დაარსებულად მიდუღუკეთა კლასი, რო-  
მელშიც ამ იმარის ახალგაზრდა საწყვილისტების აღზ-  
რება, მაგრამ არც ამ მიზნის განხორციელება დასცავდა.

1928-33 წლებში ბ. ტალავაუცი რადიოთელეგრაფი მუშაობდა. იგი საშუალომე ურავდა დუღუკეს და მელიოდს კიდევ. 1932 წლიდან 1936 წლამდე მუშაობდა ანსამბლში „კავკასიის არწივის“ სახელით. 1936 წლიდან სო-  
ციალისტის ბოლომდე კი მის მიერ ჩამოყალიბებულ მედუ-  
ღუკეთა ანსამბლის ხელმძღვანელობდა.

ტალავაუციც ორნამდ ჰქონდა შესწავლილი ძველი თბი-  
ლისის მუსიკალური ფოლკლორი და მისი ტკბილიების ღირსეული გამგებლობებიც იყო. იგი თავისი ანსამბლით ოსტატმატარად მონაწილეობდა ფესტივალებში, კონერ-  
ტებში, რისპუბლიკურ და საგაერო სპარტაკიადებში. ითიი სამამბლო ომის დროს საპარტელოსის სერ კულოტ-  
ვის სამინისტროს ხელოვნების სამმართველოს დაჯილდო-  
ებულ ტალავაუცი თავისი ანსამბლით ხშირად მართავდა უყა-  
სო კონცერტებს პოსპიტლებში, დაჭრილი მებრძოების გა-

სხი ბოცა ზეზიხეზოს - [სტ.]  
 სიი ხეხეში ვოზნიორ - [სტ.]

1949 წ. პარიზში მოწეობილი კონცერტის  
 დეკორაცია (ავტორი ს. ვირსალაძე)



მედოლე ე. შახელაშვილი, დამკვრელი  
 დ. ზუბიაშვილი, დამკვრელი მ. შახელა-  
 შვილი

ფიქო სეზიოხეჯელ - [სტ.]  
 იეხეში პერსეუვილ - [სტ.]



გლხო ზახაროვის დასტა



სართობად. ბევრი კონცერტი აქვს ჩატარებული დონბასისა და ჭიათურის ქემსატეხებისათვის.  
ბ. ტალგაუგოვი მისაზღვრებლად რადიოდამცემი: „ზაქარია ფალიაშვილი“, „ვახო სარაჯიშვილი“, „ომარ ხაბაში“, „ახუში“, „ქეთო და კოტე“ და მიეღო რიგ კინოფილმებში.

ბ. ტალგაუგოვის დამსახურებაა, რომ მუდღეულებთან ერთად დაჰყვივდნენ მრავალმხანობის ტრადიციას, რამაც საგრძნობლად გაამდიდრა ანსამბლის გამომსახველობა.

ზასხაშვილი უნდა აღინიშნოს ბ. ტალგაუგოვის დიდი ღვაწლი მუდღეულებთან აღზრდის საქმეშიც. მისი მოწაფეებიდან დღეს 20 პირველი კატეგორიის ოსტატია.

თავისი მოღვაწეობის მახილზე ბ. ტალგაუგოვს ბევრჯერ აქვს მიღებული მაღლობები, სიგელები, დაჯილდოებული იყო მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „წარჩინებულ შრომისათვის“.

ტალგაუგოვი გარდაიცვალა 1962 წლის 16 მარტს. მის გახსენება დიდძალი საზოგადოება დაესწრო. სახელობრივო შერჩეულ სიტყვებში წარმოიტყვეს მისმა მეგობრებმა და პატივსმეულებმა.

დუღაყის გახვრთვებისა და პოპულარიზაციის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ანა ვარდაშვილმა.

ანა დაიბადა 1900 წლის 31 მაისს (ძვ. სტილით) ყვარლის რაიონის სოფ. საბუენი, ცნობილი მომღერალი დიმიტრი ვარდაშვილის ოჯახში. ახას შობილედ, საერთოდ, ვარდაშვილების საგვარეულო ბუნებით იყო დაჯილდოებული მუსიკალური ხიტი.

ახას მამა რატილის მომღერალთა გუნდის ერთ-ერთი წამყვანი სოლისტი იყო.

დიმიტრის ოჯახიდან ხშირად ისმოდა კახური სიმღერების პახებიც და მათ ბავშვობიდანვე შეეზარდა ანა. ახას მამიდის — ქეთის სიმღერის აღტაცებაში მოჰყავდა თანამედროვეები და განსაკუთრებით ჩვენი სასიქადლო მომღერალი ვანი სარაჯიშვილი.

„სარაჯიშვილები ვალში ვართ ვარდაშვილებთან, — უთქვამს ვანოს, — მხოლოდ შენ ერთს“ ქეთუნინივით ჯერ არავის უმღერიათ<sup>3</sup>.

მუსიკალური ნიჭითა და ძალზე თავისებური ხმით არც ანა ჩამორჩენია თავის წინაპრებს. მას ბევრჯერ უსახელებია ვარდაშვილების საგვარეულო ჯერ კიდევ 12—13 წლის ასაკში, როდესაც თელავის წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელში სწავლობდა.

ანამ მშვენიერად შეისწავლა ქართულ ხალხურ სამუსიკო ურთავებზე დაკვრა. 1926 წელს პირველად გამოვიდა თელავის სახალხო თეატრის სცენაზე.

1936 წელს ანა ვარდაშვილმა პირველად გამართა კონცერტული მუდღეულებთან ანსამბლის თანხლებით. ანსამბლში უკრავდნენ მთლა ზუბინაშვილის ვაჟები: ლევანი და ვანო, ცხომილი მთლა (ტუხუ) ჩხირაძე. კონცერტი გაიმართა კიევიშიც. უკრავილები აღტაცებით უსმენდნენ ტკბილ დუღაყსა და ნიჭურ ქართველ მომღერალს.

1940-იან წლებში საკავშირო რადიოკომიტეტის დავალებით ანა ვარდაშვილი ატარებდა კონცერტებს ბ. ტალგაუგოვის მუდღეულებთან ანსამბლის თანხლებით. მის სახელზე შედარდასხვა ქვეყნიდან მრავალი ბარათი მიდიოდა. საამაგლო ომის წლებში ანა თბილისის პიონერთა სახელმწიფო მუშაობდა. აქ მან შეგარჩია ნიჭიერი ბავშვები და შეასწავლა ფანდურზე დაკვრა, სიმღერები. ისინი შემდეგ

კონცერტებს აწყობდნენ თბილისის კოსპიტლებში. პატარა სიმღერების კონცერტები მუდამ დიდ გამოხილვებასა და სიამოვნებას მტრები და დარტო მებრძოლებს.

დიდი აღფრთოვანებით ისმენდნენ ანას გამოსვლებს სამხედრო ნაწილებსა და კოსპიტლებში.

ვარდაშვილის სიმღერებმა დიდი მოწონება დაიმსახურა ასტრონომთა შორისაც. „ჩვენ სიერცემი ვარსკვლავებთან ერთად ვვებთ თქვენს ტკბილ ხმას, იქნებ, სადმე ანარს ტალღებით იყოს იგი მიზანული, შეიზებს და გაინძაროს“ — წერდნენ ანას ასტრონომებმა.

ანას სიმღერით მიხიბულნი „ყვავილების მინდია“ — მიხილ მამულაშვილი წერდა: „ჩემი საყვარელი სამშობლოს ამხიბაბელებო, დამწყნარებელო ძარღვებისა, გისმენ და თითქმის გაცოცხლდნენ ძველი უბუბრებით. ფიჭვით მჭინდეს, გამძოფრინებოდი და გადაგოცინიდი მაც შეუღარბელო ხმისათვის“.

„თქვენმა სიმღერებმა ყველანი მოგვკიბლა, ყოველთვის გულის ფანცქალით ვლით თვევს გამოსვლას რადიოში. გუშინ ტალღის ჩვენი სულის სამსწავლელელო ოთახი სამწველებით იყო გაქვილი“ — წერდნენ ანას 1947 წელს ხეყარეობიდან.

სავსებით გამართულ კონცერტებზე მადლიერმა მასპინძლებმა მის ჭუნური აჩუქეს და თან დასძინეს — ამაზე დაკრავს ისწავლე და შეხებურად დაამღერო.

ანა ვარდაშვილი თავისი მოღვაწეობის მანძილზე სამჯერ არის დაჯილდოებული სასაბაო სიგელებით, მიღებული აქვს მედლები, „შრომითი მამალობისათვის“ და „კავკასიის დაცვისათვის“, ხოლო საქართველოს სსრ პრეზიუმის 1960 წლის 7 მარტის ბრძანებულებით მას ნუნუა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება.

ქართული ხალხური მუსიკის მოტრფილად ა. ვარდაშვილი დღესაც დიდი ნიჭიანობითა და ახალგაზრდული ენერჯით ემსახურება საყვარელ საქმეს.

დუღაყის პოპულარიზაციის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს მიხილ ადამაშვილს. მან მოღვაწეობა 1925 წელს დაიწყო და ამჟამინდელ მალე დაიმსახურა ავტორიტეტი. ადამაშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის დუღაყის ხმოვანების გაუმჯობესების საქმეში.

მიხილის თაოსნობით დუღაყს მოემატა ხმები — ჯერ ორი ბანი და შემდეგ კიდევ ორი. ამ სიხალმე საგრძნობლად გააუმჯობესა დუღაყის ხმოვანება და ტემბრი. რაც აღნიშნულია მის მიერ მიღებულ საეკვიპორო საავტორო მოწოდებებში.

მ. ადამაშვილი 13 წლის განმავლობაში მონაწილეობდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში ნ. სუხიშვილისა და ნ. რაშიშვილის ხელმძღვანელობით, სადაც დამკვეთების ჯგუფს მეთაურობდა. ანსამბლთან ერთად მან იმოგზაურა ამერკის, საფრანგეთის, უნგრეთის, ინგლისისა და სხვა სახელმწიფოების ქალაქებში.

მეორე სამამულო ომის წლებში მ. ადამაშვილი ერთ-ერთ ქართულ დივიზიაში კავშირგამბელობის ხაზით მუშაობდა და თან კონცერტებსაც აწყობდა, რისთვისაც ქების სიგელებით დააჯილდოვდა.

მუდღეულებთან ერთად ავტორიტეტით სარგებლობს გლახო ზახაროვი, რომელსაც ნიჭიერი მომღერლად იცნობს მთელი ამიერკავკასია.

გლახო დაიბადა ქ. თბილისში 1905 წელს, ღარიბი ხელოსნის ოჯახში, ბავშვობიდანვე მიჰყავდა სიმღერების შესწავლას. მშენიერი მმა აღმოაჩინა.

გლახო სწავლობდა სახელოვან ოსტატებთან, ბაგრატი

3 მარგო ოთმეი, ტურ. „საბჭოთა ხელნაწები“ 1960 წ. № 3, გვ. 360.

ბაგრაშვილი და გეგურა შულაველთან. დამოუკიდებელი მოღვაწეობა კი 1926 წლიდან დაიწყო. 1927 წლიდან საქართველოს რადიოკომიტეტში მუშაობს. იგი მონაწილეობდა კონცერტებშიც. მისი გამოსვლები მედუღეკეთა თანხლებით მუდამ დიდ ინტერესს იწვევდა. 1930-1931 წლებში გ. ზახაროვი ამერიკაკვასიის რკინიგზის სიმღერებისა და ცეკვის თვითმოქმედ ანსამბლშია. 1933 წლიდან მას საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საორკესტრო განყოფილებაში დირიჟორი მოღვაწეობა. იგი ხშირად წასულა გასტროლებზე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში. დიდი მოწონება ჰპოვა გლახოს გამოსვლებმა უკრაინის ფილარმონიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში მოღვაწეობის დროს, მედუღეკეთა კვარტეტის თანხლებით, რომელსაც თვით გლახო ხელმძღვანელობდა. გ. ზახაროვი იქ დაჯილდოვდა საპატიო სიგელით. 1936 წელს გლახომ წარმატება მოიპოვა თბილისში ჩატარებულ ოლიმპიადებშიც. იგი მონაწილეობდა კინოფილმებსა და საშეფო კონცერტებში.

მაღალი შეფასება მისცა ზახაროვის შემოქმედებას სსრ კავშირის სახალხო არტისტმა გოპარ გასპარიანმა. ჟურნალ „ოცინიოკში“ (1965 წლის № 33) იგი წერდა: — „ამას წინათ — საიათნოვას იუბილზე — ერევანში თბილისიდან

ჩამოვიდა სომხეთის სახალხო მომღერალი გლახო ზახაროვი. მე ის მოვეწვიე სახლში. ის მთელ ღამეს მღეროდა საიათნოვას ხალხურ სიმღერებს. ყოველგვარი ორნამენტაციის გარეშე, სადად და გამომსახველად. ისეთი შთაბეჭდილება დამჩრა, თითქოს იგი მთლიანად გამოეთიშა თავის თავს და ხალხურ სულს დაემორჩილა. მისი ხმა თითქოს უხილაკი წყაროდან მოედინებოდა.“

1963 წელს გ. ზახაროვმა ლაურეატის წოდება დაიმსახურა საიათნოვას საიუბილეო კონკურსზე. იგი მრავალჯერ ყოფილა დაჯილდოებული სიგელით. მიღებული აქვს მედალი „წარჩინებული შრომისათვის“. 1967 წელს კი სომხეთის სსრ დანახურებული არტისტი გახდა.

ზემოთ ნახსენებ ძველ თბილისელ ცნობილ მუსიკოსთა გარდა მეზურნეების ამჟამში სხვადასხვა დროს კარგ დამკვრელებად ითვლებოდნენ ალექსი თაბუკაშვილი („დავრიშა“), დამჯამ დავით გვაცცელაძე („კორტაბა“), ვანო გველესიანი („კაჟან-ბალა“), დამჯამი გივი ხერუბაშვილი, მელოღ-მომღერალი ანტონ მისისურაძე, დამკვრელები — იოსებ ბაქრაძე, „შეკ“ აკოვა, ალექსი პისრულაშვილი, სერგო ვახტანგოვი, ვანო კიკნაძე, ნასყიდაშვილი და სხვ. ისინი დღეუკის მგზხებარე მანგებით ატკობდნენ მსმენელებს.

გ. წერეთლი.  
სერიიდან „ბურია“.



ვოცნი ბაქრაძე და მისი მოსწავლე  
ხეყაში ვოცნიარ - მსმენელ



დაიწყო სემინარი - მს.  
იქვე მიეწერა რეზიუმე - მს.



მიხეილ კვალაშვილი

# სიყვარულითა და ღრმა ცოცხლით

ლამარა ელიოზიშვილი — მს.

„რთული გზით“ — ასე უწოდა ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა მიხეილ კვალაშვილმა თავის წიგნს, რომელიც ახლახან გამოიცა და ჩვენი საზოგადოებრიობის ცხოველი ინტერესი აღძრა. იგი მემუარული ფაზრის ნაწარმოებია, თუმცა ვასცა ავტობიოგრაფიულობის საზღვრებს, რადგან ავტორი საკუთარი ცხოვრების მსვლელობას აგვიწერს ქართული მუსიკალური თუ თეატრალური ცხოვრების ფონზე, ეროვნული ხელოვნების მიმდევლოვან მოვლენებთან ურთიერთკავშირში.

ბუნებრივია, რომ წიგნში ცენტრალური ადგილი ეთმობა ქართულ საოპერო ხელოვნებას, რომელსაც მ. კვალაშვილი ათეული წლების მანძილზე სამაგალითო ერთგულებითა და ერთუხიანებით ემსახურებოდა. ამიტომაც იგი ქართული საოპერო თეატრის თავისებური მატანე გახდა. მ. კვალაშვილი ისტორიულ ექსკურსებში აყოცხლებს ეროვნული საოპერო ხელოვნების განვითარების ძირითად ეტაპებს, აღადგენს ცნობილსა თუ დაიწყებულ ფაქტებს, ხაზოვანებით აგვიწერს წარსულის მღვდლვარედღმებს — ძიებებსა და მონაპოვრებს, წარმატებასა თუ წარუმატებლობას. ყოველივე ამას კიდევ უფრო ავსოვლებს ავტორის პროფესიული თვალთახედვა, მკვლევარის ნიჭით წარმოებული ანალიზები, თხრობის ემოციური ტონი. წიგნში აღნიშნადა ქართული საოპერო ხელოვნების ვითარება, აღსდგა სხვადასხვა დროის დადგმული რეჟისორული პარტიტურები, გაცოცხლდა თანამედროვეთა — დირიჟორების, რეჟისორების, მომღერლების შემოქმედებითი პორტრეტები.

მაგრამ უმჯობესია გავყვეთ წიგნში მოთხრობილ ამ-

ბებს, გავეცნოთ ავტორის ბავშვობასა და ყრმობას, ყური მივუგდლოთ შთაბეჭდილებებს, შევხედოთ შესანიშნავ ადამიანებს...

მ. კვალაშვილის წინაშე, როდესაც იგი მოგონებების წიგნად წერას შეუდგა, უდავოდ დადგა საკითხი, როგორ დაეღაგებინა მასალა, რა პრინციპით მოეთხრო ყველაფერზე, რომ მკითხველისათვის მიზიდველი და საინტერესო ყოფილიყო, ამავე დროს არ დარღვეულიყო მთლიანი ხასი. ავტორმა წიგნის კომპოზიცია მოხერხებულად ააუო. იგი დაყოფილია თავებად, რომლებშიც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის მოთხრობილი მ. კვალაშვილის ცხოვრება: ბავშვობა, ყრმობა, მოღვაწეობა.

ჯერ კიდევ გორის კლასიკური გიმნაზიის მესამე კლასის მოსწავლე მიხეილი მონაწილეობდა სტუდენტ მიტო გაბაშვილის მიერ ქართული და რუსული გიმნაზიების მოსწავლეთა ძალებით დადგმულ გოგოლის „ქორწინებაში“ (ასრულებდა მოდკოლესინის როლს). პირველად ოპერის თეატრში 10 წლის ბიჭუნა მოხვდა ბიძის, დრამის მსახიობის ნ. ციცქვილის წყალობით, ისიც საღამოს საქტაკლზე გადიოდა ოპერეტა „ორფეოსი ჯოჯოხეთში“. „განცვიფრებული ვიყავი, — წერს მ. კვალაშვილი, — ნამდვილ ვივებრთეა თეატრში ვიმყოფებოდი. ყველაფერა უჩვეულო იყო ჩემთვის — შესანიშნავი ჭაღიდან და უთვალავი ბრადან სინათლის უხე ჭაღლი იფრქვეოდა. კარგად ჩაცმულმა საზოგადოებამ, დარბაზში გაბატონებულმა გამოცოცხლებამ გამიტყავა... ასე ათი წლის ბიჭი ორფეოსთან ერთად ჯადოსნურ სამეფოში, ოპერის თეატრში მოხვდი. რას ვიფიქრებდი, რომ სწორედ ეს თეატრი გადაიქცეოდა ჩემს მშობლიურ თეატრად, სადაც თითქმის მთელი ჩემი ცხოვრებლუ გაივლიდა“.

1 По трудному пути. გამომც. „მერანი“, თბილისი 1969.

წიგნში ხატვანად არის აღწერილი XX საუკუნის დასაწყისის ქ. გორის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრება. საზოგადოებრივ საკრებულოში ხშირად ეწყობოდა კონცერტები თბილისიდან ჩამოსული პროფესიონალი მსახიობების, ოპერის მომღერლების, მუსიკოსების მონაწილეობით. არსებითად მაშის გაეღვიძა მოძვეალ რეჟისორს ხელოვნებისადმი ცხოველი ინტერესი.

თვითონაც აღმოაჩინა გარკვეული მაკოსკალური მონაცემები. ჯერ იყო და ვიოლინოზე დაკრა ისევეა და საკმაოდ კარგადაც. ვიოლინოთი გატაცება სიმღერამ შეცვალა, როდესაც ჩამოუყალიბდა ლამაზი ტემბრის პარტოში, პედაგოგ გ. ონიაშვილთანაც მეცადინეობდა. გულმოდგინედ სწავლობდა, უმეტესად რიანსებს, და შემდეგ მოსწავლეთა საღამო-კონცერტებზე ასრულებდა. სიმღერამ ხატოვებინა ვიოლინო და ხატვა. მახასივე ისე უყვარდა ხატვა, რომ თავის მოწოდებამ თვლიდა და ფიქრობდა კიდევ ხატვით ახ არქიტექტორი გამოსულიყო. ბოლოს კი სულ სხვა პროფესია აირჩია „თუმცა ახალგაზრდობის გატაცებები დიდად დამეხმარა ჩემს შემოქმედებით საქმიანობაში“.

მ. კვალიაშვილი ებება 1912-1916 წლების საოპერო სეზონს თბილისში და ბევრ ყურადღებ ცნობას გვაძლავს თეატრის რეპერტუარსა და შესარულებლებზე, ძირითადად გასტროლიორებზე. სიმღერით, ოპერით გატაცებული ახალგაზრდა გორიდან არდადვებზე ჩამოდიოდა თბილისში და არ ტოვებდა არც ერთ საღამოს, ესწრებოდა სპექტაკლებს, კონცერტებს, ეწყვებოდა ხელოვნების. ნანახი და მოსმენილი უსადგოდა არ რჩებოდა. ყმაწვილ კაცს თანდათან გამოუშუადა გემოვნება და თუ პირველად განურჩევლად ესწრებოდა ყველაფერს და უსმენდა ყველას. „მაშინ აზრადაც არ მომიდიოდა, რომ ოდესმე რეჟისორი გახდებოდი, თვითონ დავდგამდი საოპერო სპექტაკლებს და შევემძინო ისეთივე „საოცრებაში“. მაშინ არც კი მაინტერესებდა — ვინ დგამდა იმ სპექტაკლებს, შეისინი უზარბლოდ მალეულებდნენ და სულ უფრო მეტად მაახლოებდნენ თეატრთან. მალეულებდა მომღერლის მოსმენა, ყველაფერი მომწონდა მაი — ხმა, მოქმედება სცენაზე, ვამპუისიული სიუჟეტებიც. გვარით არც კი მახსოვს იმ მომღერლების, არც ის ვიცი, როგორები იყვნენ — კარგები თუ საშუალონი“ — გულწრფელად აღიარებს მ. კვალიაშვილი — მაგრამ თანდათანობით ეს განურჩევლობა კრიტიკული, პროფესიული დამოკიდებუებით შეიცვალა. დაიწყო ჯერ თვით თეატრის შეფასება. შემდეგ სპექტაკლის მხატვრულ გათვორების მიაქცია ყურადღებ და თურმე მსახიობებიც სხვადასხვანაირად მღერიან... და ოპერაზე შეფერებული ყმაწვილი უკვე მსახიობის ვიკა-ლურს და სცენურ ოსტატობას აკვირდებდა, არჩევს. იჩრებს დასასწრებ სპექტაკლებს. გაჩნდნენ საყვარელი მომღერლები და წარმოდგენები.

მ. კვალიაშვილი ბევრ საინტერესო ცნობას გვაძლევს გამორჩეულ ქართული დირიჟორებზე, მომღერლებზე, რეჟისორებზე, ერთი სიტყვით — ყველაზე, ვინც უნახავს და მოუსმენია, ვისთანაც ჰქონია რაიმე ურთიერთობა თეატრსა თუ საოპერო სტუდიაში, თბილისსა თუ მოსკოვში. გულისხმებურ, ყურადღებანი ავტორის მხედველობიდან თითქმის არ რჩება არავინ და არაფერი, ხშირად კუროსებზე-საც ურთავს, რაც წიგნს მიმოხედვითგობას მატებს.

მ. კვალიაშვილი გულისტკივლით აღნიშნავს, რომ მაშინ ახალგაზრდობის გამო ვერ სჭერტება ამ შექვედრებში-სა და თანამშრომლობის დიდ მნიშვნელობას და დაწერი-



ლებით არ იწერდა ყველაფერ იმას, რაც ათეული წლების შემდეგ ძელი გასახსენებელია და ახლა იძულებულია, მხოლოდ გონებას შემოირჩევილი გაუზიაროს მკითხველ საზოგადოებას. ეს „გონებას შემოირჩევილი“ ისე ბევრია, ისე საინტერესო და ჭკუნის სასწავლებელი, რომ, როდესაც კითხულობთ წიგნის ეპიგრაფს — ახატოლ ფრანსის სიტყვებს...“ მხოლოდ გახსაკუთრებულ ადამიანებს როდ აქვთ თავის თავზე ლაპარაკის უფლება. პირველი, ძალ-სა იხატეფოთა, როდესაც ახას უზარალო მომღერალი ხსიანია“, მხოლოდ და მხოლოდ პატივისცემის გრძნობა გეუფლებოთ ამ მოკრძალებული, დამსახურებული, ბეგის მხახვით და გახმედელი, დიდად განათლებული ადამიანის თითარ და უთუოდ ავაულებეთ ეს მისაბამი თავმდალობა. ავტორი ბევრ ისეთ სთიურალს იგონებს და გვიხსნიათებს, რომელთა სახელები რატომაც დავიწყებას მივცა და ხანდახან საუერნალო სტატისას და საგვთული წეროლით თუდა მოიხსენიება. ასეთებიც: ე. პოპოვა, თ. ზოკოვა, ნ. ელითიშვილი-მსახლსკი და სხვ. გვაძლევს მათი მოღვაწეობის დრმა პროფესიულ გარჩევას და ამით წიგნს კიდევ უფრო საჭიროს ხდის.

საქმის ცოდნით, გულთბობად და საინტერესოდ მოუთხრობს წიგნის ავტორი იმ დროს მთელს რუსეთში კარგად ცნობილ დირიჟორზე, ივანე ფალიაშვილზე. სათანადოდ აფასებს მის ღვაწლს ქართული საოპერო და სიმფონიური მუსიკის განვითარებაში. ამ შესანიშნავი დირიჟორის მოწვევით ბევრი გამორჩეული მომღერალი გამოდიოდა ჩვენი ოპერის თეატრის სცენაზე, რაც დიდი სკოლა იყო თეატრის დასისთვის და ხელს უწყობდა მსმენელების გემოვნების დახვეწას. „ჩვენი თეატრის სცენაზე იწყებდა მოღვაწეობას და იზრდებოდა მსახიობთა პოლეა, რომლებიც შემდგომში საბჭოთა ქვეყნის საუკეთესო საოპერო თეატრებს ამწვედნენ. მის კედლებში დაისახა და ჩამოყალიბდა ქართული საოპერო ხელოვნება, წარმოიშვა და გაიზარდა ჩვენი ეროვნული საუმსრულებლო კადრები“.

ივანე ფალიაშვილი მარჯანიშვილთან ერთად დაბრუნდა საქართველოში და მაშინვე ოპერის მუსიკალურ ხელმძღვანელად მიიწვიეს. წიგნში ზედმიწევნითაა განხილული საოპერო საქმის დიდი ოსტატის მოღვაწეობა მშობლიური საოპერო ხელოვნების განვითარებისათვის, თუ როგორ მოკვდა ხელი ქართულ ოპერას, როგორ შეავსო მისი დასი რუსეთიდან მიწვეული ძლიერი მომღერლებით, როგორ

ინბრძოდა საოპერო სპექტაკლების დონის ამაღლებასათვის. „ახალგაზრდობიდანვე საოპერო ხელოვნებას შესწირა თავი, ჯერ როგორც ხორმებისტრენა, შემდეგ კი დირიჟორმა, გადასარა მთელი უკიდურესი რუსეთი, მსახურობდა ათობით ოპერის თეატრში, შეიძინა ცოდნა და გამოცდილება. თავის დირიჟორულ ნიჭს სრულყოფდა ისეთი ოსტატის ხელმძღვანელობით, როგორც იყო ვ. ი. სუკი. ივანე ფალიაშვილმა დიდი შემოქმედებითი გზა გაიარა და მიღწეის სადირიჟორო ოსტატობის მწვერვალსა და აი ეს დიდი ოსტატი ქართველ ხალხს, ქართულ კულტურას, შრომობიურ საოპერო ხელოვნებას სწირავს ყოველივეს, რაც გააჩნდა. გააჩნდა კი ძალზე ბევრი: „დავეყვებითი თუ სტუდია, ახალგაზრდული ორგესტრი, რომელსაც ვაზი ფალიაშვილის მადლიანი ხელი არ დასჩინდა. როგორც წიგნის ავტორი აღნიშნავს, 1937 წლის პირველ ქართულ დეკადამი მონაწილე საოპერო მიმღერებლის ძირითადი ნაწილი თავის მოღვაწეობას ამ შესანიშნავი პედაგოგთან და მუსიკოსის ხელმძღვანელობით იწყებდა. ყველანი განიცდიდნენ მისი დიდი პედაგოგიური ნიჭისა და სადირიჟორო ოსტატობის კეთილისმყოფელ გავლენას.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ სახელგანთქმული დირიჟორის ცხოვრება და შემოქმედება სათანადოდ არ არის გაშუქებული ლიტერატურაში და საფუძვლიანი შესწავლის მოითხოვს, უნდა ვიფიქროთ, რომ წიგნი ცხოველ ინტერესს აღძვრავს მკითხველში. თუ მომავალში ვინმე სერიოზულად მოიკიდებს ხელს ი. ფალიაშვილის მდიდარი მოღვაწეობის შესწავლას, რაც, სამწუხაროდ, დღემდე არავის უთაყვებია, ეს წიგნი კარგ სამსახურს გაუწევს.

მ. კვალაიშვილი დიდ როლს ანიჭებს თეატრის მამინდელ კოლექტივს თეატრის შემოქმედებით წარმატებულში და წერს: „მიყვარს... და გამაყობ იმევე, როგორც მიყვარს და გამაყობ ჩემი ამხანაგებო, ვინაიდან თეატრის განვითარების ყველა განვლილი ეტაპი, მიზი შემოქმედებითი მიღწევები და წარმატებანი — ეს ჩვენი გაწვეული შრომის ნაყოფია, მთელი კოლექტივის შემოქმედებით ძალების უპირობო დათმობის შედეგია“. წიგნი მოცემულსა იმ პერიოდში ჩვენი საოპერო თეატრის სივსაზე კამოსხლი თითქმის ყველა ვასტროლოგიური-მიმღერის შემოქმედების ღრმა პროფესიული ანალიზი, გარჩეულია და სწორად არის შეფასებული მათი როგორც ვოკალურ-საშემოხლებელი კულტურა, ისე სცენური მონაქმნები. ასეთებია მაგალითად თანველი ორდა და ტალია საბანეჯვა, ალმეო და ლახარევი, სიგიზმუნდ ზალფესკი, მოხუკუნი, ტიხონოვა, ზაოლსკი.

